

საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო

ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ 1980 წლის, 25 ოქტომბრის
ჰააგის კონვენციის მიხედვით

ნაწილის III- პრევენციული ზომები

საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო

ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ 1980 წლის, 25 ოქტომბრის
ჰააგის კონვენციის მიხედვით

ნაწილის III- პრევენციული ზომები

გამოცემულია

საოჯახო სამართალი

გამომცემა დაბეჭდილია ჯორდან ფაბლიშინგ ლიმიტედ 21-ე

თომას ქ. ბრისტოლი BSI 6JS

კერძო საერთაშორისო სამართლის ჰააგის კონფერენციისთვის

მუდმივმოქმედი ბიურო

6, შვეინსვეგ 2517 KT, ჰააგა, ნიდერლანდები, ტელეფონი: +31 (0)703633303 ფაქსი:
+31(0)703604867 ელექტრონული ფოსტა: secretariat@hcc.net ვებ-გვერდი: <http://www.hcch.net>

კერძო საერთაშორისო სამართლის კონფერენცია 2005

ყველა უფლება დაცულია. წინამდებარე გამოცემის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გამრავლდეს,
შენახული იყოს საძიებო სისტემაში და გადაცემული იყოს ნებისმიერი გზითა თუ ფორმით, მათ
შორის ფოტო ასლებისა და ჩანაწერების მეშვეობით, საავტორო უფლების მფლობელის
ნებართვის გარეშე. საავტორო უფლების მფლობელის მიმართ განაცხადი გაგზავნილი უნდა
იქნეს გამომცემელთან.

ბრიტანეთის ბიბლიოთეკის კატალოგში გამოცემული მონაცემები

წინამდებარე წიგნის კატალოგის ჩანაწერი ხელმისაწვდომია ბრიტანეთის ბიბლიოთეკიდან

ISBN 0853089668

დაბეჭდილია დიდ ბრიტანეთში, ანთონი როუ ლიმიტედის მიერ

შინაარსი

შესავალი

შეჯამება

1. შეჯამება: პროაქტიული ზომები - რომლებიც ქმნის გარემოს გატაცების რისკის შესამცირებლად
2. შეჯამება: პროაქტიული ზომები - იქ სადაც მომატებულია გატაცების რისკი
3. შეჯამება: რექტიული ზომები - გატაცების რეალური რისკის საპასუხოდ
4. შეჯამება: ინფორმაციის მიწოდება და გავრცელება
5. შეჯამება: სწავლება და თანამშრომლობა

სახელმძღვანელო

სარჩევი

1. პროაქტიული ზომები - რომლებიც ქმნის გარემოს გატაცების რისკის შესამცირებლად
2. პროაქტიური ზომები - იქ სადაც მომატებულია გატაცების რისკი
3. რექტიული ზომები - გატაცების რეალური რისკის საპასუხოდ
4. ინფორმაციის მიწოდება და გავრცელება
5. სწავლება და თანამშრომლობა

დანართი - პრევენციული სტრატეგიის შემუშავება

შესავალი

1980 წლის 25 ოქტომბრის ჰააგის კონვენციას ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ¹ წინამდებარე ნაშრომის დაწერის მომენტისთვის ჰყავს 75 ხელშემკვრელი მხარე, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა კულტურასა და სამართლებრივ სისტემას.² ახალი ხელშემკვრელი მხარეების³ დამატებამ და კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მიერ კონვენციის აღსრულებისა და მოქმედების, როგორც განვითარებისა და გადახედვის განგრძობადი პროცესის დანახვამ, გარდაუვალი გახადა დისკუსია საუკეთესო პრაქტიკაზე. 2001 წლის, 22-28 მარტს, ჰააგაში კონვენციის პრაქტიკის გადახედვისა და მასზე რეკომენდაციების მომზადების სპეციალური კომიტეტის მეოთხე შეხვედრაზე, მიღებული იქნა შემდეგი რეკომენდაცია:

„წინამდებარე კონვენციის ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან და მუდმივმოქმედ ბიუროსთან, რათა ჩამოაყალიბონ საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო, რომელიც გავრცელება კონვენციის მე-7 მუხლზე. სახელმძღვანელო იქნება პრაქტიკული, იმის საჩვენებლად თუ „როგორ“ მოვიქცეთ, რათა მოხდეს კონვენციის აღსრულების ხელშეწყობა. სახელმძღვანელო იქნება კონცენტრირებული ოპერაციულ საკითხებზე და მიმართული იქნება ახალ ხელშემკვრელ სახელმწიფოებზე. ის არ იქნება სავალდებულო და საფრთხის შემცველი

¹ შემდგომში „1980 წლის კონვენცია“.

² ჰააგის კონვენციების სტატუსის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია, შემდეგ ვებ-გვერდზე: www.hcch.net

³ 75 ხელშემკვრელი სახელმწიფოდან, 17-მა მოახდინა მისი რატიფიცირება და მიიღო იგი 2000 წლის შემდგომ, 23%-იან ზრდას სულ რაღაც 5 წელიწადში.

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისთვის. მეთოდოლოგიას აირჩევს მუდმივმოქმედი ბიურო“.⁴

ამ რეკომენდაციის საპასუხოდ, ჰააგის კონფერენციის მუდმივმოქმედმა ბიურომ, ხელშემკვრელ მხარეებთან კონსულტაციებით, მოამზადა საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოს ორი ნაწილი. პირველი ნაწილი შეეხება ცენტრალური ხელისუფლების პრაქტიკას⁵ და მეორე ნაწილი კი განხორციელების ზომებს.⁶ სახელმძღვანელოს ეს ნაწილები დამტკიცდა სპეციალური კომისიის მიერ, რომელიც შეიკრიბა ჰააგაში 2002 წლის 27 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე, შემდგომში კი გამოქვეყნდა ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე. გარდა ამისა, 2002 წლის სპეციალურმა კომისიამ გამოსცა რეკომენდაცია, რომ:

„მუდმივმოქმედმა ბიურომ უნდა გააგრძელოს ინფორმაციის შეგროვება სხვადასხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ მიღებულ ზომებზე გატაცების თავიდან აცილების მიზნით. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ამ სფეროში არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილება. მუდმივმოქმედმა ბიურომ უნდა მოამზადოს ანგარიში მოსაზრებებით, ამ თემაზე საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოს შემდგომი განვითარების შესახებ“.⁷

შესაბამისად საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოს მესამე ნაწილი შეეხება პრევენციულ ზომებს. გატაცების პრევენცია, როგორც 1980 წლის კონვენციის მთავარი მიზანი და იმის გათვითცნობიერება, რომ გატაცების პრევენცია უკეთესია, ვიდრე ბავშვის დაბრუნების მოთხოვნა, მისი გატაცების შემდგომ.⁸

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოს მესამე ნაწილი გავრცელების მასშტაბით განსხვავდება პირველი და მეორე ნაწილებისაგან. მისი მოქმედების სფერო მეტად ფართოა წინა ნაწილებთან შედარებით, რადგან ის არ შემოიფარგლება მხოლოდ 1980 წლის კონვენციის განხორციელებასთან და მოქმედებასთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკის განხილვით. მისი მიზანია სახელმძღვანელო წესების განსაზღვრა უფრო ფართოდ, პრევენციულ ზომებზე, რომლებიც სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ რათა შეამცირონ ბავშვების გატაცების ინციდენტები. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში ხაზგასმული ზომები შეიძლება თანაბრად იყოს გამოსაყენებელი ხელშემკვრელი და არა ხელშემკვრელი მხარეებისთვის.⁹ ეს სახელმძღვანელო არ არის იმის მცდელობა, რომ დაამკვიდროს პრაქტიკისა და პროცედურების ერთგვაროვნება.¹⁰



⁴ იხილეთ 1980 წლის 25 ოქტომბრის ჰააგის კონვენციის ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ მოქმედების გადახედვის სპეციალური კომისიის მეოთხე შეხვედრის (22-28 მარტი, 2001) დასკვნები და რეკომენდაციები, რომელიც შეიძულებს მუდმივმოქმედმა ბიურომ (შემდგომში „მეოთხე სპეციალური კომისიის დასკვნები და რეკომენდაციები“), პარაგრაფი 1.16.

⁵ საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო - ნაწილი 1 - ცენტრალური ხელისუფლების პრაქტიკა, შემუშავებული მუდმივმოქმედი ბიუროს მიერ (შემდგომში „საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო - ცენტრალური ხელისუფლების პრაქტიკა“). ხელმისაწვდომია ჰააგის კონფერენციის ვებ-გვერდზე: [www.hcch.net^child abduction homepage^ guide to good practice](http://www.hcch.net^child_abduction_homepage^guide_to_good_practice).

⁶ საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო - ნაწილი 3 - განხორციელების ზომები, შემუშავებული მუდმივმოქმედი ბიუროს მიერ (შემდგომში „საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო - განხორციელების ზომები“). ხელმისაწვდომია ჰააგის კონფერენციის ვებ-გვერდზე: [www.hcch.net^child abduction homepage^ guide to good practice](http://www.hcch.net^child_abduction_homepage^guide_to_good_practice).

⁷ იხილეთ სპეციალური კომისიის დასკვნები და რეკომენდაციები 1980 წლის 25 ოქტომბრის ჰააგის კონვენციასთან „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ დაკავშირებით (27 სექტემბერი - 2 ოქტომბერი, 2002) შემუშავებული მუდმივმოქმედი ბიუროს მიერ. (შემდგომში „2002 წლის სპეციალური კომისიის დასკვნები და რეკომენდაციები“), პარაგრაფი 1(b).

⁸ იხილეთ დიდი ბრიტანეთის (შოტლანდიის) პასუხი კითხვარზე : „ჩვენ მხედველობაში ვიღებთ, რომ „პრევენცია უკეთესია, ვიდრე რეაბილიტაცია“. მაშინაც კი, როდესაც ბავშვის დაბრუნება ხდება დაუყოვნებლივ, ის მაინც ზიანდება გატაცების უარყოფითი ზეგავლენის გამო“. ამასთან, საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდი აცხადებს, რომ „ზმირად უფრო მარტივაა ბავშვის უკანონო გატაცების პრევენცია ვიდრე გაიო მისი ადგილსამყოფელი და დაბრუნო იგი“ (თარგმანი მუდმივმოქმედი ბიურო) www.diplomatie.gouv.fr/francais/familles/enlevements/prevenir_00.html

⁹ სინამდვილეში, 1980 წლის კონვენციის არაწერი სახელმწიფოები არიან გაეროს 1989 წლის 20 ნოემბრის „ბავშვთა უფლებების შესახებ“ კონვენციის მონაწილეები, რომლის 35-ე მუხლის შესაბამისად მათ ეკისრებათ ვალდებულება „მიიღონ ყველა შესაბამისი ეროვნული, ორმხრივი და მრავალმხრივი ზომები რათა თავიდან აიცილონ ბავშვის ნებისმიერი მიზნითა და მოტივით გატაცება, გაყიდვა და გადაყვანა“.

¹⁰ განსხვავებით „საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო - ცენტრალური ხელისუფლების პრაქტიკა“, რომელიც ამბობს, რომ სახელმძღვანელო ხელი უნდა შეუწყოს განსხვავებულობის გადალახვას და ერთგვაროვანი გახადოს ცენტრალური ხელისუფლებების პრაქტიკა“.

წინამდებარე სახელმძღვანელოში არაფერი არ უნდა იყოს გაგებული იმგვარად, თითქოს ის სავალდებულოა 1980 წლის კონვენციის მონაწილე მხარეებისთვის. თუმცა, ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფო, კერძოდ კი ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც განსაზღვრულია კონვენციით, წახალისებული უნდა იყვნენ, რათა გადახედონ საკუთარ პრაქტიკას და სადაც ეს შესაბამისია და საჭირო გამოასწორონ იგი. როგორც არსებული, ისე შექმნის პროცესში მყოფი ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებისთვის კონვენციის განხორციელება უნდა იყოს დანახული, როგორც გარემოს განგრძობადი, პროგრესული და მზრდადი პროცესი.¹¹

საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოს მესამე თავის შემუშავებისას დაიწყო წინასწარი დოკუმენტებისა და კითხვარის მომზადება, რომელიც 2003 წლის თებერვალში გავრცელდა მონაწილე სახელმწიფოებს შორის.¹²

მუდმივმოქმედი ბიურო მადლობას უხდის ცენტრალურ ხელისუფლებებს და ექსპერტებს, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტებს, რომელთა ერთობლივი ცოდნა და გამოცდილება გამოყენებული იქნა სახელმძღვანელოში.¹³ განსაკუთრებული მადლობა სარა არმსტრონგს, მუდმივმოქმედი ბიუროს იურიდიულ ოფიცერს, რომელმაც მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულა სახელმძღვანელოს წინამდებარე ნაწილზე და ჯონათან ტომკინსს, ყოფილ იურიდიულ ოფიცერს.

წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული პრევენციული ზომები, უფრო მეტად შეესაბამება კონკრეტული გარემოებებებს, სამართლებრივი სიტემებსა და გეოგრაფიული სივრცეს. ამდენად, მნიშვნელოვანია, ხაზგასმული იყოს, რომ არ არის სავალდებულო და არც სასურველი, რომ ყველა პრევენციული ზომა განხორციელდეს ყველა სახელმწიფოში ან მათი გამოყენება მოხდეს ყველა სიტუაციაში.

¹¹ იტალიის პასუხში კითხვარზე გაცხადებულია, რომ საინტერესო იქნებოდა სხვა ქვეყნების საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება პრევენციულ ზომებთან დაკავშირებით., რათა შეაფასონ იგივე ზომების გამოყენების შესაძლებლობა იტალიაში“. (თარგმანი - მუდმივმოქმედი ბიურო). ამასთან, კითხვარზე პანამას პასუხში აღნიშნულია, რომ „ყველა ქვეყანა უნდა გაერთიანდეს, რათა მიიღოს ერთიანი კონსენსუსის დოკუმენტი, სადაც იქნება შეთანხმებული ზომები საერთაშორისო გატაცების აღმოსაფხვრელად. თუ ეს დოკუმენტი იქნება შემუშავებული, მან უნდა ასახოს სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკული გამოცდილება, ისე რომ დანარჩენმა სახელმწიფოებმა შეძლონ მისი ასახვა საკუთარ კანონმდებლობაში.“ იხილეთ მეოთხე სპეციალური კომისიის დასკვნები და რეკომენდაციები, supra note 4, პარაგრაფი 2.1.

¹² წინასწარი დოკუმენტი და პასუხები კითხვარზე ხელმისაწვდომია ჰააგის კონვენციის ვებ-გვერდზე: www.hcch.net ^ child abduction homepage ^ The Hague project on preventive measures. წერის მომენტში კითხვარს უპასუხა ოცმა სახელმწიფომ და ორმა არასამთავრობო ორგანიზაციამ.

¹³ კერძოდ ბიუროს უნდა მადლობა გადაუხადოს ქალბატონ მიშელ ბერნიერ-ტოსს (სახელმწიფო დეპარტამენტი, აშშ), ქალბატონ ზეტრის ბონდის (ცენტრალური ხელისუფლება, საფრანგეთი), ქალბატონ ლინდა ბრაუნის (სახელმწიფო დეპარტამენტი, აშშ), ქალბატონ ოდეტე ბრუნს (CSMEE, საფრანგეთი), ქალბატონ დენის კარტერს (დიდი ბრიტანეთი), ქალბატონ ლაისა კასლის (ეროვნული პორტის ოფისი, გაერთიანებული სამეფო), ქალბატონ ვერონიკ შავოს (იურისტი, საფრანგეთი), ქალბატონ მარია სეონე დე ჩიოდის (ცენტრალური ხელისუფლება, არგენტინა), ბატონ ვინსენტ ფაბერს (საერთაშორისო სოციალური სამსახური), ქალბატონ ჯოისი ფრიდმანს (ცენტრალური ხელისუფლება, ისრაელი), ბატონ იგნასიო გოკონგას (ცენტრალური ხელისუფლება, არგენტინა) მოსამართლე პილარ გონსალესს (ესპანეთი), ქალბატონ ნენსი ჰამერს (აშშ), ბატონ პაულ ჰატონს (ეროვნული პორტის ოფისი, აშშ), ქალბატონ ბარბარა ჰეტჩერს (ცენტრალური ხელისუფლება, სამხრეთ აფრიკა), ქალბატონ ანა მარია ჰუტჩინსონს (იურისტი, გაერთიანებული სამეფო), ბატონ სტეფან ჯავეტს (ცენტრალური ხელისუფლება, საფრანგეთი), ბატონ ჰაგ კელის (პოლიცია, გაერთიანებული სამეფო), პროფესორ ნიგ ლოვეს (მეცნიერი, გაერთიანებული სამეფო), ქალბატონ რივა პარკერს (ცენტრალური ხელისუფლება, კანადა), ქალბატონ სარა პარსონს (უცხო ქვეყნებისა და თანამეგობრობის ოფისი, გაერთიანებული სამეფო), ქალბატონ ელს პრინს (ნიდერლანდები), ქალბატონ ფრანს რემილარდს (ცენტრალური ხელისუფლება, კანადა), ქალბატონ კატი რუკმანს (სახელმწიფო დეპარტამენტი, აშშ) ქალბატონ როსა სალადინოს (ცენტრალური ხელისუფლება, ავსტრალია), ქალბატონ ჰამ სოუსის (იუსტიციის სამინისტრო, ახალი ზელანდია), ქალბატონ კოლინ სპაიზს (ცენტრალური ხელისუფლება, გერმანია), ბატონ ფრანსუა ტომასს (ცენტრალური ხელისუფლება, საფრანგეთი), ლორდი მეთიუ ტროპი (მოსამართლე, ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლო), ბატონ დევიდ ურვილს (ცენტრალური ხელისუფლება, შვეიცარია) ქალბატონ ვან დიერენს (ნიდერლანდები), ქალბატონ კრისტელ ვან გოთემს (ბავშვთა ფოკუსი, ბელგია), ქალბატონ კატი ვონგს (ცენტრალური ხელისუფლება, ჩინეთი) - (ჰონგ კონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი) (შემდგომში „ჩინეთი(ჰონგ კონგი)“), პროფესორი სიფერიდ ვილუტკის (მოსამართლე, გერმანია) და ქრისტელ ვაგარდს, კარლინა ჰარნოს და რიტა ვილანუევას (მუდმივმოქმედი ბიურო).

1. შეჯამება: პროაქტიული ზომები - ისეთი სამართლებრივი გარემოს შექმნა, რომელიც შეამცირებს გატაცების რისკს

- სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ისეთი სამართლებრივი გარემოს შექმნას, რომელიც ამცირებს გატაცების რისკს.

1.1. საერთაშორისო ინსტრუმენტები

- ბავშვის გატაცებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ინსტრუმენტების წარმატებულმა განხორციელებამ, მათმა ეფექტურმა მუშაობამ და გამოქვეყნებამ შესაძლოა შეაფერხოს გატაცება.

1.1.1 1980 წლის კონვენცია

1.1.1.1 იმპლემენტაცია

- მონაწილე სახელმწიფოებმა თუ ეს შესაძლებელია, სხვა სახელმწიფოებს, უნდა მოუწოდონ 1980 წლის კონვენციის რატიფიცირებისკენ ან მასთან მიერთებისკენ.
- მონაწილე სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის უპირატესობები, რომელიც აქვს სხვა სახელმწიფოების მიერთებას კონვენციაზე და შესაბამისი ყურადღება უნდა მიაქციონ კონვენციაზე მიერთების ფაქტს, ასეთის დადგომის შემთხვევაში.
- ახლად მიერთებული სახელმწიფოების მიერ კითხვარის გამოყენების ხელშეწყობა უზრუნველყოფს კონვენციის ტერიტორიულ გაფართოებას მისი მოქმედების შესუსტების გარეშე.
- ახლად მიერთებული სახელმწიფოები წახალისებული უნდა იყვნენ, რათა შეავსონ ჰააგის კონფერენციის ვებ-გვერდზე, სხვა სახელმწიფოების მიერ მოხმარების მიზნით, განთავსებული კითხვარი.
- მონაწილე სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოს გამოყენებას.
- კონვენციის განხორციელება დანახული უნდა იყოს, როგორც განვითარებისა და იმპლემენტაციის განგრძობადი პროცესი.

1.1.1.2. ცენტრალური ხელისუფლება

ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფილი უნდა იყონ ადამიანური და მატერიალური რესურსით, რომელიც აუცილებელი იქნება შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების ეფექტური განხორციელების, მონიტორინგისა და გადახედვისთვის.

1.1.2. სხვა გლობალური და რეგიონალური ინსტრუმენტები

- ყურადღება უნდა გამახვილდეს სხვა გლობალური და რეგიონალური საერთაშორისო ინსტრუმენტებზე, რომელიც შეეხება ბავშვის საერთაშორისო გატაცებას, კერძოდ 1996

წლის 19 ოქტომბრის ჰააგის კონვენციაზე „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“.

1.1.3 ორმხრივი შეთანხმებები

- სახელმწიფოებმა, რომლებიც დებენ ორმხრივ შეთანხმებას ბავშვთა გატაცების თაობაზე არახელმწიფოებთან, შესაძლოა მოითხოვონ რჩევა და დახმარება სხვა სახელმწიფოებისგან, რომელთაც აქვთ გამოცდილება აღნიშნულ სფეროში. დამატებითი ინფორმაცია შესაძლოა, ასევე მიღებული იქნას მუდმივმოქმედი ბიუროსგან.
- არ უნდა იქნას უგულებელყოფილი მრავალმხრივი ფორმატში თანამშრომლობის უპირატესობები.

1.2 შიდა სამართალი და პროცედურები

- შიდა სამართლის შესაბამისი დებულებები, რომლებიც კრძალავს ან ადგენს პირობებს ბავშვის სახელმწიფოს იურისდიქციის მიღმა გასაყვანად, შესაძლოა დაეხმაროს გატაცების პრევენციას.

1.2.1 სამგზავრო დოკუმენტები

გასათვალისწინებელია შემდგომი ზომები:

- მოთხოვნა, რომ ბავშვს ჰქონდეს დამოუკიდებელი სამგზავრო დოკუმენტი.
- ორივე მშობლის თანხმობის აუცილებლობა ბავშვზე სამგზავრო დოკუმენტის გაცემამდე.
- ბავშვებისთვის ვიზის გაცემის წესების დადგენისას ბავშვის საერთაშორისო გატაცების შესაძლებლობის გათვალისწინება.
- ბავშვის ვიზის აპლიკაციის კონტექსტში იმ შეთანხმებებისა და ბრძანებების მხედველობაში მიღება, რომლებიც მოწოდებულია ბავშვის გატაცების თავიდან ასაცილებლად.

1.2.2 თანხმობა მგზავრობაზე

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი:

- სადაც ეს აუცილებელია, ბავშვის მიერ იურისდიქციის დატოვებამდე, მოთხოვნილი უნდა იქნას მტკიცებულება, თანხმობის არსებობის შესახებ.
- სტანდარტული თანხმობის ფორმის მიღება, რათა ეს დაეხმაროს თანამიმდევრულობას და თანხმობის არსებობის დანამდვილებით დადგენას.

1.2.3 საზღვრის კონტროლი და საზღვრის გახსნა

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი

- საზღვრის მაკონტროლებელთა მიერ სამგზავრო დოკუმენტების შემოწმების ვალდებულების დადგენა;
- წესების დადგენა, რომელიც კონკრეტული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, საშუალებას მისცემს ხელისუფლების წარმომადგენლებს გააჩერონ და კითხვები დაუსვან მგზავრს, მაშინაც კი, როდესაც საზღვარი ღიაა ან დაწესებულია ნაკლებად მკაცრი კონტროლი.
- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება უკეთესი კონტროლის განსახორციელებლად საერთაშორისო საზღვარზე.

1.2.4 კომერციული საჰაერო და საზღვაო გადაყვანები

მხედველობაში უნდა იქნას შემდეგი:

- კომერციული საჭაერო და საზღვაო გადაყვანების მიმართ მოთხოვნის დაწესება, რომ მათ მიერ მოხდეს ყურადღების გამახვილება ბავშვების გატაცების პრობლემაზე, ასევე მათთვის მოხდეს მოწოდება, რომ ითანამშრომლონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ შესაბამისი პრევენციული ზომების განხორციელების პროცესში.

1.3 სისხლის სამართალი

- შიდასახელმწიფოებრივ სამართალში ბავშვის სახელმწიფოს იურისდიქციის მიღმა გაყვანისა და გაყვანის მცდელობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებამ შესაძლოა შეაფერხოს გატაცება.

2 შეჯამება: შეჯამება: პროაქტიული ზომები - იქ სადაც მომატებულია გატაცების რისკი

2.1. ოჯახის დანგრევა

2.1.1 ნებაყოფლობითი შეთანხმებები და შუამავლობა

- ნებაყოფლობითი შეთანხმებების წახალისება და მედიაციის ხელშეწყობა მეურვეობისა ან ნახვის/კონტაქტის საკითხებთან დაკავშირებით შესაძლოა დამხმარე აღმოჩნდეს შემდგომი გატაცების პრევენციისთვის.
- მხედველობაში შეიძლება იქნას მიღებული სპეციალისტთა შუამავლობის უპირატესობები კულტურათაშორისი წყვილების ურთიერთობებში.

2.1.2 სამართლებრივი რეგულაციები და სასამართლოს ბრძანებები

- განქორწინების, მეურვეობისა და კონტაქტს/ნახვის ამრეგულირებელი შიდა სამართალი უნდა ახდენდეს გატაცების პრევენციას ან უნდა იყოს მისი დამაბრკოლებელი გარემოება;
- სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პრევენციული ზომები შიდა სამართალში გამყარებული იყოს მტკიცე საკანონმდებლო ბაზით.

2.2. გადაადგილება

- გადაადგილების საკითხისადმი ზედმეტად მკაცრ მიდგომას შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი მხარე 1980 წლის კონვენციის მოქმედებაზე და შესაძლოა წახალისოს გატაცება.

2.2.1 საკონტაქტო მშობლის უფლებების დაცვა გადაადგილებისას

- სამართლებრივი დებულებები და გადაწყვეტილებები, რომელიც შეეხება ტრანსსასაზღვრო კონტაქტს/ნახვას უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის საერთაშორისო გატაცების რისკს, როგორც ზოგად პრინციპს.
- სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც დამხმარეა ტრანსსასაზღვრო კონტაქტის განხორციელებისას, შესაძლოა ახდენდეს გატაცების პრევენციას.
- მხედველობაში უნდა იქნას ის სარგებელი, რომელიც მოაქვს საერთაშორისო ინსტრუმენტებთან მიერთებას, რომლებიც მიზნად ისახავს ტრანსსასაზღვრო კონტაქტების საკითხების დარეგულირებას, კერძოდ კი 1996 წლის ჰააგის კონვენციასთან მიერთების საკითხს.

2.2.2 მეურვე მშობლის უფლებების დაცვა, როდესაც ბავშვი ჩართულია კონტაქტის/ნახვის ვიზიტებში საზღვარგარეთ

- კონტაქტთან/ნახვასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები უნდა მოიცავდეს სხვა დაცვის საშუალებებს ბავშვის არასწორი დაკავების რისკის შესამცირებლად კონტაქტის/ნახვის ვიზიტებისას საზღვარგარეთ.

2.3. ბრძანებების აღიარება და აღსრულება საზღვარგარეთ

- ორმხრივ აღიარებასთან დაკავშირებული დებულებები (მათ შორის წინასწარი აღიარება) და მეურვეობასთან ან კონტაქტთან/ნახვასთან დაკავშირებული ბრძანებების აღსრულება წარმოადგენს იმ სამართლებრივი გარემოს მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ემსახურება გატაცების შეფერხებას.

3. შეჯამება: რეკატიული ზომები - გატაცების რეალური რისკის საპასუხოდ

- შიდა სამართლებრივი ნორმები და ადმინისტრაციული პრაქტიკა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს უნდა აძლევდეს საშუალებას სწრაფი და ეფექტური რეაგირება მოახდინონ იქ, სადაც არსებობს გატაცების რეალური საფრთხე.

3.1. საერთაშორისო მგზავრობის ბარიერი

- საერთაშორისო მგზავრობის ეფექტური ბარიერები უნდა განხორციელდეს დაყოვნების გარეშე.

3.1.1 სამგზავრო დოკუმენტაცია

3.1.1.1 პასპორტებისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა

შემდგომი ზომები შესაძლოა დაეხმაროს გატაცების რეალურ რისკზე რეაგირებას

- პასპორტის შეტყობინების სისტემის დანერგვა, რათა დასახელებული პირს მიუვიდეს შეტყობინება, იმის თაობაზე, რომ გაკეთდა განცხადება ბავშვის პასპორტზე.
- შეიძლება უარი იყოს გაცხადებული მითითებული ბავშვისთვის პასპორტის გაცემაზე ან მშობლის პასპორტში ბავშვის ჩაწერაზე, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გატაცების რეალური საფრთხე;
- იმის უზრუნველყოფა, რომ პასპორტის გამცემ ხელისუფლების ორგანოებს დროულად გადაეცეთ განკარგულებები, რომლებიც აფერხებს ბავშვის იურისდიქციის მიღმა გაყვანას და რომელშიც ფიქსირდება მოთხოვნა ამ ორგანოებისადმი არ გასცენ პასპორტი ბავშვზე;
- პასპორტის გამცემი ხელისუფლების ორგანოებს საშუალება უნდა ჰქონდეს რომ ბავშვზე გაცემულ პასპორტში ჩაწერონ გაფრთხილებები ან პირობები.

3.1.1.2 ვიზის გაცემა

- უნდა იყოს იმის შესაძლებლობა, რომ მშობლისა და ბავშვის სავიზო აპლიკაცია განხილული იყოს ცალ-ცალკე;
- მშობლები, რომლებიც ითხოვენ ვიზას საკუთარი შვილისთვის უნდა იყვნენ ინფორმირებული იმაზე, რომ ერთი სახელმწიფოს ვიზის მიღება შესაძლოა იძლეოდეს რეგიონის სხვა სახელმწიფოებში შესვლის საშუალებას.

3.1.1.3 პასპორტებისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გამოთხოვა და გაუქმება

- ყურადღება უნდა გამახვილდეს ბავშვის პასპორტის გამოთხოვის ან განადგურების განხორციელების პროცედურაზე, იქ სადაც არის გატაცების მნიშვნელოვანი საფრთხე;
- კონკრეტულ გარემოებებში ყურადღება უნდა გამახვილდეს ზრდასრულის პასპორტის გამოთხოვისა და გაუქმების საიმპლემენტაციო პროცედურაზე, რომელიც მიზნად ისახავს მისი პასპორტიდან ბავშვის ამოწერას.

- პროცედურა, რომელიც საშუალებას იძლევა ან ითხოვს, რომ ბავშვის ან მშობლის პასპორტი დატოვებული იყოს შესაბამის ხელისუფლების ორგანოებთან კონტაქტის/ხელმისაწვდომობის ვიზიტისას შესაძლოა წარმოადგენდეს ეფექტური დაცვის საშუალებას გატაცების წინააღმდეგ.

3.1.1.4 ბავშვები ერთზე მეტი მოქალაქეობით

- საკონსულო ოფისებს შორის თანამშრომლობის წახალისება იმ ბავშვებისთვის პასპორტების და ვიზების გაცემის, გამოთხოვის და გაუქმების საკითხებზე, რომლებსაც აქვთ ერთზე მეტი მოქალაქეობა.

3.1.2 საზღვრის კონტროლი

3.1.2.1. შეჩერების ბრძანება

- შეჩერების ბრძანება არის მნიშვნელოვანი სამართლებრივი მექანიზმი ბავშვის იმ იურისდიქციის მიღმა გაყვანის პრევენციისათვის, რომელშიც ის ცხოვრობს. უმჯობესი იქნება თუ შეჩერების ბრძანების მოთხოვნა იქნება შესაძლებელი დაუყოვნებლივ, ხოლო სადაც ეს აუცილებელია ერთი მხარის მოთხოვნით;
- შეჩერების ბრძანება უნდა იყოს მკაფიო და ზუსტად შედგენილი, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის ფაქტი, რომ ბავშვი ან ზრდასრული შეიძლება იყოს ერთი ან მეტი ქვეყნის მოქალაქე და მგზავრობდეს სხვა სახელმწიფოს პასპორტითაც.
- შეჩერების ბრძანება დაუყოვნებლივ უნდა გადაეგზავნოს შესაბამისი ხელისუფლების ორგანოებს.

3.1.2.2 საპორტო განგაში/მეთვალყურეობის სისტემა

- საპორტო განგაშის/მეთვალყურეობის სისტემის ქმედითობა არის ღირებული მექანიზმი, რომელიც ემსახურება იმ მიზანს, რომ არ მოხდეს ბავშვის მიერ იურისდიქციის დატოვება.
- აღნიშნული სისტემის გააქტიურებისთვის აუცილებელი ინფორმაცია უნდა დაუყოვნებლივ უნდა გადაეგზავნოს შესაბამის პორტს.
- საზღვრზე თანამშრომლობის ხელშეწყობა თავის მხრივ ხელს უწყობს ინფორმაციის და საჭირო მონაცემების გაცვლას პორტის განგაშის/მეთვალყურეობის სისტემის ფუნქციონირებისთვის.

3.1.2.3 შემოწმება საერთაშორისო საზღვარზე

- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება საერთაშორისო საზღვარზე შეიძლება იყოს მაღალ ეფექტური გზა, ადამიანის მიერ ქვეყანაში შემოსვლას და მის მიერ ქვეყნის დატოვების პრევენციისთვის.
- თანამშრომლებს, რომლებიც ახორციელებენ სასაზღვრო კონტროლს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი სამართლებრივი უფლებამოსილება და ტექნოლოგიური რესურსი, რათა განახორციელონ მათზე დაკისრებული ფუნქციები.

3.2. სამართლებრივი დებულებები და სასამართლო ბრძანებები

ნებისმიერ მშობელს, რომელსაც აქვს გატაცების შიში ხელი უნდა მიუწვდებოდეს პრევენციულ სამართლებრივ საშუალებებზე, მათ შორის, უნდა შეეძლოს ბრძანების მოთხოვნა, რომლითაც განსაზღვრული იქნება მშობლის სამართლებრივი სტატუსი ბავშვთან მიმართებით.

3.2.1 ზომები, რომლებიც გატაცებას ართულებს

- შიდა კანონმდებლობა, რომლითაც წესდება შეზღუდვები და პირობები საერთაშორისო მგზავრობაზე გატაცებას ართულებს.
- დამატებითი უფლებამოსილება შესაძლოა გულისხმობდეს შეზღუდვების ან ფარგლების დაწესებას კონტაქტის/ნახვის შეთანხმებებზე ან შუალედური დაკავების ბრძანებაზე.
- დროებითი ინსტიტუციური საშუალებები, რომლებიც მიზნად ისახავს გატაცების პრევენციას, შესაძლოა სასარგებლო იყოს იქ სადაც არის ბავშვთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი მიმდინარეობს.

3.2.2 ზომები, რომლებიც ამცირებენ გატაცების მოტივაციას

- გატაცების მოტივაციას ამცირებს ისეთი შიდა კანონმდებლობის არსებობა, როგორც არის გაყვანის საწინააღმდეგო მონეტარული გარანტია ან სადამსჯელო ზომების განსაზღვრა, რომლების დაკისრებული იქნება იმ შემთხვევაში თუ მოხდა გატაცება.

3.2.3 ზომები, რომლებიც ხელისუფლების ორგანოებს ანიჭებს უფლებამოსილებას

- პოლიციის ოფიცრებსა და სხვა შესაბამისი ორგანოებსა და დაწესებულებებს უნა მიეცეთ შესაბამისი უფლებამოსილება, რათა ხელი შეუწყონ გატაცების პრევენციას;
- ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ზოგიერთ, მაგრამ არა ყველა ქვეყნაში, იმისათვის რომ პოლიციის ოფიცრს ან სხვა შესაბამის უწყებას ან ორგანოს გაუჩნდეს გატაცების პრევენციაში მონაწილეობის უფლებამოსილება აუცილებელია სისხლის სამართლებრივი ბრალდების არსებობა.

3.3 სასამართლოს ხელმისაწვდომობა

- სასამართლოს ხელმისაწვდომობა არის საკვანძო მშობლისთვის, რათა მან მოითხოვოს, შეცვალოს ან აღიაროს და აღასრულოს ნებისმიერი საჭირო პრევენციული ბრძანება.
- სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს, სადაც ეს შესაძლებელია, ხელმისაწვდომობას სამართლებრივ დახმარებაზე, დოკუმენტების თარგმანზე და განმარტებაზე;
- საგანგებო მდგომარეობის დროს სასამართლოს ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაუყოვნებლივ და თუ საჭიროა არასამუშაო საათებშიც.
- საგანგებო სიტუაციების დროს შეიძლება ბრძანება მიღებული იყოს მხოლოდ ერთი მხარის მონაწილეობით.
- შესაბამისი სასამართლო ბრძანებები უნდა ამოქმედდეს და აღსრულდეს დაყოვნების გარეშე.

4. ინფორმაციის მიწოდება და გავრცელება

- შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და გავრცელება თავისთავად წარმოადგენს მნიშვნელოვან პრევენციულ საშუალებას.

4.1 ინფორმაცია პროაქტიულ ზომებზე

4.1.1 ბავშვების საერთაშორისო გატაცების სერიოზულ შედეგებსა და დინამიკაზე ცნობიერების ამაღლება

- საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ზოგადი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბავშვის ცალმხრივი წაყვანა, როგორც წესი უკანონოა;
- საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ზოგადი ინფორმაცია, რომელშიც ხაზგასმული იქნება ის მძიმე შედეგები, რომლებიც გატაცებას მოაქვს ბავშვისთვის და ასევე ბავშვისთვის,

რამდენადაც ეს შესაძლებელია, ორივე მშობელთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნების მნიშვნელობა.

4.1.2 ცნობიერების ამაღლება პრევენციულ ზომებზე

- ბავშვის გატაცებასთან დაკავშირებულ რისკზე ცნობიერების ამაღლება არის ფაქტორი, რომელზეც დამოკიდებულია მრავალი სხვა პრევენციული ზომის ეფექტურობა. საზოგადოების წევრებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია, რომელშიც ხაზგასმულია გატაცების პრევენციის ყველაზე ეფექტური ზომები.
- ხელშემკვრელმა მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ 1980 წლის კონვენციის მოქმედებაზე ცნობიერების ამაღლებას
- მშობლები, რომლებიც განცალკევებით აპირებენ ცხოვრებას, გაყრას ან განიხილავენ მეურვეობის ან ბავშვის ნახვის საკითხებს შესაძლოა სარგებელი მიიღონ ინფორმაციიდან პრევენციული ზომების და იმ ხელისუფლების ორგანოებისა და დაწესებულებების შესახებ, რომლებსაც მათთვის დახმარების გაწევა შეუძლიათ.

4.1.3 დაცვის ზომებზე ცნობიერების ამაღლება

- ინფორმაცია უნდა გავრცელდეს იმ დამცავი მომსახურების შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია მშობლებისთვის და ბავშვებისთვის მათ ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილას.

4.2. ინფორმაცია რეაქტიულ ზომებზე

- ინფორმაცია უნდა იყოს მიწოდებული პრევენციულ ზომებზე, რომელიც შესაძლოა გატარდეს იმ შემთხვევაში თუ იქნება გატაცების რეალური საფრთხე;
- მშობლებს უნდა ჰქონდეს ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე პრევენციული ზომების შესახებ, კერძოდ, სამართლებრივ პროცედურებზე და ადმინისტრაციულ წარმოებაზე, რომელიც უნდა განხორციელდეს, რათა მოხდეს კონკრეტული პრევენციული ზომის ამოქმედება.

4.2.1 პრევენციული დოკუმენტი

- სახელმწიფოებმა შესაძლოა შეიმუშაონ და გაავრცელონ სრულყოფილი პრევენციული დოკუმენტი მშობლებისთვის, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი პრევენციული ზომები და მოცემული იქნება იმ სახელმწიფო ორგანოების და დაწესებულებების საკონტაქტო ინფორმაცია, რომლებსაც შეუძლიათ დახმარება კონკრეტული პრევენციული ზომების განხორციელების პროცესში;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს საგანგებო სიტუაციები და პრაქტიკული ნაბიჯები, რომელიც გადადგმული იქნება იმ მშობლის მიერ, რომელსაც აქვს გატაცების შიში. დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამის ენებზე.

2.2.2 სპეციფიური ინფორმაცია

- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა და დაწესებულებებმა, რომლებიც ახორციელებენ კონკრეტულ პრევენციულ ღონისძიებებს, უნდა უზრუნველყონ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ამ ზომების განხორციელებაზე შესაბამის სახელმწიფოში.

4.3. გავრცელება

- ზოგადი ინფორმაცია სახელმწიფოში განხორციელებულ პრევენციულ ღონისძიებებზე ფართოდ უნდა გავრცელდეს.

4.3.1 მედია

- მედია უზრუნველყოფს გატაცებაზე ინფორმაციის გავრცელების საშუალებებს ადამიანების დიდი ოდენობისთვის
- როდესაც მედია ითხოვს ინფორმაციას კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ პრევენციულ ღონისძიებებზე და 1980 წლის კონვენციის მიზნებზე.

4.3.2 ინტერნეტი

- ინტერნეტი არის მნიშვნელოვანი რგოლი პრევენციულ ზომებზე ინფორმაციის გასავრცელებლად, რადგან ის ხელმისაწვდომია საერთაშორისო საზღვრებს და საათობრივი სარტყელს მიღმა.
- ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ინფორმაცია უნდა მომზადდეს და გავრცელდეს სხვადასხვა ენაზე.
- ვებ-გვერდებზე, რომლებიც მოიცავენ ინფორმაციას გატაცების პრევენციაზე შესაძლოა განთავსებული იყოს სხვა გვერდების მისამართები, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ იგივე ან სხვა სახელმწიფოში და სთავაზობენ შესაბამის რჩევებს და ინფორმაციას. ვებ გვერდებს შორის შესაძლოა მითითებული იყოს ჰააგის კონვენციის ვებ-გვერდი.
- ინტერნეტის საშუალებით მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს გაკონტროლებული და განახლებული.
- სახელმწიფოს პრევენციული დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინტერნეტ სივრცეში.

4.3.3 დაბეჭდილი ინფორმაცია

- ინფორმაციის ფართო გავრცელების უზრუნველსაყოფად იგი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ბეჭდური სახით, ისევე როგორც ინტერნეტით.
- ბეჭდური ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო ადგილებში
- ბეჭდური ინფორმაცია უნდა იყოს განახლებული, თუ საჭიროა ჩანართების დამატებით.
- სახელმწიფოს პრევენციული დოკუმენტი უნდა იყოს ხელმისაწვდომი დაბეჭდილი სახით.

4.3.4 ინფორმაციის პრეზენტაცია

- ინფორმაცია გატაცების პრევენციაზე უნდა იყოს წარმოდგენილი ნათლად და მოკლედ, ისე რომ მარტივი გასაგები იყოს შეწუხებული მშობლებისთვის.
- ინფორმაცია საგანგებო მდგომარეობაზე უნდა იყოს ხაზგასმული და გამოყოფილი სხვა უფრო ზოგადი ინფორმაციისგან, რათა იყოს მარტივად ხელმისაწვდომი.

4.3.5 საჯარო კამპანიები

- მხედველობაში უნდა იყოს მიღებული გამოქვეყნება და სხვა საჯარო კამპანიები, რათა მოხდეს ინფორმაციის გავრცელება ბავშვების საერთაშორისო გატაცებაზე.

4.3.6 ინფორმაციის ცენტრალური წერტილი

- სახელმწიფოში უნდა იყოს ბავშვის საერთაშორისო გატაცებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გავრცელების ცენტრალური წერტილი. ეს შეიძლება იყოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანო ან სხვა დაწესებულება.
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და დაწესებულებები რომელთაც შეუძლიათ ინფორმაციის მიწოდება და რჩევის გაცემა პრევენციულ ზომებზე უნდა იყვნენ ადვილად

ხელმისაწვდომი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საკონტაქტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, სადაც ეს საჭიროა ასევე მიწოდებული უნდა იყოს კომუნიკაციის თანამედროვე და მარტივი საშუალებები.

- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა და დაწესებულებებმა, რომლებსაც აქვთ ცხელი ხაზი უნდა უზრუნველყონ, მათი თანამშრომლების კარგად მომზადება მომხმარებლისთვის შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად.

5. შეჯამება: სწავლება და თანამშრომლობა

- პრევენციის ნებისმიერ სქემაში მნიშვნელოვანია შესაბამისი სპეციალისტი ტრენერების არსებობა.
- გატაცების პრევენცია მოითხოვს თანამშრომლობას სხვადასხვა დაწესებულებასა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის ერთსა და იმავე იურისდიქციაში ან განსხვავებულ იურისდიქციებში.

5.1 1980 წლის კონვენცია

5.1.1. მიმდინარე შეხვედრები

- ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა გააგრძელონ მონაწილეობა სპეციალური კომისიის შეხვედრებში, რათა გადახედონ 1980 წლის კონვენციის განხორციელებას, მათ შორის კონსულტაციებში მონაწილეობა, განსაკუთრებით, კითხვარების ფორმით.
- სპეციალური კომისიის შეხვედრებში მონაწილეობა სარგებლის მომტანია სხვა სახელმწიფოში მყოფ კოლეგებთან ურთიერთობების გასაღრმავებლად, რამაც შესაძლოა გააფართოვოს თანამშრომლობა.

5.1.2 კონვენციის შემდგომი მომსახურება

- ყურადღება უნდა გამახვილდეს კონვენციის შემდგომ მომსახურებებზე, რომელიც მიწოდებული და ორგანიზებულია ჰააგის კონფერენციის მუდმივმოქმედი ბიუროს მიერ, რათა მოახდინოს იმ სპეციალისტების სწავლება და დატრენინგება, რომლებიც უზრუნველყოფენ 1980 წლის კონვენციის განხორციელებას, მათ შორის პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

5.1.3 ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები

- ცენტრალური ხელისუფლებების ორგანოებს, რომელიც მოქმედებს 1980 წლის კონვენციის შესაბამისად მოეთხოვებათ თანამშრომლობა ერთმანეთთან და ასევე მათ სახელმწიფოებში კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა.
- ცენტრალური ხელისუფლებებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი უფლებამოსილება, ჰყავდეთ კვალიფიციური პერსონალი და ჰქონდეთ ადეკვატური მატერიალური რესურსი, რათა შეიმუშაონ სტრატეგიები პრევენციული ზომების განსახორციელებლად და მათი საქმიანობის გადასახედად.
- ცენტრალურმა ხელისუფლებებმა უნდა შეადგინონ პროცედურული სახელმძღვანელო ახალი თანამშრომლების სასწავლებლად და ასევე გამოსაყენებლად ძველი თანამშრომლებისთვის. აღნიშნული სახელმძღვანელო უნდა შეიცავდეს ნაწილს პრევენციული ზომების დანერგვასა და განხორციელებაზე.
- ცენტრალურმა ხელისუფლებებმა აქტიურად უნდა შეუწყონ ხელი თანამშრომლობას იმ პროფესიონალებს შორის, რომლებიც მუშაობენ ბავშვთა გატაცების პრევენციაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნას თანმიმდევრული და კოორდინირებული პრევენციული სტრატეგია.

5.2 ტრენინგი, რომ ვიმოქმედოთ პროაქტიულად

- ტრენინგი იურისტებისთვის, რომლებიც ჩართული არიან განქორწინების, მეურვეობის ან ბავშვთან შეხვედრის/კონტაქტის საკითხებში, ხაზს უსვამდეს პროაქტიული პრევენციული ზომების მნიშვნელობას, რათა შეფერხდეს და შემცირდეს გატაცება.
- ტრენინგი შესაბამისი პროფესიონალებისთვის უნდა შეიცავდეს ბავშვთა საერთაშორისო გატაცებასთან დაკავშირებულ სერიოზული შედეგების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

5.3 ტრენინგი რეაქტიული ზომების დანერგვასა და განხორციელებაზე

- ტრენინგი ხაზს უსვამდეს დაჩქარებული ქმედების აუცილებლობას, რათა მოხდეს გატაცების პრევენცია
- ტრენინგმა ხაზი უნდა გაუსვას იმის საჭიროებას, რომ გაგებული იქნას სხვადასხვა დაწესებულებების და პროფესიონალების დამხმარე როლი.
- პროფესიონალებმა, სადაც საჭიროა უნდა გაიარონ სწავლება, რათა ჰქონდეთ შესაძლებლობა შენიშნონ გარდაუვალი გატაცება და განახორციელონ შესაბამისი პრევენციული ზომები.

5.4 შიდა ტრენინგები

- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და დაწესებულებები, რომლებსაც აქვთ პრევენციული ზომების განხორციელების ვალდებულება უნდა უზრუნველყონ, რომ ამ ზომების განხორციელების სწავლება ჩართული იყოს ზოგადი სწავლების მოდულში.
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა და დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ პროცედურული სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა თანამშრომლებისთვის რათა მათ შეძლონ ნახვა, თუ როგორ განახორციელონ პრევენციული ზომები. საგანგებო სიტუაციასთან დაკავშირებული ზომები უნდა იყვნენ გამოყოფილი ცალკე მარტივი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.
- იმ პროფესიის წარმომადგენლებმა, რომლებიც ახორციელებენ ექსპერტიზას, იმასთან დაკავშირებით თუ როგორ გაუმკლავდნენ ბავშვის გატაცებას უნდა გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება სხვა კოლეგებს და უზრუნველყონ მათი ინფორმირებულობა შესაბამისი სიახლეების შესახებ.

5.5. უწყებათაშორისი ტრენინგი

- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფოში უნდა თანამშრომლობდნენ და გადიოდნენ უწყებათაშორის ტრენინგებს, რათა გაეცნონ ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების როლს.
- უწყებათაშორისი ჯგუფის ჩამოყალიბება სასარგებლო იქნება ცოდნის გაზიარებისათვის და გამოყენებული იქნება, როგორც ფორუმი დისკუსიისა და მოქმედებისთვის რათა გამოსწორდეს პრევენციული ღონისძიებების დანერგვა და განხორციელება.

5.6 ტრენინგი საერთაშორისო დონეზე

- საერთაშორისო ტრენინგები და თანამშრომლობა გაზრდის პრევენციას.
- ტრენინგები საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე ყურადღებას უნდა ამახვილებდეს შესაბამისი საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების გამოცდილებაზე, როგორც არის, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო სოციალური სერვისები, ინტერპოლი და სხვა.
- პროფესიონალებმა, რომლებიც მუშაობენ ბავშვის გატაცების პრევენციაზე უნდა შექმნან პარტნიორული ქსელი სხვა იურისდიქციის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

სახელმძღვანელო

შინაარსი

1. პროაქტიული ზომები - რომლებიც ქმნის გარემოს გატაცების რისკის შესამცირებლად
 - 1.1. საერთაშორისო ინსტრუმენტები
 - 1.1.1. 1980 წლის კონვენცია
 - 1.1.1.1. იმპლემენტაცია

- 1.1.1.2. ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები
- 1.1.2. სხვა საერთაშორისო და რეგიონალური ინსტრუმენტები
- 1.1.3 ორმხრივი შეთანხმებები
- 1.2. შიდა სამართალი და პროცედურები
- 1.2.1. სამგზავრო დოკუმენტები
- 1.2.2. თანხმობა მგზავრობაზე
- 1.2.3. საზღვრის კონტროლი და ღია საზღვრები
- 1.2.4. კომერციული საჰაერო და საზღვაო გადამზიდები
- 1.3. სისხლის სამართალი
2. პროაქტიული ზომები - იქ სადაც მომატებულია გატაცების რისკი
- 2.1. ოჯახის დანგრევა
- 2.1.1. ნებაყოფლობითი შეთანხმებები და შუამავლობა
- 2.1.2. სამართლებრივი ნორმები და სასამართლო ბრძანებები
- 2.2. გადაადგილება
- 2.2.1 საკონტაქტო მშობლის უფლებების დაცვა გადაადგილებისას
- 2.2.2. მეურვე მშობლის უფლებების დაცვა როდესაც ბავშვი მონაწილეობს მონახულების ვიზიტში საზღვარგარეთ
- 2.3. ბრძანებების აღიარება და აღსრულება საზღვარგარეთ
3. რეაქტიული ზომები - გატაცების რეალური რისკის საპასუხოდ
- 3.1. საერთაშორისო მგზავრობის შემაფერხებელი გარემოებები
- 3.1.1. სამგზავრო დოკუმენტები
- 3.1.1.1. პასპორტებისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა
- 3.1.1.2. ვიზების გაცემა
- 3.1.1.3. პასპორტებისა და საიდენტიფიკაციო ბარათების გამოთხოვა და გაუქმება
- 3.1.1.4. ერთზე მეტი მოქალაქეობის მქონე ბავშვები
- 3.1.2. საზღვრის კონტროლი
- 3.1.2.1. შეჩერების ბრძანება
- 3.1.2.2. საპორტო განგაში/სამეთვალყურეო სისტემები
- 3.1.2.3. საერთაშორისო საზღვრის შემოწმება
- 3.2. სამართლებრივი დებულებები და სასამართლო ბრძანებები
- 3.2.1. ზომები, რომლებიც გატაცებას გაართულებს
- 3.2.2. ზომები, რომლებმაც შესაძლოა შეამციროს გატაცების განზრახვა
- 3.2.3. ზომები, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და დაწესებულებებს ენიჭებათ უფლებამოსილება.
- 3.3. სასამართლოს ხელმისაწვდომობა
4. ინფორმაციის მიწოდება და გავრცელება
- 4.1. ინფორმაცია პროაქტიულ ზომებზე
- 4.1.1. ბავშვთა საერთაშორისო გატაცების დინამიკისა და მისი თანხმლები სერიოზული შედეგების შესახებ ცნობიერების ამაღლება
- 4.1.2. ცნობიერების ამაღლება პრევენციულ ზომებზე;
- 4.1.3. ცნობიერების ამაღლება დამცავ ზომებზე
- 4.2. ინფორმაცია რეაქტიულ ზომებზე
- 4.2.1. პრევენციული დოკუმენტი
- 4.2.2. სპეციფიური ინფორმაცია
- 4.3. გავრცელება
- 4.3.1 მედია
- 4.3.2. ინტერნეტი
- 4.3.3. დაბეჭდილი ინფორმაცია

- 4.3.4. ინფორმაციის პრეზენტაცია
- 4.3.5. საჯარო კამპანიები
- 4.3.6. ცენტრალური საინფორმაციო წერტილი
- 5. სწავლება და თანამშრომლობა
 - 5.1. 1980 წლის კონვენცია
 - 5.1.1. მიმდინარე შეხვედრები
 - 5.1.2. კონვენციის შემდგომი სერვისები
 - 5.1.3. ცენტრალური ხელისუფლებები
 - 5.2. ტრენინგი, პროაქტიული მოქმედებისთვის
 - 5.3. ტრენინგი რეაქტიული ზომების დანერგვისა და განხორციელებისთვის
 - 5.4. შიდა ტრენინგები
 - 5.5. უწყებათაშორისო ტრენინგები
 - 5.6. ტრენინგები საერთაშორისო დონეზე

დანართი - პრევენციული სტრატეგიის განვითარება

1. პროაქტიული ზომები - ისეთი სამართლებრივი გარემოს შექმნა, რომელიც შეამცირებს გატაცების რისკს

- სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ისეთ სამართლებრივ გარემოს, რომელიც ამცირებს გატაცების რისკს

ზოგიერთი პრევენციული ზომა უფრო პროაქტიულია ვიდრე რეაქტიული, ამდენად ისინი მოქმედებენ გატაცების გადაწყვეტილების მიღებამდე და არა გატაცებაზე საპასუხოდ ან მაშინ როდესაც გატაცების რისკი უკვე წარმოიშვა. ასეთი ზომები, მაგალითად, მოიცავს კანონის იმპლემენტაციას და ადმინისტრაციულ პროცედურებს, რომლებიც არეგულირებს ბავშვების საზღვარზე მოძრაობას, ასევე სამგზავრო დოკუმენტების გაცემას და გამოყენებას. ამ და სხვა სფეროში რეგულაციების არსებობაც კი შესაძლოა იყოს გატაცების შემცირებელი საშუალება.

ზოგადად, შეიძლება გამოყენებული იქნას მრავალი პროაქტიული პრევენციული ზომა, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ბავშვის საერთაშორისო გატაცების დინამიკა იცვლება და ყოველთვის შესაძლებელი არ არის იმის წინასწარ განსაზღვრა, თუ როდის მოხდება მსგავსი ფაქტი.¹⁴ გამტაცებელი, სხვებთან ერთად შეიძლება იყოს დედა ან მამა, მომვლელი ან არა მეურვე მშობელი, დანიშნულების ქვეყნის მოქალაქე ან პირი რომელსაც გარეგნულად კავშირი არ აქვს ამ ქვეყანასთან.¹⁵ მშობლები შესაძლოა იყვნენ დაქორწინებულები ან ცხოვრობდნენ ერთად უშუალოდ გატაცების წინ, ან შესაძლოა იმყოფებოდნენ განქორწინების პროცესში, ან იყვნენ განქორწინებულები გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ზოგადად რეგულაციების არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, გატაცების პრევენციისთვის იმ შემთხვევაში, როდესაც არ იყო

¹⁴ კითხვარზე გერმანიის პასუხის შესაბამისად „ის დელება რომ გატაცების მიზეზები და ცხოვრებისეული სიტუაციები, რომლებიც იწვევს გატაცებას ფართო პრევენციას საკმაოდ ართულებს“.

¹⁵ იხილეთ „1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ მიხედვით გაკეთებული განცხადებების 1999 წლის სტატისტიკური ანალიზი, რომელიც მომზადდა ნიველ ლოვეს, სარა არმსტრონგის და ანე მატასის მიერ; განახლებული ვერსია 2001 წლის ნოემბერი, თავდაპირველად გავრცელებული, როგორც წინასწარი დოკუმენტი #3, ხელმისაწვდომი: www.hcch.net ^ child abduction homepage ^ Statistics (შემდგომში „1999 წლის სტატისტიკური კითხვარი). აღნიშნული კვლევის შედეგად ქალ გამტაცებელთა 69% და კაც გამტაცებელთა 52% იყო იმ ქვეყნის მოქალაქე სადაც წაიყვანეს ბავშვი.

წინასწარი გაფრთხილება და შესაბამისად არ იყო იმის შესაძლებლობა განხორციელებულიყო სხვა მეტად კონკრეტული პრევენციული ზომები.

1.1. საერთაშორისო ინსტრუმენტები

- ბავშვის გატაცებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ინსტრუმენტების წარმატებულმა დანერგვამ, მათმა ეფექტურმა განხორციელებამ და გამოქვეყნებამ შესაძლოა შეაფერხოს გატაცება.

მრავალი საერთაშორისო ინსტრუმენტი აღიარებს ბავშვის საერთაშორისო გატაცების პრევენციის მნიშვნელობას და ითხოვს, რომ დაწესებული იყოს პასუხისმგებლობა გატაცების შემთხვევაში. მაშინ, როდესაც ეს ინსტრუმენტები დანერგილია წარმატებით, ეფექტურად ხორციელდება და მათი შინაარსი საკმარისად ვრცელდება საჯაროდ, მათ შესაძლოა შეაფერხონ მშობლის მიერ შვილის გატაცება.

1.1.1 1980 წლის კონვენცია

1.1.1.1 იმპლემენტაცია

- მონაწილე სახელმწიფოებმა სხვა სახელმწიფოებს, თუ ეს შესაძლებელია, უნდა მოუწოდონ 1980 წლის კონვენციის რატიფიცირებისკენ ან მასთან მიერთებისკენ.
- მონაწილე სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის უპირატესობები, რომელიც მოაქვს სხვა სახელმწიფოების მიერთებას და შესაბამისი ყურადღება უნდა მიაქციონ მიერთების ფაქტს, მისი დადგომის შემთხვევაში.
- ახლად მიერთებული სახელმწიფოების მიერ კითხვარის გამოყენების ხელშეწყობა უზრუნველყოფს კონვენციის ზრდას მისი მოქმედების შესუსტების გარეშე.
- ახლად მიერთებული სახელმწიფოები უნდა წახალისდნენ, რათა შეავსონ ჰააგის კონვენციის ვებ-გვერდზე, განთავსებული გითხვარი, რომელიც გამიზნულია სხვა სახელმწიფოების მიერ მოხმარებისთვის.
- მონაწილე სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოს გამოყენებას.
- კონვენციის განხორციელება დანახული უნდა იყოს, როგორც განვითარებისა და იმპლემენტაციის განგრძობადი პროცესი.

ბავშვთა საერთაშორისო გატაცების პრევენციის მომთხოვნი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი არის 1980 წლის კონვენცია. გატაცების პრევენციის მიზანი არის კონვენციის ცენტრალური საკითხი. მოთხოვნა, რომ სახელმწიფოები „ებრძოლო გატაცების რიცხვის ზრდას“ არის ის საბაზისო პრინციპი, რომელსაც ეფუძნება კონვენცია.¹⁶ განმარტებითი ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ არ იგულისხმებოდა კონვენცია ყოფილიყო მხოლოდ რექტიული ინსტრუმენტი, რომელიც დაადგენდა პასუხისმგებლობას იქ, სადაც მოხდებოდა გატაცება, არამედ, და შეიძლება უფრო მეტადაც კი, კონვენციის არსებობა მიზნად ისახავს გატაცების პრევენციას. რა თქმა უნდა, კითხვარებზე პასუხები ასახავს, რომ კონვენციის არსებობა თავისთავად არის კარგი პრევენციული ზომა.¹⁷

კონვენცია ადგენს პროცედურებს, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის სწრაფ დაბრუნებას მისი უკანონო წაყვანის ან თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში. რაც იმ სახელმწიფო

¹⁶ ე. პერესი-ვერა, მეთოთხმეტე სესიის შრომათა და დოკუმენტაციის განმარტებითი ანგარიში, ნაწილი III, ბავშვის გატაცება, პარაგრაფი 10 428 (შემდგომში „პერესი ვერას განმარტებითი ანგარიში“). ხელმისაწვდომია ჰააგის კონვენციის ვებ-გვერდზე www.hcch.net ^child abduction Homepage ^ explanatory report.

¹⁷ იხილეთ გაერთიანებული სამეფოს (შოტლანდია) პასუხი კითხვარზე: „კონვენცია თავისთავად შეიძლება მოქმედებდეს, როგორც პრევენციული ზომა“. გარდა ამისა, ფინეთმა აღნიშნა, რომ „კონვენციაში არსებული დაბრუნების მექანიზმი არის საუკეთესო პრევენციული ზომა“. ასევე გერმანიამ აღნიშნა, რომ „ჰააგის კონვენციის ზედმიწევნითი დანერგვა, მას შემდეგ რაც გატაცება მოხდება სავარაუდოდ იქნება წარმატებული შემაკავებელი ზომა გატაცების წინააღმდეგ“.

ხელისუფლების ორგანოებს, სადაც ბავშვი მუდმივად ცხოვრობს საშუალებას მიეცემს გადაწყვიტონ მეურვეობის საკითხი, ბავშვის ნახვის საკითხი და ზოგჯერ გადაადგილების საკითხი.¹⁸ ამჟამად კონვენცია მოქმედებს ყველა კონტინენტზე და მრავალ განსხვავებულ სამართლებრივ სისტემაში. წერის მომენტში კონვენციის ხელშემკვრელია 75 სახელმწიფო.¹⁹ კონვენცია წარმატებით არის დანერგილი,²⁰ და ეფექტურად ხორციელდება, რამაც შესაძლოა ვინმე შეაფერხოს გატაცების განხორციელებისას ხელშემკვრელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე.²¹ ამ კუთხით, რაც უფრო მეტი სახელმწიფო მოახდენს კონვენციის რატიფიცირებას ან მიუერთდება მას, მეტი იქნება შემაკავებელი ეფექტი. ამდენად, ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა წახალისონ სხვა სახელმწიფოები, რათა მათ მიერ მოხდეს კონვენციის რატიფიცირება ან მასზე მიერთება.²²

როდესაც სახელმწიფო უერთდება კონვენციას, მოქმედმა ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ეს მიერთება, სანამ კონვენცია გამოიწვევს შედეგს ამ ორ სახელმწიფოს შორის. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ის უპირატესობები, რომლებიც აქვს სხვა სახელმწიფოების მიერ კონვენციაზე მიერთებას,²³ როდესაც მოხდება ახალი მიერთება ამ საკითხს სწრაფად უნდა მიექცეს ყურადღება. ამ პროცესისთვის ხელშეწყობის მიზნით, ახლად მიერთებული სახელმწიფოს კითხვარი ხელმისაწვდომია ჰააგის კონვენციის ვებ-გვერდზე.²⁴ კითხვარი ახლად მიერთებულ სახელმწიფოს ატყობინებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების შექმნის საჭიროების შესახებ, რომელიც აუცილებელია კონვენციის დანერგვისა და განხორციელებისთვის. ხელშემკვრელი სახელმწიფოები, რომლებიც მიიღებენ მიერთებას შეიძლება იყენებდნენ წარმოდგენილ პასუხებს. კითხვარის გამოყენება უნდა იყოს წახალისებული, რათა მოხდეს კონვენციის ზრდა მისი განხორციელების შესუსტების გარეშე. აღნიშნულ კითხვარზე მიღებული პასუხი გამოქვეყნებულია ჰააგის კონვენციის ვებ-გვერდზე, რათა გამოყენებული იყოს სხვა სახელმწიფოების მიერ.²⁵ ყველა ხელშემკვრელ სახელმწიფოს, ახალს და ძველს, უნდა ახსოვდეს, რომ კონვენციის იმპლემენტაცია ეროვნულ სამართლებრივი სისტემაში ვერ განიხილება როგორც საბოლოო პროდუქტი, არამედ როგორც მუდმივად განვითარებადი და განახლებადი პროცესი. ამ მიდგომით ხდება კონვენციის შემაკავებელი ეფექტის შენარჩუნება და ასევე გაზრდა. ამ კუთხით, გათვალისწინებული უნდა იქნას საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელოზე - საიმპლემენტაციო ზომები.²⁶ ასევე უნდა გვახსოვდეს მეოთხე სპეციალური კომისიის დასკვნები და რეკომენდაციები:

¹⁸ 1996 წლის 19 ოქტომბრის ჰააგის კონვენციის „იურისდიქციაზე, შესაბამისი კანონმდებლობაზე, აღიარებაზე, აღსრულებაზე და თანამშრომლობაზე მშობელთა პასუხისმგებლობის უზრუნველყოფაზე და ბავშვთა დაცვის ზომებზე“ - მიზანი არის მსოფლიოში ერთგვაროვანი წესების შექმნა ამ საკითხებზე იურისდიქციის განსასაზღვრად (შემდგომში „1996 წლის კონვენცია“).

¹⁹ ხელშემკვრელი სახელმწიფოების განახლებული სია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.hcch.net ^ child abduction Homepage ^ status of the Convention.

²⁰ იხილეთ მეტი საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო - საიმპლემენტაციო ზომები, ზედა შენიშვნა 6.

²¹ გაერთიანებული სამეფო (შოტლანდია) კითხვარზე პასუხში აღნიშნავს, რომ „კომპლური სამხილება იურისტებისგან და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, რომლებიც სთავაზობენ ჰააგის კონვენციაზე ცოდნის ამაღლებას და როგორც ჩანს ბავშვის დაბრუნება მოქმედებს, როგორც პრევენცია ზოგ შემთხვევაში“.

²² იხილეთ მეოთხე სპეციალური კომისიის დასკვნები და რეკომენდაციები, ზედა შენიშვნა 4. კერძოდ, მისი რეკომენდაცია პარაგრაფი 7.2. რომ „უნდა გაგრძელდეს მცდელობა, რომ წახალისდეს იმ სახელმწიფოების მიერ 1980 წლის კონვენციის რატიფიცირება და მიერთება, რომლებსაც შეუძლიათ და სურთ მისი ვალდებულებების აღება. ხელშემკვრელი სახელმწიფოები სასურველია აწყობდნენ რეგიონულ შეხვედრებს ამ მიზნებიდან გამომდინარე.“

²³ კონვენციის სტატუსის სანახავად იხილეთ www.hcch.net ^child abduction homepage ^ Status of Convention.

²⁴ იხილეთ www.hcch.net ^Child Abduction Homepage ^standard Questionnaire For Newly Acceding States.

²⁵ სპეციალურ კომისიაში არსებულ განხილვაზე, რომელიც შეეხებოდა კონვენციის 2002 წლის სექტემბერ/ოქტომბერში, გაიცა რეკომენდაცია კითხვარის გამოყენებაზე. რამდენიმე სახელმწიფოს პასუხმა, მათ შორის იმ ქვეყნების პასუხმა ვინც უკვე მოახდინა რატიფიცირება, ხელმისაწვდომია ჰააგის კონვენციის ვებ-გვერდზე სხვა ქვეყნების მხრიდან კონსულტაციის მიზნით. იხილეთ ^ Child Abduction Homepage ^ Standard Questionnaire for newly acceding states.

²⁶ ზედა სქოლიო 6.

„ეროვნული და რეგიონული სამართლებრივი სისტემები, რომლებშიც კონვენცია ინერგება, განიცდიან ცვლილებებს. იგივე შეეხება ტექნოლოგიურ საშუალებებს, რომლებსაც შეუძლიათ კონვენციის განხორციელების ხელშეწყობა. ამიტომ, სასურველია, იმპლემენტაცია - ეროვნული, თუ რეგიონული - ყოველთვის განხილული იყოს, როგორც განვითარებისა და გაუმჯობესების განგრძობადი პროცესი, მაშინაც კი როდესაც თავად კონვენციის ტექსტი რჩება უცვლელი.“²⁷

1.1.1.2. ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები

- ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფილი უნდა იქნას ადამიანური და მატერიალური რესურსით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების ეფექტური განხორციელების, მონიტორინგისა და გადახედვისთვის.

ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს, რომლებიც მოქმედებენ 1980 წლის კონვენციის შესაბამისად უნდა ჰქონდეთ ადამიანური და მატერიალური რესურსი, რომელიც აუცილებელია პრევენციული ზომების ეფექტური განხორციელებისთვის და განხორციელებისთვის, რათა შემცირდეს გატაცების შემთხვევები. უფრო ზუსტად, ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი რესურსი პრევენციული ზომების დანერგვის სტრატეგიის შემუშავებისთვის და მისი განხორციელების ეფექტის გადახედვისა და შეაფასებისთვის. ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს შექმნისას ან არსებულის შეფასებისას, გათვალისწინებული უნდა იქნას საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო - ცენტრალური ხელისუფლების პრაქტიკა.²⁸

1.1.2. სხვა გლობალური და რეგიონალური ინსტრუმენტები

- ყურადღება უნდა გამახვილდეს სხვა გლობალური და რეგიონალური საერთაშორისო ინსტრუმენტებზე, რომელიც შეეხება ბავშვის საერთაშორისო გატაცებას, კერძოდ 1996 წლის 19 ოქტომბრის ჰააგის კონვენციას „შშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“.

სხვა გლობალური და რეგიონული ინსტრუმენტები შეეხება ბავშვის უკანონო წაყვანასა და დაკავებას. გაეროს 1989 წლის კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ, არის ყველაზე მრავალმხრივი კონვენცია, რომელიც შეეხება ბავშვებს და ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მოუწოდებს იზრუნონ იმაზე, რომ თავიდან იქნას აცილებული ბავშვის გატაცება. სხვა ინსტრუმენტები სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, მოახდინონ გატაცების პრევენცია, და/ან განსაზღვრონ პასუხისმგებლობა გატაცების შემთხვევებისთვის. საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტები, რომლებიც შეიცავენ შესაბამის მითითებებს, სხვებთან ერთად მოიცავს:

- 1980 წლის ევროპის კონვენცია „ბავშვებზე მეურვეობის და მეურვეობის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების შესახებ“;²⁹
- 1989 წლის ამერიკის რეგიონის კონვენცია „ბავშვების საერთაშორისო დაბრუნების შესახებ“;³⁰

²⁷ ზედა სქოლიო 4, პარაგრაფი 2.1.

²⁸ ზედა სქოლიო 5.

²⁹ წერის მომენტში კონვენციის ხელშემკვრელია 192 სახელმწიფო. იხილეთ ბავშვთა გატაცებასთან დაკავშირებული მუხლები, მუხლი 11 და 35.

³⁰ კონვენცია შეეხება ბავშვებთან დაკავშირებული ბრძანებების აღიარებასა და აღსრულებას. კერძოდ, იხილეთ მუხლი 1.

- 1994 წლის ამერიკის რეგიონის კონვენცია „არასრულწლოვანთა საერთაშორისო გადაადგილების შესახებ“;³¹
- 1996 წლის ჰააგის კონვენცია „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“;³²
- 2003 წლის ევროპული კონვენცია „ბავშვებთან დაკავშირებული კონტაქტების შესახებ“;³³
- საბჭოს რეგულაცია #2201/2003 ქორწინებასთან და მშობლის ვალდებულებებთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილებების იურისდიქციის, აღიარების და აღსრულების შესახებ, რომელიც აუქმებს რეგულაციას #1347/2000.³⁴

ბუნებრივია 1996 წლის კონვენცია მეტად საჭირო დამხმარე საშუალებაა, რომელიც არის 1980 წლის კონვენციის შემავსებელი.³⁵ საერთაშორისო სოციალურმა სერვისმა გააკეთა კომენტარი, რომ „1996 წლის ჰააგის კონვენციის რატიფიკაციის ხელშეწყობა ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მისი გამოყენება მოახდენს ბავშვთა გატაცების პრევენციას“.

იქ, სადაც ეს ინსტრუმენტები ფართოდ გამოიყენება და ხორციელდება შესაძლოა შეაფერხდეს მშობელის მიერ ბავშვის გატაცება ხელშემკვრელ სახელმწიფოებში. ასევე, იქ სადაც ეს ინსტრუმენტები აძლიერებს 1980 წლის კონვენციის პრინციპებს, მათ შეუძლიათ გააუმჯობესონ მისი განხორციელება და გაამყარონ კონვენციის შემაკავებელი ეფექტი.

1.1.3 ორმხრივი შეთანხმებები

- სახელმწიფოებმა, რომლებიც დებენ ორმხრივ შეთანხმებას ბავშვების გატაცების თაობაზე არა ხელშემკვრელ სახელმწიფოებთან, შესაძლოა ითხოვონ რჩევა და დახმარება სხვა სახელმწიფოებისგან, რომელთაც აქვთ გამოცდილება აღნიშნულ სფეროში. დამატებითი ინფორმაცია შესაძლოა ასევე მიღებული იქნას მუდმივმოქმედი ბიუროსგან.
- არ უნდა იქნას უგულებელყოფილი მრავალმხრივი ფორმატში თანამშრომლობის უპირატესობები.

1980 წლის კონვენციის ზოგიერთი ხელშემკვრელი მხარე არა ხელშემკვრელ სახელმწიფოებთან აფორმებს ორმხრივ შეთანხმებებს, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვთა გატაცების პრევენციას. ზოგიერთი ასეთი ორმხრივი შეთანხმება შეესაბამება მრავალმხრივ ინსტრუმენტებს, როგორც არის 1980 წლის კონვენცია, სხვები კი იღებენ საკონსულო თანამშრომლობის შეთანხმების ან ადმინისტრაციული შეთანხმების ოქმის ფორმას.³⁶ ზოგიერთი შეთანხმება მუშაობს უკეთ ვიდრე სხვები ამდენად სახელმწიფოები, რომლებიც აპირებენ მსგავსი შეთანხმებების გაფორმებას შესაძლოა რჩევა ჰკითხოთ სხვებს, ვისაც აქვს გამოცდილება ამ სფეროში. დამატებითი ინფორმაცია ასევე შესაძლებელია მოთხოვნილი იქნას მუდმივმოქმედი ბიუროდან. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსმა შეთანხმებებმა შესაძლოა შეადერხოს გატაცება, სახელმწიფოებს უნდა

³¹ კერძოდ, იხილეთ მუხლი 3 და 12-22.

³² კერძოდ, იხილეთ მუხლი 7 და 35.

³³ კერძოდ, იხილეთ მუხლები 10, 16 და 20 (შემდგომში „ევროპის საბჭოს კონტაქტის კონვენცია“).

³⁴ კერძოდ, იხილეთ მუხლები 10 და 11

³⁵ მეოთხე სპეციალური კომისიის დასკვნები და რეკომენდაციები, *ზედა სქოლიო* 4, პარაგრაფი 7.1: „სპეციალური კომისია აღიარებს 1996 წლის ჰააგის კონვენციის „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ პოტენციურ უპირატესობებს, როგორც 1980 წლის კონვენციის დამატებას და რეკომენდაციას უწყვეს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს რომ მოახდინონ მისი რატიფიკაცია და მიღება.“ 2003 წლის 1 აპრილს, კონვენცია ხელმოწერილი იქნა 14 მდე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ, რომლებსაც ხელი არ ჰქონდათ მასზე მოწერილი, ასევე ავსტრალიისა და შვეიცარიის მიერ, ცერემონიაზე, რომელიც გაიმართა ჰააგის მშვიდობის სასახლეში.

³⁶ შემდგომ ინფორმაციისთვის ყურადღება უნდა გამახვილდეს ბავშვთა გატაცებასა და ტრანსსასაზღვრო ურთიერთობაზე: ორმხრივი კონვენციები და ისლამური სახელმწიფოები - კვლევა მომზადებული ცარლინა გოზულანის მიერ მუდმივმოქმედი ბიუროდან, რომელი გავრცელდა როგორც წინასწარი დოკუმენტი #7 1980 წლის კონვენციასთან დაკავშირებულ სპეციალურ კომისიაში 2002 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში. ხელმისაწვდომია: www.hcch.net ^ Child Abduction Homepage ^ Special Commission Related Documents. დამატებითი ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია მოსამართლეთა 2004 წლის შემოდგომის საინფორმაციო ბარათის გამოცემაში, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მალტის სასამართლო კონფერენციაზე ტრანსსასაზღვრო საოჯახო სამართლის თაობაზე და მოიცავს ზოგიერთ ჰააგის და არა ჰააგის ქვეყანას.

ახსოვდეთ უპირატესობები, რაც შეიძლება ჰქონდეს არა ხელშემკვრელი სახელმწიფოების წახალისებას მიუერთდნენ მრავალმხრივ შეთანხმებებს, სადაც ეს შესაძლებელია. მრავალმხრივი ინსტრუმენტების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი მოიცავენ მრავალ სახელმწიფოს, სადაც მათი ნორმები გამოიყენება და არის უფრო ფართო საფუძველი საერთაშორისო თანამშრომლობის, საუკეთესო პრაქტიკის და შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვის გატაცება შესაძლოა მოიცავდეს ორზე მეტ სახელმწიფოს.

1.2 შიდა სამართალი და პროცედურები

- შიდა სამართლის შესაბამისი დებულებები, რომლებიც კრძალავს ან ადგენს პირობებს ბავშვის იურისდიქციის მიღმა გასაყვანად, შესაძლოა დაეხმაროს გატაცების პრევენციას.

მრავალ სახელმწიფოს აქვს წესები, რომლებიც არეგულირებს საერთაშორისო მგზავრობას ან ადგენს შეზღუდვებს ერთი მშობლის მიერ ბავშვის ცალმხრივად გაყვანასა და დაკავებაზე. საერთაშორისო მგზავრობის შემაფერხებელი გარემოებები და პირობები, როგორც არის: მშობლის ვალდებულება წარმოადგინოს შესაბამისი სამგზავრო დოკუმენტი, რათა დატოვოს ან შევიდეს შესაბამის იურისდიქციაში, მშობლის თანხმობის წარმოდგენის მოთხოვნა, სანამ ბავშვს მიეცემა უფლება დატოვოს კონკრეტული სახელმწიფოს იურისდიქცია, ასევე, საერთაშორისო საზღვარზე კონტროლის არსებობა არის საჭირო ზომები გატაცების თავიდან ასაცილებლად. უმჯობესია, შიდა საშუალებების გამოყენება, განსაკუთრებით ჩართული ბავშვისთვის, ბავშვის გაყვანის პრევენციას უნდა ითხოვდეს შიდა სამართალი, ვიდრე ეს ყველაფერი ეყრდნობოდეს მხოლოდ საერთაშორისო სამართალს, რათა მოხდეს ბავშვის დაბრუნება. ამასთან ერთად, შიდა სამართალი, რომელიც ახდენს ბავშვის გატაცების პრევენციას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ჩართული სახელმწიფოებიდან ერთ-ერთი ან ორივე არ არის საერთაშორისო ინსტრუმენტის წევრი.

1.2.1 სამგზავრო დოკუმენტები

მხედველობაში შესაძლოა იქნას მიღებული შემდგომი ზომები:

- მოთხოვნა, რომ ბავშვს ჰქონდეს დამოუკიდებელი სამგზავრო დოკუმენტი.
- ორივე მშობლის თანხმობის აუცილებლობა ბავშვზე სამგზავრო დოკუმენტის გაცემამდე.
- ბავშვებისთვის ვიზის გაცემის წესების დადგენისას ბავშვის საერთაშორისო გატაცების შესაძლებლობის გათვალისწინება.
- ბავშვის ვიზის აპლიკაციის კონტექსტში შეთანხმებებისა და ბრძანებების მხედველობაში მიღება, რომლებიც მოწოდებულია ბავშვის გატაცების თავიდან ასაცილებლად.

ზომები, რომლებიც ითხოვს ისეთი სამგზავრო დოკუმენტების ფლობას, როგორც არის პასპორტი, საიდენტიფიკაციო ბარათი და შესაძლოა დამატებით ვიზა, შესაძლოა შემაფერხებელი იყოს გატაცებისთვის, თუ მშობლები არ ფლობენ საკუთარი ან ბავშვის შესაბამის დოკუმენტებს.

კითხვარზე პასუხისას აღნიშნული იყო, რომ „ბავშვის საზღვარგარეთ გატაცების პრევენციისთვის მეტად მნიშვნელოვანია ბავშვის პასპორტის გაცემის რეგულაციების არსებობა“.³⁷ მრავალი სახელმწიფო პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემამდე ითხოვს ორივე³⁸ მშობლის თანხმობას, რომლებსაც აქვთ კონკრეტული უფლება

³⁷ იხილეთ პოლონეთის პასუხი კითხვარზე. ამასთან კანადამ კითხვარზე საპასუხოდ აღნიშნა, რომ „ყველაზე უსაფრთხო გზა ბავშვის გატაცების პრევენციისთვის არის პასპორტების გაცემის კონტროლი“.

³⁸ გაერთიანებული სამეფოს (შოტლანდია) პასუხის მიხედვით, თუ ვინმე არ გამოდის წინააღმდეგ, გაერთიანებული სამეფოს პასპორტის გაცემაზე პასუხისმგებელი უწყება პასპორტებს გასცემს ერთი მშობლის თანხმობის საფუძველზე.

მოვალეობები ბავშვის მიმართ.³⁹ ზოგიერთ სახელმწიფოში მხოლოდ იმ მშობელს შეუძლია ბავშვისთვის პასპორტის გაცემის მოთხოვნა, რომელსაც მასზე აქვს მეურვეობის უფლება. თუმცა, ორივე მშობლის ხელმოწერა აუცილებელი პასპორტის გაცემამდე.⁴⁰ ზოგიერთ სახელმწიფოში ორივე მშობელს შესაძლოა მოეთხოვოს პირადად მისვლა პასპორტის გამოსატანად შესაბამის ორგანოში თანხმობის დასადასტურებლად.⁴¹ დამატებით, შესაძლოა საჭირო იყოს ბავშვის დასწრება.⁴² ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ იურისდიქციის მიხედვით თანხმობის მოთხოვნასთან ერთად სამგზავრო დოკუმენტის გაცემაზე ბავშვისთვის, შეიძლება მოთხოვნილი იყოს დამატებითი თანხმობა ბავშვის მიერ იურისდიქციის დატოვებაზე (განხილულია შემდგომ სექციაში).

ზოგიერთ სახელმწიფოში შესაძლებელია, რომ ბავშვი ჩაწერილი იყოს მშობლის პასპორტში ან პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში. ამ შემთხვევაში, ბავშვს შეეძლება თავისუფლად იმგზავროს მშობელთან ერთად. გამოითქვა ვარაუდი, რომ აღნიშნულმა შესაძლოა ხელი შეუწყოს გატაცებას. ამდენად, სულ უფრო მეტი სახელმწიფო იღებს რეგულაციებს რომლის მიხედვით ბავშვს მოეთხოვება ჰქონდეს თავისი საკუთარი პასპორტი.⁴³

პასპორტზე და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტზე მოთხოვნასთან ერთად, ზოგიერთი სახელმწიფო კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის ითხოვს ვიზას. გონივრული რეგულაციები ვიზის გაცემისთვის, შესაძლოა იყოს გატაცების პრევენცია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბავშვს უკვე აქვს პასპორტი ან/და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ან ჩაწერილია მშობლის პასპორტში/პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში.⁴⁴ ვიზა ადგენს ვადას, თუ რამდენი ხნით შეუძლია ამა თუ იმ პირს ქვეყანაში დარჩენა და იქ სადაც არის ბრძანება, რომელიც მშობელს უდგენს თუ რამდენი ხანი შეუძლია ყავდეს ბავშვი მისი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ, ეს გარემოება უნდა იქნას მხედველობაში ვიზის გაცემისას. სავიზო კანონმდებლობა და რეგულაციები უნდა ადგენდნენ საფუძვლებს ვიზაზე უარის თქმისთვის თუ ბავშვის მოგზაურობა იქნება უკანონო გაყვანა. შესაძლოა მოთხოვნილი იყოს ორივე მშობლის თანხმობა ვიზის გაცემამდე.⁴⁵ ზოგიერთი სახელმწიფოს საზღვარგარეთის მისია ითხოვს, რომ ბავშვი პირადად მივიდეს ვიზის თვის საელჩოში ან საკონსულო სერვისში.⁴⁶ ამასთან, ვიზა შესაძლოა არ გაიცეს, თუ ნათელია, რომ მგზავრს არ აქვს შესაბამისი თანხები სახლში დასაბრუნებლად. ამდენად, მგზავრის განზრახვა არ არის რომ მისი დარჩენა დანიშნულების ადგილზე იყოს დროებითი, და ვიზაზე შესაძლოა უარი ეთქვას.⁴⁷ სხვა სახელმწიფოში, ვიზის გასაცემად წარდგენილი უნდა იყოს უკან დასაბრუნებელი ბილეთი იმის დასტურად, რომ მგზავრობა არის დროებითი.⁴⁸

1.2.2 თანხმობა მგზავრობაზე

³⁹ იხილეთ არგენტინის, კანადის, ხორვატიის, დანიის, ფინეთის, ისლანდიის, მალტის, პანამის, პოლონეთის და შვედეთის პასუხები კითხვარზე. იხილეთ არგენტინის სამოქალაქო კოდექსის მუხლი 264 (4). აშშ-ში 2001 წლის 2 ივლისის კანონი, #106113, სექცია 236, მიხედვით ითხოვს ორივე მშობლის თანხმობას 14 წლამდე ბავშვის პასპორტის გაცემამდე.

⁴⁰ იხილეთ კანადის (ქვებეკის) პასუხი კითხვარზე. სხვა სახელმწიფოებში მშობელს, რომელსაც ერთპიროვნულად აქვს შეიღებოდა მეურვეობა შეუძლია მარტო გადაწყვიტოს ბავშვისათვის პასპორტის ან პირადობის მოწმობის გაცემის საკითხი. ასევე იხილეთ ავსტრიის და დანიის პასუხები კითხვარზე.

⁴¹ პასპორტის მიღება განქორწინებული მშობლებისთვის ისრაელში შესაძლებელია თუ ორივე მშობელი მივა საპასპორტო უწყებაში და ხელს მოაწერენ თანხმობას. იხილეთ ისრაელის პასუხი კითხვარზე. მალტის პასუხის მიხედვით, ორივე მშობელმა უნდა გამოხატოს თანხმობა განაცხადზე ხელმოწერით რეკომენდატორის თანდასწრებით.

⁴² იხილეთ შვედეთის პასუხი კითხვარზე.

⁴³ გაერთიანებულ სამეფოში, 1998 წლის 5 ოქტომბრიდან აღარ არის შესაძლებელი ბავშვის ჩაწერა ზრდასრულის პასპორტში. ასევე კანადაში, ეს აღარ არის შესაძლებელი 2001 წლის დეკემბრიდან. ამ თარიღებიდან ბავშვისთვის პასპორტის მოთხოვნისას შესაძლებელია მხოლოდ დამოუკიდებელი პასპორტის მოთხოვნა.

⁴⁴ ინფორმაციისთვის თუ როგორ მოქმედებს ეს სიტემა აშშ-ში იხილეთ: www.usembassy.org.uk/cons_new/visa/index.html

⁴⁵ იხილეთ ფინეთისა და ისლანდიის პასუხი კითხვარზე. ისლანდიაში ორივე სამართლებრივი მეურვემ უნდა მიმართოს ბავშვის ვიზაზე და ვიზის გაცემის პირობა არის ის, რომ ერთი მშობელი მაინც უნდა მგზავრობდეს ბავშვთან ერთად.

⁴⁶ იხილეთ ფინეთის პასუხი კითხვარზე.

⁴⁷ იხილეთ შვედეთის პასუხი კითხვარზე, ციტირება: www.migrationsverket.se/english.jsp

⁴⁸ იხილეთ მალტის პასუხი კითხვარზე.

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი:

- მტკიცებულების მოთხოვნა, რომ თანხმობა გაცემულია, სადაც ეს აუცილებელია, ბავშვის მიერ კონკრეტული იურისდიქციის დატოვებამდე.
- სტანდარტული თანხმობის ფორმის მიღება, რათა ეს დაეხმაროს თანამიმდევრულობას და თანხმობის არსებობის დანამდვილებით დადგენას.

ზოგადად რეკომენდირებულია, რომ არსებობდეს მოთხოვნა, ორივე მშობლის თანხმობის არსებობაზე, სანამ ბავშვი დატოვებს იურისდიქციას. აღნიშნული მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს გატაცებას.⁴⁹ რამდენიმე სახელმწიფოში, მაგრამ ეს არის სახელმწიფოების მცირე ნაწილი, მსგავსი მოთხოვნა არსებობს, ბავშვს იურისდიქციის დატოვება შეუძლია მხოლოდ მშობლის თანხმობით (მიუხედავად იმისა ფლობს თუ არა ბავშვი მოქმედ სამგზავრო დოკუმენტს).⁵⁰ აღნიშნული თანხმობა მოპოვებული უნდა იქნას ყოველ ჯერზე საზღვარგარეთ გამგზავრებისას. სახელმწიფოების უმეტესობაში, მშობლის თანხმობის მოთხოვნა შემოიფარგლება თანხმობით სამგზავრო დოკუმენტის გაცემაზე, და არა თავად საზღვარგარეთ გამგზავრებაზე. ასეთ სახელმწიფოებში, იგულისხმება, რომ თანხმობა სამგზავრო დოკუმენტის გაცემაზე გულისხმობს ასევე თანხმობას მის შემდგომ გამოყენებაზე. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ თანხმობა იყოს ნებაყოფლობით გამოთქმული და არ იყოს მოპოვებული თაღლითურად.

იმ სახელმწიფოებში, რომლებიც ითხოვენ თანხმობას ბავშვის მიერ იურისდიქციის დატოვებამდე, მსგავსი თანხმობის გაცემის მარეგულირებელი წესები განსხვავებულია. მაგალითად, შესაძლოა იყოს მოთხოვნილი ორივე მშობლის თანხმობა (მიუხედავად იმისა იმყოფებიან თუ არა ისინი ქორწინებაში, ცალ ცალკე ცხოვრობენ თუ არიან განქორწინებულები, ან აქვს თუ არა ერთ-ერთს მეურვეობა) სანამ ბავშვი კანონიერი გზით დატოვებს იურისდიქციას.⁵¹ სხვა სახელმწიფოებში, საჭიროა მხოლოდ მეურვეობის უფლების მქონე მშობლის (ან მშობლების) თანხმობა ბავშვის მიერ იურისდიქციის დასატოვებლად, როგორც წესი ნებართვა გაცემულია წერილობითი ფორმით, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში დამტკიცებული უნდა იყოს სანოტარო წესით.⁵²

შეიძლება მოხდეს შეთანხმება ერთ სტანდარტულ თანხმობაზე (გაცემული სხვადასხვა ენაზე), რომელიც დაეხმარება საზღვრის კონტროლის განმახორციელებლებს, რათა მათ იმოქმედონ სწრაფად თუ მგზავრობაზე ნებართვა გაცემულია (კერძოდ თუ დაკმაყოფილებულია აუცილებელი პირობები მსგავსი ნებართვის არსებობის დასადასტურებლად). გარდა ამისა, სტანდარტული თანხმობის ფორმა თანხმობის პროცედურას გახდის ნაკლებად მძიმეს მგზავრთათვის. ახლა, სავარაუდოდ შესაძლოა მოთხოვნილი იქნას თანხმობის განსხვავებული ფორმა ყველა იურისდიქციაში, რომელშიც მოხდება გადასვლა. სტანდარტული თანხმობა უზრუნველყოფს ნამდვილობას და თანამიმდევრულობას.

ამ მიმართულებით, მუდმივმოქმედი ბიურო მუშაობს სახელმწიფოებთან და შესაბამის სახელისუფლებო ორგანოებთან შეთანხმებით, რათა შეიმუშაოს რეკომენდირებული ან სტანდარტული ფორმა, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნას ამ სიტუაციაში. ეს ფორმა აუცილებელია დამტკიცებული იქნას სპეციალური კომისიის შეხვედრაზე და შემდგომში ხელმისაწვდომი იქნება ჰააგის კონვენციის ვებ-გვერდზე.

1.2.3 საზღვრის კონტროლი და საზღვრის გახსნა

⁴⁹ იხილეთ მალტის პასუხი კითხვარზე.

⁵⁰ იხილეთ კანადას პასუხი კითხვარზე.

⁵¹ იხილეთ არგენტინის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 264 (4) და მუხლი 28, პარაგრაფი 8 ისლანდიის ბავშვთა აქტი #76/2003 მშობლებთან კავშირში რომლებმაც მიიღეს მეურვეობა.

⁵² იხილეთ კანადის, არგენტინის და ესტონეთის პასუხი კითხვარზე.

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგ

- საზღვრის მაკონტროლებელთა მიერ სამგზავრო დოკუმენტების შემოწმების ვალდებულების დადგენა;
- წესების დადგენა, რომელიც კონკრეტული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, საშუალებას მისცემს ხელისუფლების წარმომადგენლებს გააჩერონ და კითხვები დაუსვან მგზავრს, მაშინაც კი, როდესაც საზღვარი ღიაა ან დაწესებულია ნაკლებად მკაცრი კონტროლი.
- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება უკეთესი კონტროლის განსახორციელებლად საერთაშორისო საზღვარზე.

სამგზავრო დოკუმენტების და/ან თანხმობის მოთხოვნა არის მცირე ეფექტის მქონე იქ, სადაც საბუთები შენმდგომში არ არის შემოწმებული საერთაშორისო საზღვარზე. რეალურად, კითხვარზე პასუხის გამცემმა სახელმწიფოებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ დოკუმენტების საზღვარზე შემოწმება არის ყველაზე ეფექტური პრევენციული საშუალება.⁵³ კითხვარის სხვა რესპონტენტმა ხაზი გაუსვა საზღვრის კონტროლის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ „რეგულაციები და ზომები შეიძლება გახდეს არაეფექტური, თუ სახელმწიფოში შესაბამისად არ ხდება საზღვრის კონტროლი.⁵⁴ საზღვრის კონტროლის მეთოდები შესაძლოა განსხვავდებოდეს იმის მიხედვით თუ როგორია მგზავრობის მეთოდი ან მგზავრის მოქალაქეობა, ან დანიშნულების ქვეყანა.

არის რამდენიმე სახელმწიფო, რომელთა შორის მგზავრობა შესაძლებელია მცირე დოკუმენტაციით ან საზღვრის მარტივი კონტროლით. ზოგიერთ ადგილას, მაგალითად, როგორც არის შენგენის შეთანხმების საინპლემენტაციო კონვენციის⁵⁵ მონაწილე სახელმწიფოები, აქტიურად ხდება საერთაშორისო საზღვარზე თავისუფალი მიმოსვლის წახალისება. არ უნდა იქნას უგულებელყოფილი ის შემთხვევები, რომელიც აქვთ დაბრკოლებებს საერთაშორისო საზღვარზე.⁵⁶ ამის გათვალისწინებით, წევრი სახელმწიფოების მიერ მოწოდებულ კითხვარებში შენგენის შეთანხმებასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „იმ ზონების მხედველობაში მიღებით, სადაც არის თავისუფალი მიმოსვლა საზღვრის კონტროლის გარეშე, პრაქტიკაში ძნელია ბავშვის გაყვანის პრევენცია, თუ მგზავრობის განრიგი და თარიღი უცნობია.“⁵⁷ შენგენის კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც ასევე არიან 1980 წლის კონვენციის ხელშემკვრელები, აღიარებენ ზოგიერთი საზღვრის კონტროლის მნიშვნელობას კონკრეტულ სიტუაციებში და აქვთ საინფორმაციო სისტემა⁵⁸ რათა ხელშეწყობილი იქნას მონაცემების მიმოცვლა, თუმცა ეს პირდაპირ არ ვრცელდება ბავშვის გატაცების პრევენციაზე.⁵⁹ შენგენის ზონაში ყველა სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს დროებითი საზღვრის კონტროლის ინიცირება სხვა სახელმწიფოებთან მიაბრთებაში. იმის შესაძლებლობა, რომ მოახდინო დროებითი დაბრკოლებების შექმნის ინიცირება, სადაც ეს საჭიროა, შეიძლება გახდეს გატაცების პრევენციის ნაწილი იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებსაც აქვთ გახსნილი საზღვრები. ამ ზომების არსებობის შესახებ ინფორმირებულობა, ასევე შესაძლოა გახდეს შემავრცელებელი.

ზოგიერთ გარემოებაში მგზავრების ეროვნება მოქმედებს საერთაშორისო საზღვრების კონტროლზე. მაგალითად, ნაკლებად მკაცრი კონტროლია ევროპის მოქალაქეებისთვის ევროპის ტერიტორიაზე მგზავრობისას; ან იმ ქვეყნების მოქალაქეებისთვის, რომლებიც არიან

⁵³ იხილეთ კანადის პასუხი (ქვებეკი): „პრევენციის ყველაზე ეფექტური ზომა, რა თქმა უნდა არის სამგზავრო დოკუმენტების კონტროლი“.

⁵⁴ იხილეთ არგენტინის პასუხი კითხვარზე.

⁵⁵ 1985 წელს ბელგიამ, საფრანგეთმა, გერმანიამ, ლუქსემბურგმა და ნიდერლანდებმა გადაწყვიტეს, რომ შეექმნათ ტერიტორია საზღვრების გარეშე. შეთანხმება მიღწეული იქნა შენგენში, ლუქსემბურგში, ამდენად ტერიტორია ცნობილი გახდა როგორც შენგენის ზონა. ავსტრია, ბელგია, დანია, საფრანგეთი, ფინეთი, გერმანია, საბერძნეთი, ისლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, ესპანეთი და შვედეთი. 2007 წელს შენგენის ზონას დამატებით შეუერთდნენ შვეიცარია.

⁵⁶ იხილეთ მესამე სპეციალური კომისიის შეხვედრის, რომლის მიზანია ბავშვთა გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ ჰააგის კონვენციის განხორციელების გადახედვა (17-21 მარტი, 1557) ანგარიში მომზადებული მუდმივმოქმედი ბიუროს მიერ (შემდგომში „მესამე სპეციალური კომისის ანგარიში“), რომლის 25-ე პარაგრაფში აღნიშნულია, რომ „საზღვრის კონტროლის გაუქმება შენგენის ტერიტორიაზე, ხელს შეუწყობს ბავშვთა გატაცებას ამ ზონაში.“

⁵⁷ იხილეთ ფინეთის პასუხი კითხვარზე.

⁵⁸ შენგენის საინფორმაციო სისტემა.

⁵⁹ 2004 წლის ივნისში საბჭომ დაადგინა, რომ შენგენის საინფორმაციო სისტემა უნდა მოცავდეს, სხვა რაღაცეებთან ერთად „იმის ტექნიკურ შესაძლებლობას, რომ დამატებული იქნას ახალი კატეგორია, რომ განგაში იყოს არასრულწლოვანებზე, რათა გამოირიცხოს მათი გაყვანა შენგენის ზონიდან - შესაბამისი სამართლებრივი და ფუნქციური მოთხოვნები უნდა იყოს შემოწმებული დეტალურად.“ არის რამდენიმე საკითხი, რომელიც განიხილებოდა სამუშაო სხვებდრაზე თუმცა არ იყო შეთანხმებული პასუხი. ყურადღება ასევე გამახვილებულია არავიწოდებულ სახელმწიფოების მონაწილეობაზე შენგენის საინფორმაციო სისტემაში.

ჩრდილოეთის საპასპორტო შეთანხმების წევრები⁶⁰ ამ ზონაში მგზავრობისას. თუმცა იქაც, სადაც კონტროლი ნაკლებად მკაცრია კონკრეტული ქვეყნების მოქალაქეებისთვის ან მგზავრობა ქვეყნებს შორის არის ღია საზღვრის პრინციპით სამგზავრო დოკუმენტაცია შესაძლოა კვლავ იყოს საჭირო კონკრეტულ გარემოებებში. ამასთან დოკუმენტაცია შესაძლოა შემოწმდეს მხოლოდ ad hoc პრინციპით, დოკუმენტების მოთხოვნა შეიძლება იყოს გატაცების შემაკავებელი. ასევე, მაშინაც კი სადაც სამგზავრო დოკუმენტები არ არის მოთხოვნილი, მგზავრებს შეიძლება მოეთხოვოთ სასაზღვრო კონტროლის გავლა.⁶¹ ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც ბავშვი მგზავრობს ერთ მშობელთან ერთდ, მესაზღვრეს შეუძლია მშობლის გამოკითხვა ან იმის გადამოწმება გაცვა თუ არა მეორე მშობელმა საჭირო თანხმობა.⁶²

ტრადიციულ სასაზღვრო კონტროლთან ერთდ, ზოგიერთი სახელმწიფო იყენებს მეტად დახვეწილ ტექნოლოგიებს რათა დარეგულირდეს საერთშორისო მგზავრობა. ზოგიერთი სახელმწიფო იყენებს ელექტრონული პასპორტის წამკითხველებს, რომლითაც ხდება იმ მგზავრის პასპორტების სკანირება, რომლებიც შედიან მის იურიდიქციაში ან ტოვებენ მას.⁶³ ასეთი კონტროლი, როგორც წესი, უფრო ეფექტურია, ვიდრე არაავტომატური შემოწმება. მგზავრთან დაკავშირებული ინფორმაცია, ისეთი როგორც არის მეურვეობა, ნახვაზე შეთანხმება ან მშობლის თანხმობის აუცილებლობა მგზავრობამდე შეიძლება შენახული იქნას ელექტრონულად პასპორტთან ერთდ. პასპორტის წამკითხველებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია დასკანირების დროს. ერთ სახელმწიფოში გამოცდილი იყო პასპორტების სკანირების სისტემა იმ ადამიანებისთვის, ვინც ტოვებენ კონკრეტულ პორტს.⁶⁴ მსგავსი ტექნოლოგიების გამოყენება საზღვრის კონტროლზე შეიძლება აფერხებდეს გატაცებას. ერთ-ერთ სახელმწიფოში მგზავრებს, რომლებსაც არ სჭირდებათ ვიზა მოეთხოვებათ პასპორტები, რომლებიც შეიძლება ელექტრონულად შემოწმდეს, რათა შევიდნენ ამ სახელმწიფოში. მოსალოდნელია, რომ 2005 წლის ბოლოს ამ სახელმწიფოებში შესასვლელად სავალდებულო იყოს ბიომეტრიული პასპორტები, გარდა იმ შემთხვევებისა თუ პასპორტი გაცემულია ამ წესის ძალაში შესვლამდე.⁶⁵ ეს ზომა შეიძლება მნიშვნელოვნად ამცირებდეს გატაცების შესაძლებლობას ამ სახელმწიფოში, რადგან საზღვრის მკვილები ინფორმირებული იქნებიან გატაცების შესაძლებლობის შესახებ.

1.2.4. კომერციული საჰაერო და საზღვაო გადამყვანები

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი:

- კომერციული საჰაერო და საზღვაო გადამყვანების მიმართ მოთხოვნის დაწესება, რომ მათ მიერ მოხდეს ყურადღების გამახვილება ბავშვების გატაცების პრობლემაზე, ასევე მათთვის მოხდეს მოწოდება, რომ ითანამშრომლონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ შესაბამისი პრევენციული ზომების განხორციელების პროცესში.

საჰაერო ან საზღვაო მგზავრობა, რომელშიც ჩართული არიან კომერციული გადამყვანები ხშირად არის უფრო მკაცრი კონტროლის ობიექტი, ვიდრე ეს ხდება ხმელეთზე მგზავრობისას.⁶⁶ შესაძლოა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ არ იყოს მოთხოვნილი პირის მიერ სამგზავრო დოკუმენტის ფლობა, მაგრამ ავიახაზები და საზღვაო კომპანიები მაინც ითხოვენ მათ.⁶⁷ ეს ხდება იმიტომ, რომ თუ პირს არ შეუძლია შესვლა დანიშნულების ქვეყანაში, როგორც წესი მისი დაბრუნება არის გადამყვანის პაუხისმგებლობა, რაც უნდა გააკეთოს საკუთარი

⁶⁰ 1557 წლის 12 ივლისის ჩრდილოეთის ქვეყნების შეთანხმება რომელიც ძალაშია დანიას, ფინეთს, ისლანდიას, ნორვეგიას და შვედეთს შორის.

⁶¹ არგენტინის კითხვარზე პასუხის მიხედვით, არგენტინის მოქალაქეებს არ ესაჭიროებათ პასპორტები მეზობელ ქვეყნებში შესასვლელად (ჩილე, ბოლივია, ბრაზილია, პარაგვაი და ურუგვაი).

⁶² იხილეთ არგენტინი, კანადისა და სლოვაკეთის პასუხი კითხვარზე.

⁶³ ავსტრალიაში ეს სისტემა, მგზავრების ანალიზის სისტემა, მეტად ეფექტურია.

⁶⁴ ინფორმაცია მიღებული იქნა ჰუმან ოფისთან შეხვედრისას, ლონდონში.

⁶⁵ დამატებითი ინფორმაციისთვის, სისტემაზე რომელიც მოქმედებს აშშ-ში იხილეთ: < http://www.usembassy.org.uk/cons_new/visa/index.html >.

⁶⁶ არგენტინამ კითხვარზე პასუხის შევსებისას აღნიშნა, რომ "სასაზღვრო კონტროლი მეტად ეფექტურია საჰაერო გადამზიდებისა და გემის შემთხვევაში, მაგრამ ნაკლებად ეფექტურია მხრალი/სახმელეთო საზღვრის შემთხვევაში".

⁶⁷ იხილეთ გაერთიანებული სამეფოს (შოტლანდიის) პასუხი კითხვარზე.

ხარჯებით.⁶⁸ იმის გაცნობიერება, რომ შესაბამისი სამგზავრო დოკუმენტი შეიძლება მოტხოვნილი კომერციულ გადამყვანის მიერ შეიძლება იყოს შემაფერხებელი.

კომერციული საჰაერო და საზღვაო გადამყვანები, როგორც წესი, ფხიზლად არიან, რათა უზრუნველყონ მგზავრების მიერ შესაბამისი სამგზავრო დოკუმენტების ფლობა. თუმცა, მათ იშვიათად აქვთ სამართლებრივი ვალდებულება, რომ განახორციელონ ზომები, რომელიც მოწოდებულია ბავშვის გატაცების პრევენციის ან გამოვლენისკენ.⁶⁹ კითხვარის რესპოდენტმა აღნიშნა, რომ საჰაერო და საზღვაო გადამყვანის პერსონალი ითხოვს თანხმობის დადასტურებას, თუ ბავშვი არ მგზავრობს ორივე მშობელთან ერთად.⁷⁰ სხვა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ იქ, სადაც არ არის სამართლებრივი ვალდებულება, საჰაერო და საზღვაო გადამზიდებს მოწოდებენ გადაამოწმონ აქვს თუ არა იმ მშობელს რომელიც მარტო მგზავრობს ბავშვთან ერთად მეორე მშობლის თანხმობა. წერილი უნდა იყოს ხელმოწერილი და დათარიღებული და აძლევედეს კონკრეტული მგზავრობის ნებართვას.⁷¹

1.3 სისხლის სამართალი

- შიდასახელმწიფოებრივ სამართალში ბავშვის იურისდიქციის მიღმა გაყვანისა და გაყვანის მცდელობისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებამ შესაძლოა შეაფერხოს გატაცება.

მშობლის მიერ ბავშვის საერთაშორისო გატაცება დანაშაულია მრავალ სახელმწიფოში.⁷² თუმცა იმის განმარტება თუ რა არის სამართალდარღვევა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. მაგალითად, ზოგიერთ იურისდიქციაში ბავშვის უკანონო წაყვანა არის დანაშაული,⁷³ მაშინ როცა დანაშაულია ასევე უკანონო დაკავება.⁷⁴ ზოგიერთ ქვეყანაში მშობლის მიერ ბავშვის გატაცება დანაშაული არის მხოლოდ მაშინ თუ გამტაცებელ მშობელს არ აქვს მშობლის უფლება ან მეურვეობის უფლება.⁷⁵ სხვა ქვეყნებში, მშობელი მეურვეობის უფლებით შეიძლება დამნაშავედ იქნას მიჩნეული ბავშვის გატაცებაში, იურისდიქციის მიღმა გაყვანის შემთხვევაში, თუ ის თავისი ქმედებით სხვა მშობელს უკარგავს ბავშვის ნახვის უფლებას.⁷⁶ კანონმდებლობა ზოგიერთ სახელმწიფოში დანაშაულად მიიჩნევს კონკრეტულად გატაცებას მშობლის მიერ⁷⁷ მაშინ როცა, სხვა სახელმწიფოებში, არის უფრო ზოგადი დანაშაული გატაცების სახით, რომელიც ასევე ხშირად შეიძლება გამოყენებული იქნას მშობლებისა და მესამე პირების მიმართ ერთნაირად.⁷⁸

ბავშვის განმარტება (უფრო ზუსტად კი იმ ასაკის, რომლის შემდეგაც პირი აღარ ითვლება ბავშვად ბავშვის გატაცების დანაშაულის მიზნებისთვის) განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. კითხვარზე პასუხი გვიჩვენებს, რომ ასაკი მერყეობს 14 დან 16 წლამდე.⁷⁹ ასევე მნიშვნელოვანი

⁶⁸ იხილეთ ორგანიზაციის „Childs Focus“-ის (ბელგიაში არსებული არასამთავრობო ორგანიზაცია) პასუხი კითხვარზე.

⁶⁹ იხილეთ, მაგალითად, ავსტრიის, ჩინეთის (ჰონგ კონგი), ხორვატიის, ესტონეთის, ფინეთის, გერმანიის, ისლანდიის, იტალიის, მალტის, პანამის, პოლონეთის, სლოვაკეთის, გაერთიანებული სამეფოს (შოტლანდიის) პასუხები კითხვარზე. თუმცა, ფინეთმა თავის პასუხში აღნიშნა, რომ საჰაერო და საზღვაო გადამზიდები თანამშრომლობენ პოლიციასთან ბავშვთა გატაცების პრევენციის მიზნით.

⁷⁰ იხილეთ არგენტინის პასუხი კითხვარზე.

⁷¹ იხილეთ კანადის (ქვებეკი) პასუხი კითხვარზე.

⁷² ბავშვის გატაცება დანაშაული მრავალ სახელმწიფოში, მათ შორის არგენტინაში, ბელგიაში, კანადაში, ჩინეთში (ჰონგ კონგი), ხორვატიაში, დანიაში, ფინეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, ისლანდიაში, ისრაელში, იტალიაში, მალტაში, ახალ ზელანდიაში, პანამაში, შვედეთში, შვეიცარიაში და გაერთიანებულ სამეფოში - მაგრამ არა ყველგან. მშობლის მიერ ბავშვის გატაცება არაა დანაშაული ავსტრალიასა და ესტონეთში მაგალითად.

⁷³ მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში.

⁷⁴ პოლონეთის კანონმდებლობის მიხედვით უკანონო დაკავება დანაშაულია, და ჩადენის შემთხვევაში შეიძლება დასჯადი იყოს.

⁷⁵ იხილეთა ავსტრიის, სლოვაკეთის და პოლონეთის პასუხი კითხვარზე. თუმცა შვედეთში, მშობელს რომელსაც აქვს მეურვეობის უფლება სხვა მშობელთან ერთად, შეიძლება იყოს ბრალდებული გატაცებაში, თუ ის ბავშვს მოსტაცებს მეორე მშობელს.

⁷⁶ იხილეთ, ICMEC/NCMEC პასუხი კითხვარზე, კერძოდ აქტი საერთაშორისო გატაცება მშობლის მიერ, 18 18 USC 1204 აშშ-ს ფედერალური კანონი

⁷⁷ იხილეთ კანადის, ფინეთის, გაერთიანებული სამეფოს (შოტლანდიის) და ICMEC/NCMEC პასუხი კითხვარზე.

⁷⁸ იხილეთ ახალი ზელანდიის, სლოვაკეთის და შვეიცარიის პასუხი კითხვარზე. თუმცა პორტუგალიაში, ხელისუფლების წარმომადგენლები ფიქრობენ რომ უარი თქვან იმაზე, რომ მშობლის მიერ შვილის გატაცება იყოს დანაშაული რათა მოიხსნას პორტუგალიის სადამსჯელო კოდექსის 245 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

⁷⁹ კანადის სისხლის სამართლის კოდექსის 282(1) მუხლით ბავშვის გატაცება დანაშაულია, თუ პირი არის 14 წლამდე. ჩინეთში (ჰონგ კონგი) განსხვავებული გატაცების დანაშაული შეიძლება იყოს 14 წლამდე ბავშვის გატაცებისთვის, 16 წლამდე დაუქორწინებელი გოგოს გატაცებისთვის და 18 წლამდე არასწრულწლოვანის გატაცებისთვის. პოლონეთში სისხლის სამართლის კოდექსის 211 მუხლი შეეხება 15 წლამდე პირის გატაცებას. ახალ ზელანდიაში ახალგაზრდა პირი ცრიმინალური აქტის 210 მუხლის მიზნებისთვის არის 16 წლამდე პირი.

გასხვავება სახელმწიფოებს შორის იმის მიხედვით თუ რა სასჯელია გათვალისწინებული ბავშვის გატაცებისთვის. ზოგიერთ სახელმწიფოში დანაშაული შეიძლება ისჯებოდეს თავისუფლების აღკვეთით 6 თვემდე, მაშინ როცა სხვა სახელმწიფოებში გატაცება ისჯება თავისუფლების აღკვეთით 10 წელზე მეტი ვადით.⁸⁰ კითხვარის ერთ-ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ „მკაცრი სასჯელი ემსახურება პოტენციური გამტაცებლების შეკავებას“.⁸¹ ზოგიერთ სახელმწიფოში ბრალეულობა ვრცელდება არა ამრტო გამტაცებელზე, არამედ ასევე პირზე, რომელიც ხელს უწყობს გატაცების ფაქტს ან მოქმედებს, როგორც თანამზრახველი.⁸²

ცალკეული დანაშაულებისგან განცალკევებით, ბევრ სახელმწიფოს აქვს დამატებითი დაკავშირებული დანაშაულები თავიანთ სისხლის სამართალში. ზოგიერთ ქვეყანაში შეიძლება დანაშაული იყოს ბავშვის და არამეურვე მშობლის შეხვედრის/კონტაქტის ხელის შეშლა⁸³ ან მეურვეობის ან შეხვედრის/კონტაქტის ბრძანების დარღვევა.⁸⁴ სხვა დაკავშირებული დანაშაულები მოიცავს, პასპორტის თაღლითური გზით მიღების მცდელობას,⁸⁵ ტრეფიკინს,⁸⁶ და პირისთვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვას.⁸⁷

სპეციალური კომისიის მესამე შეხვედრის ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ „ბავშვის გატაცებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების მთავარი მიზანი არის ამ გატაცების შეფერხება, მათ შორის იმ გატაცებისა, რომელიც უკავშირდება კონვენციის არაწევრ სახელმწიფოს.“⁸⁸ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ თუ პრევენციული ზომების გასატარებლად ან გატაცების შესაფერხებლად აუცილებელია სისხლის სამართლებრივი ბრალდების არსებობა, გამტაცებლის მიერ იურისდიქციის დატოვების შემტხვევაში სისხლის სამართლის ბრალდების აუცილებლობას შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი ეფექტი 1980 წლის კონვენციის გამოყენებაზე (იხილეთ ქვევით 3.2.3).

2. პროაქტიული ზომები - იქ სადაც მომატებულია გატაცების რისკი

2.1. ოჯახის დაშლა

ზოგადად გამოსაყენებელი პრევენციულ ზომებთან ერთად, შესაძლოა კონკრეტული გარემოებების არსებობისას საჭირო იყოს შეუქცევადი პრევენციული ზომების გატარებაც, იქ სადაც შეინიშნება გატაცების მომეტებული საფრთხე. მომეტებული საფრთხის მაგალითი მოიცავს მშობლების დაცილებას, ან დაგეგმილი გადაადგილებას. შეუქცევადი ზომების ხასიათის გაცნობიერებისას მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა. ერთის მხრივ, თავიდან უნდა იქნას ისეთი შეზღუდვების დაწესება, რომელმაც შესაძლოა ხელყოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებები ან კონსტიტუციური თავისუფლებები⁸⁹ (და რომელსაც საბოლოო ჯამში შესაძლოა ჰქონდეს გაუთვალისწინებელი და უარყოფითი ეფექტი, რაც წახალისებს გატაცებას); ხოლო მეორეს მხრივ, მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა, რომელიც პრევენციას გაუკეთებს გატაცებას და უზრუნველყოფს ბავშვის უფლებას შეინარჩუნოს კონტაქტი ორივე მშობელთან.⁹⁰

2.1.1 ნებაყოფლობითი შეთანხმებები და შუამავლობა

⁸⁰ ფინეთის სისხლის სამართლის კოდექსის, 25-ე თავის, მე 5 სექციით 16 წლამდე ბავშვის გატაცება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით 6 თვემდე. ისრაელში ბავშვის გატაცება ისჯება მაქსიმუმ 7 წლის თავისუფლების აღკვეთით. ისლანდიის ზოგადი სისხლის სამართლის კოდექსის (No. 15/1540) 153 მუხლით, პირი რომელიც ბავშვს გაიტაცებს იმ პირისგან რომელიც არის მზრუნველი მშობელი ან ეხმარება ასეთ გატაცებას, შეიძლება იყოს დაჯარიმებული ან სევერადოს ტავისუფლების აღკვეთა 16 წლამდე ვადით.

⁸¹ იხილეთ ისრაელის პასუხი კითხვარზე.

⁸² პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 211

⁸³ იხილეთ არგენტინის სისხლის სამართლის კოდექსის, აქტი 24.270 მუხლი 2. ეს ტონთში ეს არის სამართალდარღვევა სამოქალაქო კანონმდებლობით. ასევე იხილეთ გაერთიანებული სამეფოს (შოტლანდია) პასუხი კითხვარზე.

⁸⁴ იხილეთ კანადის (ფედერალური) სისხლის სამართლის კოდექსი, ს127 და ს50(1) მანიტობას ოჯახის მართვის აქტი. ასევე იხილეთ ხორვატიისა და იტალიის პასუხი კითხვარზე.

⁸⁵ იხილეთ კანადის (ფედერალური) სისხლის სამართლის კოდექსის 57 (2) ქვეპარაგრაფი.

⁸⁶ იხილეთ გერმანიის პასუხი კითხვარზე, კერძოდ კი გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის ნაწილი 181 (1) და ნაწილი 236.

⁸⁷ მაგალითად ფინეთის პასუხისმგებლობის კოდექსი, თავი 25 და ნაწილი 235 გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი.

⁸⁸ მესამე სპეციალური კომისია, *ზედა სქოლო* 60; პარაგრაფი 4.

⁸⁹ სლოვაკეთი კითხვარზე პასუხისას სასურველად მიიჩნევს, რომ შეუქცევადი ზომების გასატარებლად შიდა კანონმდებლობაში უნდა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი შეზღუდვები, რომელიც ეხება მოქალაქთა ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს იყოს ნათლად განსაზღვრული კანონში. სხვანაირად შესაძლოა რომ ეს ზომები იყოს არაკონსტიტუციური.

⁹⁰ იხილეთა გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია, მუხლი 10 (2).

- ნებაყოფლობითი შეთანხმებების წახალისება და მედიაციის ხელშეწყობა მეურვეობისა ან ნახვის/კონტაქტის საკითხებთან დაკავშირებით შესაძლოა დამხმარე აღმოჩნდეს შემდგომი გატაცების პრევენციისთვის.
- მხედველობაში შეიძლება იქნას მიღებული სპეციალისტთა შუამავლობის უპირატესობები კულტურათაშორისი წყვილების ურთიერთობებში.

ნებაყოფლობითი დაცვითი შეთანხმება, იმ ეტაპზე, როდესაც მშობლები შორდებიან ან განიხილავენ მეურვეობის ან ბავშვთან კონტაქტის/ნახვის საკითხებს, თავისთავად მეტად გამოსადეგი ზომია.⁹¹ ერთი კითხვარის რესპოდენტმა რჩევის სახით აღნიშნა, რომ გატაცების პრევენციის ბრძანებაში „განსაკუთრებული მცდელობა უნდა გაკეთდეს, რათა მშობლები შეთანხმდნენ ნებაყოფლობით გადაწყვეტილებებზე.“⁹² იმისთვის, რომ ხელშეწყობილი იყოს ნებაყოფლობითი შეთანხმება, ოჯახური შუამდგომლობა შესაძლოა იყოს გამოსადეგი.⁹³ არასამთავრობო ორგანიზაციის სპეციალისტის რჩევის მიხედვით ეს შუამავლობა სავარაუდოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ზომია გატაცების თავიდან ასაცილებლად.⁹⁴ ამასთან, თუ მშობლები იყვნენ გაშორებულები ურთიერთობის პროცესში მათ უნდა სცადონ კონტაქტის შენარჩუნება ერთმანეთთან და ერთმანეთის ნათესავებთან, როგორც გატაცების ტავიდან აცილების საშუალება.⁹⁵ ეს შეიძლება ხელშეწყობილი იყოს ოჯახური მედიაციის მიერ.

რა თქმა უნდა მედიაცია უფრო წარმატებული იქნება საწყის ეტაპზე, როდესაც არის გაზრდილი მტრობა მშობლებს შორის, რადგან არსებობს გატაცების საფრთხე ან შიში. თუ მშობლებს შეუძლიათ შეინარჩუნონ კომუნიკაცია ერთმანეთთან ბავშვის გამო, ისინი ნაკლებად იმოქმედებენ ცალმხრივად. საერთაშორისო სოციალური სერვისის ადგილობრივი ფილიალი ახორციელებს დაქორწინებამდე და დაქორწინების შემდგომ საკონსულტაციო პროგრამებს, განსაკუთრებით ოჯახებისთვის, რომელიც იქნება სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის. ამ კონსულტაციის მიზანია ბავშვის გატაცების პრევენცია, რომელიც უფრო სავარაუდოა, როდესაც მშობლები სხვადასხვა ქვეყნიდან არიან წარმოშობით.⁹⁶

ევროპის საბჭოს კონტაქტის კონვენცია,⁹⁷ ასევე აღიარებს ნებაყოფლობითი შეთანხმებების და მედიაციის მნიშვნელობას საერთაშორისო სიტუაციებში, ითხოვს რა ხელშემკვრელი მხარეებისგან, რომ „ხელი შეუწყონ მშობლებს მიაღწიონ მიგობრულ შეთანხმებას კონტაქტის მიზნით, კერძოდ ოჯახური მედიაციის გამოყენებით.“⁹⁸

2.1.2 სამართლებრივი რეგულაციები და სასამართლოს ბრძანებები

- შიდა სამართალი, რომელიც არეგულირებს განქორწინებას, მეურვეობას და კონტაქტს/ნახვას უნდა ახდენდეს გატაცების პრევენციას ან უნდა იყოს მისი დამაბრკოლებელი გარემოება;
- სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პრევენციული ზომები შიდა სამართალში უნდა წარმოადგენდნენ მტკიცე საკანონმდებლო ბაზას.

⁹¹ იხილეთ გერმანიის პასუხი კითხვარზე.

⁹² იხილეთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები რომლებიც მოითხოვენ მკაცრ დაკვირვებას ბავშვის მიმართ მშობლის უფლებების შეზღუდვაზე და აღიარებენ რომ უსაფუძვლო შეზღუდვებმა შესაძლოა მივიყვანოს ბავშვის დაშორებამდე საკუთარ მშობელთან. ასევე იხილეთ ტრანსსასაზღვრო კონტაქტი/სახვედრა და 1980 წლის 25 ოქტომბრის ჰააგის კონვენცია ბავშვთა გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ. იხილეთ ევროპის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელიც ითხოვს მკაცრ დაკვირვებას მშობლის უფლებებზე ბავშვთან დაკავშირებული მშობლის უფლების შეზღუდვაზე და აღიარებენ, რომ ამან შესაძლოა გამოიწვიოს მშობლისგან ბავშვის დაშორება. გენერალური მდივნის მოადგილის, ვილიამ დუკანის მიერ მომზადებული საბოლოო ანგარიში (შემდგომში ტრანსსასაზღვრო კონტაქტის/ნახვის ანგარიში) ხელმისაწვდომია www.hcch.net > ^ Child Abduction Homepage ^ Special Commission Related Documents ეს ანგარიში მოიცავს შემდგომ გადაწყვეტილებებს: ელსპოლცი გერმანიის წინააღმდეგ, 2000 წლის 13 ივლისი, ასევე სხვებთან ერთად მოიცავს იოჰანსენს ნორვეგიის წინააღმდეგ, 1956 წლის 7 აგვისტო და ბრონდა იტალიის წინააღმდეგ, 1958 წლის 15 ივნისი. ასევე იხილეთ კუტცნერი გერმანიის წინააღმდეგ, 2002 წლის 26 თებერვალი.

⁹³ იხილეთ შვედეთის პასუხი კითხვარზე.

⁹⁴ ამ მიმართულებით უნდა აღნიშნოს, რომ თუ გატაცება მოხდა 1980 წლის კონვენციის ხელშემკვრელები ფლობენ მანდატს მოითხოვონ ნებაყოფლობითი გადაწყვეტა. იხილეთ მუხლი 10 და 7(c).

⁹⁵ ფოკუსი შეხვედრა ბავშვთან, ბრუსელი, 2003 წლის მაისი. საერთაშორისო სოციალური სერვისის ასევე გამოთქვამს რეკომენდაციას, რომ სასამართლოები რომლებიც განიხილავენ გაშორებას გასცემენ მედიაციის ბრძანებას მანამ მიიღებენ გაშორების სხვა ზომებზე გადაწყვეტილებას.

⁹⁶ გაერთიანება - ბავშვთა გატაცების საერთაშორისო ცენტრი.

⁹⁷ ზედა სქოლიო 37 - კონდოიანი, საერთაშორისო სოციალური სერვისის დირექტორი, ჰელენიკის ფილიალში „კონსულტაციის სერვისის სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის არსებულ ოჯახებისთვის. პრევენციის საშუალება“, 2004 წლის მაისი.

⁹⁸ იხილეთ მუხლი 7

შიდა კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს განქორწინებას, მეურვეობას და ბავშვთან კონტაქტს/ნახვას შეიძლება მოიცავდეს ნორმებს, რომელიც მიზნად ისახავს გატაცების დემოტივაციას.⁹⁹ ერთ-ერთ სახელმწიფოში, უკანასკნელ პერიოდში მიღებული კანონმდებლობა რეგიონალური სასამართლოს მოსამართლეებისგან, რომლებიც იხილავენ ნახვის უფლებას ითხოვს საქმის შეფასებას და გატაცების რისკის განსაზღვრას. რისკის არსებობისას მათ უნდა უზრუნველყონ შესაბამისი პრევენციული ზომების მიღება.¹⁰⁰ სხვა სახელმწიფოში ბავშვის საუკეთესო ინტერესები (რომლებიც მოიცავს უკანონო გატაცებისა ან დაკავების რისკს) პირველადია, როდესაც სასამართლოები იღებენ ნებისმიერ ბრძანებას ან გადაწყვეტილებას მეურვეობასთან, საცხოვრებელთან ან კონტაქტთან დაკავშირებით.¹⁰¹

როდესაც სასამართლოები განიხილავენ საქმეებს განქორწინებაზე, მათ შეიძლება სურდეთ, ან მშობლებმა შეიძლება აირჩიონ, რომ ნებისმიერ ბრძანებაში ან შეთანხმებაში შეტანილი იქნას დამხმარე ბრძანებები, რომელიც მიზნად ისახავს გატაცების პრევენციას. ასეთი ბრძანებები შეიძლება განკუთვნილი იყოს იმისთვის, რომ გატაცება გართულდეს პრაქტიკაში, ან იყოს მისი დემოტივატორი. იმის გადაწყვეტისას თუ რა შეზღუდვის ზომებია საჭირო, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ორივე, ბავშვის გატაცებისგან დაცვის საჭიროება და ბავშვის უფლება შეინარჩუნოს კავშირი/კონტაქტი¹⁰² ორივე მშობელთან. უფრო მკაცრი ზომები შეიძლება იყოს გამართლებული, როცა არსებობს გატაცების მნიშვნელოვანი საფრთე (იხილეთ ქვევით 3.2).

მკაფიო სამართლებრივი ბაზის შექმნა სამოქალაქო პასუხისმგებლობისთვის (ისევე როგორც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის) ასევე შეიძლება იყოს გატაცების ეფექტური დემოტივატორი. კონკრეტულ სახელმწიფოებში, მშობელი, რომელიც იტაცებს ბავშვს, ჩადის კანონსაწინააღმდეგო ქმედებას სამოქალაქო სამართლით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის საფრთხის შეუქმნელად. შედეგად, მას შეიძლება დაეკისროს მეურვეობის მქონე მშობლისთვის ყველა ხარჯის ანაზღაურება, რაც გამოიწვია ბავშვის დაბრუნების პროცესმა.¹⁰³

კითხვარზე პასუხებში ჩანს, რომ მრავალ სახელმწიფოში სასამართლოს აქვს ფართო უფლებამოსილება გამოსცეს ბრძანება, თუ ეს საჭიროა გატაცების პრევენციისთვის.¹⁰⁴ თუმცა, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მრავალ სახელმწიფოში არის სპეციალური კანონმდებლობის დიფიციტი, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვის გატაცების შეფერხებას ან მის დემოტივაციას.¹⁰⁵ ასევე, ფართო სასამართლო დისკრეცია შესაძლოა სასამართლოს აძლევდეს მოქნილობას, რომ მიიღოს მნიშვნელოვანი ზომები გატაცების თავიდან ასაცილებლად, ასეთი დისკრეცია უნდა ავსებდეს, და არ მოიცავდეს, შესაბამის კანონმდებლობას. პრევენციული ზომების განხორციელებისას მტკიცე საკანონმდებლო ბაზა, უზრუნველყოფს, რომ იყოს მკაფიო და არაბუნდოვანი გაფრთხილება პოტენციური შედეგების შესახებ, რაც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის გატაცებამ.

2.2 გადაადგილება

⁹⁹ ონტარიოს 1950 წლის ბავშვთა სამართლის რეფორმის აქტის მესამე ნაწილის ერთ-ერთი მზიანი, მე-15 მუხლის (c) შესაბამისად არის „გატაცების დემოტივაცია, როგორც მეურვეობის უფლების ალტერნატივა, მოცდის პროცესში.“ იხილეთ კანადის პასუხი კითხვარზე.

¹⁰⁰ იხილეთ ICMEC/NCMEC პასუხი კითხვარზე. ასეთი კანონმდებლობა არსებობს აშშ-ში, კალიფორნიაში, ილინოისსა და ორეგონში.

¹⁰¹ იხილეთ შვედეთის 1958 წლის მშობლის კოდექსი. თავი 6, ნაწილი 2ა

¹⁰² იხილეთ გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-10 (2) მუხლი

¹⁰³ ხილეთ გერმანიის პასუხი კითხვარზე, სამართლებრივი ბაზა სამოქალაქო პასუხისმგებლობისთვის გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ნაწილი 823(2)

¹⁰⁴ იქ სადაც ბავშვი იყო გატაცებული ისრაელში სასამართლოებს აქვთ ფართო უფლებამოსილება ჰააგის 1951 წლის კონვენციით, რომ მოახდინონ გატაცების პრევენცია. სასამართლოს სეუძლია ამგალითად, მხედველობაში მიიღოს „ნებისმიერი სხვა ბრძანება რომელმაც შესაძლოა შემდგომში დააზიანოს ბავშვი ან მხარეთა უფლებები და ინტერესები, ან რამაც შესაძლოა უზრუნველყოს ბავშვის ნებაყოფლობითი დაბრუნება, ან საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტა“ იხილეთ ისრაელის პასუხი კითხვარზე.

¹⁰⁵ ამ ზომების მნიშვნელობა ხაზგასმულია მრავალ პასუხში კითხვარზე და ზოგიერთ სახელმწიფოში ზომები მალე იქნება გატარებული. სლოვაკეთის პასუხის შესაბამისად „არ არის სპეციალური სამართლებრივი ნორმები სლოვაკეთის სამართალში, რომელიც სეიძლება შემაფერხებელი იყოს ან რომელსაც შესაძლოა ქონდეს სპრევენციული ეფექტი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რეკოდიფიციერებასთან დაკავშირებით (და ევროპის კონტაქტის კონვენციის რატიფიცირებასთან დაკავშირებით) დიდად სავარაუდოა, რომ ასეთი ზომები იყოს მიღებული.“

- გადაადგილების საკითხების მიმართ განსაკუთრებით მკაცრმა მიდგომამ შესაძლოა იქონიოს უარყოფითი გავლენა 1980 წლის კონვენციის¹⁰⁶ მოქმედებაზე და წაახალისოს გატაცება.

როდესაც მეურვეობის უფლების მქონე მშობელი¹⁰⁷ ბავშვთან ერთად გადაადგილდება სხვა ქვეყანაში, მეორე მშობელმა შესაძლოა გადაწყვიტოს შესაბამისი ზომების მიღება ბავშვთან მისი ურთიერთობის უფლების დასაცავად. ანალოგიურად, თუ ბავშვთან კონტაქტში მყოფი მშობელი (contact parent) საცხოვრებლად საზღვარგარეთ გადადის, მეურვეობის უფლების მქონე მშობელმა შესაძლოა მოისურვოს შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, რათა თავიდან აიცილოს ბავშვის პოტენციურად უკანონო დაკავება მასთან კონტაქტში მყოფი მშობლის მიერ, როდესაც ბავშვი საზღვარგარეთ მშობლის ურთიერთობის უფლების განხორციელების ფარგლებში იმყოფება.

სახელმწიფოებს აქვთ სხვადასხვაგვარი მიდგომა გადაადგილების საკითხის მიმართ. რიგ სახელმწიფოებში, ბავშვზე მეურვეობის უფლების მქონე თითოეული პირის თანხმობა აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ბავშვის გადაადგილების უფლების მისანიჭებლად.¹⁰⁸ ამასთან, შესაძლოა დამატებით საჭირო გახდეს ბავშვთან კონტაქტში მყოფი მშობლის თანხმობაც.¹⁰⁹ რამდენიმე სახელმწიფოში გადაადგილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო,¹¹⁰ თუმცა არის შემთხვევები, როდესაც გადაადგილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მშობლების მიერ.¹¹¹

ამასთან, ეროვნულ კანონმდებლობაში შესაძლოა არსებობდეს მოთხოვნა, რომლის თანახმად მეურვეობის უფლების მქონე მშობელი ვალდებულია, შეატყობინოს შესაბამის პირს საცხოვრებელი ადგილის ცვლილების შესახებ.¹¹²

გადაადგილების საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას სასამართლომ შესაძლოა დაადგინოს სხვადასხვა პირობა გადაადგილების ბრძანებების მიმართ (orders), როგორცაა მაგალითად, ბავშვთან კონტაქტის უფლების მქონე მშობელთან დაკავშირებული ბრძანების ცნობის აუცილებლობა მეორე სახელმწიფოში.¹¹³

სასამართლოებმა შესაძლოა მოითხოვონ გადაადგილების შესახებ შეტყობინების გაგზავნის გარკვეული პერიოდი, რათა მეორე მშობელს მიეცეს განცხადების გასაჩივრების საშუალება.¹¹⁴ კითხვარის რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ თუ რომელიმე მშობელი არ უჭერს მხარს გადაადგილების გადაწყვეტილებას, არსებობს გატაცების მაღალი რისკი; მშობელმა, რომელსაც არ მიენიჭა გადაადგილების უფლება, შედეგად შესაძლოა გაიტაცოს ბავშვი;¹¹⁵ ხოლო მშობელმა, რომელიც უკმაყოფილოა ბავშვთან მისი კონტაქტის/წვდომის უფლების მარეგულირებელი ნორმებით, შესაძლოა დაიტოვოს ბავშვი შესაბამისი ვიზიტის დროს.¹¹⁶ ამასთან დაკავშირებით, მეოთხე სპეციალური კომისიის დასკვნები და რეკომენდაციები განსაზღვრავს, რომ:

"სასამართლოებმა შეიძლება გამოიყენონ სხვადასხვა მიდგომები გადაადგილების საქმეებზე, რომლებიც თავს იჩენს ისეთი სიხშირით, რაც 1980 წლის კონვენციის შემუშავების დროს არ იყო გათვალისწინებული. ამკარაა, რომ განსაკუთრებით მკაცრმა მიდგომამ გადაადგილების

¹⁰⁶ იხილეთ ქვედა სქოლიო 124.

¹⁰⁷ ტერმინმა „მეურვეობის უფლების მქონე მშობელი“ დაკარგა მნიშვნელობა რამდენიმე სამართლებრივ სისტემაში. თუმცა აღნიშნული კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, ტერმინი „მეურვეობის უფლების მქონე მშობელი“ განსაზღვრავს მშობელს, ვისთანაც ბავშვი ცხოვრობს.

¹⁰⁸ იხილეთ არგენტინის სამოქალაქო კოდექსის 264(4^o) მუხლი, რაც შეეხება ისლანდიას, ბავშვების შესახებ კანონის No. 20/1552 35-ე მუხლის მეორე პარაგრაფი (ახალი No. 76/2003 აქტის 28-ე მუხლის მე-8 პარაგრაფი). რაც შეეხება გაერთიანებულ სამეფოს (შოტლანდია) იხილეთ ბავშვთა (შოტლანდიის) აქტი 1555 s 2(3).

¹⁰⁹ იხილეთ გაერთიანებული სამეფოს (შოტლანდიის) პასუხი კითხვარზე.

¹¹⁰ ჩინეთში (ჰონგ-კონგი) ქორწინების მარეგულირებელი კანონის 54-ე მუხლის (MCR) (Cap. 175A) თანახმად, ბავშვის მე-18 მუხლის ფარგლებში მუდმივი გაყვანის შესახებ განაცხადი შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში. იხილეთ ჩინეთის (ჰონგ-კონგის) პასუხი კითხვარზე.

¹¹¹ რიგმა ქვეყნებმა, მათ შორის ფინეთმა და სლოვაკეთმა, აღნიშნეს, რომ სასამართლოები იშვიათად განიხილავენ საქმეებს გადაადგილების შესახებ. ისლანდიაში, სასამართლო არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება, რომლითაც იგი ანიჭებს მშობელს უფლებას, წაიყვანოს შვილი კონკრეტული იურისდიქციიდან. დანიასა და შვედეთში, ერთპიროვნული მეურვეობის უფლების მქონე მშობელს აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის საცხოვრებელი ქვეყნის შესახებ.

¹¹² მაგალითად, ბავშვთა სამართლის აქტი 1557, c.C-8.2, სასკაჩევანთან მიმართებით, და კანადის ფედერალური განქორწინების აქტი

¹¹³ იხილეთ კანადის პასუხი კითხვარზე.

¹¹⁴ კანადის განქორწინების (ფედერალური) აქტის თანახმად, თუ მშობელი, რომელსაც აქვს ბავშვზე მეურვეობის უფლება, გადაწყვეტს შეცვალოს ბავშვის საცხოვრებელი ქვეყანა, ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მეორე მშობელს საცხოვრებელი ადგილის ცვლილებამდე 30 დღით ადრე ან სასამართლოს მიერ მითითებულ პერიოდში. ასევე იხილეთ მალტას პასუხი კითხვარზე.

¹¹⁵ იხილეთ არგენტინის პასუხი კითხვარზე.

¹¹⁶ იხილეთ არგენტინის, ისრაელის და მალტას პასუხები კითხვარზე.

განცხადებების მიმართ, შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს 1980 წლის კონვენციის მოქმედებაზე¹¹⁷.

2.2.1 ბავშვთან კონტაქტის/წვდომის უფლების მექანიზმების უზრუნველყოფა გადაადგილების დროს

- ზოგადი პრინციპის თანახმად, ბავშვთან ტრანსსასაზღვრო კონტაქტის/წვდომის უფლების მარეგულირებელმა სამართლებრივმა ნორმებმა და გადაწყვეტილებებმა უნდა გაითვალისწინონ ბავშვთა საერთაშორისო გატაცების რისკი.
- სამართლებრივი დაცვის საშუალებებმა, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვთან ტრანსსასაზღვრო კონტაქტის უფლების ეფექტურ განხორციელებას, შეიძლება მოახდინოს გატაცების პრევენცია.
- გათვალისწინებულ უნდა იქნეს იმ მრავალმხრივ ინსტრუმენტებთან მიერთების შედეგად მიღებული სარგებელი, რომლებიც არეგულირებენ ბავშვთან ტრანსსასაზღვრო კონტაქტს, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ხაზგასასმელია ჰააგის 1996 წლის კონვენცია.

1980 წლის კონვენციის ფარგლებში წარდგენილი განაცხადების დაახლოებით 17% შეხება ბავშვთან კონტაქტის/წვდომის უფლებას, რა დროსაც მშობელი და ბავშვი სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობენ.¹¹⁸ ამასთან, ამკარაა, რომ ბევრი განმცხადებელი, რომელიც აკეთებს განაცხადს დაბრუნების თაობაზე, ცდილობს მისი კონტაქტის უფლების უზრუნველყოფას.¹¹⁹ 1980 წლის კონვენციის 21-ე მუხლის მიზანია, „ბავშვთან კონტაქტის/წვდომის უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფა“ და „ამ უფლების განხორციელების ყველა დამაბრკოლებელი ფაქტორის აღმოფხვრა, შესაძლებლობების ფარგლებში“. ბავშვთან კონტაქტის უფლების დაცვა აუცილებელი პირობაა გატაცების პრევენციისკენ. სპეციალური კომისიის მესამე შეხვედრაზე, რომელიც ეძღვნებოდა 1980 წლის კონვენციის მოქმედების შეფასებას, მოკლედ აღნიშნა, რომ „გატაცებები შესაძლოა თავიდან იქნეს აცილებული, მშობლებისთვის ბავშვთან შესაბამისი კონტაქტის/წვდომის უფლების უზრუნველყოფით“.¹²⁰ ტრანსსასაზღვრო კავშირის საკითხების განხილვისას, სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილონ ბავშვთა პოტენციურ საერთაშორისო გატაცებაზე.¹²¹

ბავშვზე ტრანსსასაზღვრო კონტაქტთან/წვდომასთან დაკავშირებით სპეციალურმა კომისიამ 2002 წელს რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა წარმოადგინა, მათ შორის, *inter alia*

"მუშაობა უნდა გაგრძელდეს 1980 წლის კონვენციის კონტექსტში ბავშვზე ტრანსსასაზღვრო კონტაქტთან/წვდომასთან დაკავშირებით კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოს შესაბამისი თავის შესამუშავებლად, რათა:

- a. მოხდეს იმ საკითხების ხელშეწყობა და საუკეთესო მაგალითების ჩამოყალიბება, რომლებიც კონვენციის ფარგლებში, სახელმწიფოების კომპეტენცია და ვალდებულებაა;
- b. მოყვანილ იქნეს იმ საკითხების შესახებ პრაქტიკული მაგალითები, რომელთა ინტერპრეტაციაც სადავოა".¹²²

ამასთან, სპეციალურმა კომისიამ დაადგინა, რომ:

"მუშაობა უნდა დაიწყოს ზოგადი პრინციპებისა და შეხედულებების ფორმულირების მიზნით. იდეა მდგომარეობს არა იმაში, რომ ჩამოყალიბდეს პრინციპები, რომლებიც შეიხება ზოგადად ბავშვთან კონტაქტის/წვდომის საკითხებს, არამედ იმაში, რომ გამახვილდეს ყურადღება ზოგად შეხედულებებსა და განსაკუთრებულ გარემოებებზე, რომლებიც სახელმწიფოებმა და შესაბამისმა სახელისუფლებო ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ ბავშვზე საერთაშორისო

¹¹⁷ ზედა სქოლიო 4, პარაგრაფი 7.3.

¹¹⁸ იხილეთ 1555 სტატისტიკური კვლევა. ზედა სქოლიო 16.

¹¹⁹ იხილეთ *ibid.* დაბრუნების შესახებ რამდენიმე განაცხადის საფუძველზე, გაცემულ იქნა ბრძანება ან თანხმობა დაბრუნებაზე.

¹²⁰ ზედა სქოლიო 60, პარაგრაფი 80.

¹²¹ ყურადღება უნდა გამახვილდეს მუდმივმოქმედი ბიუროს მიმდინარე საქმიანობაზე ამ სფეროში, განსაკუთრებით ყურადსაღებია ტრანსსასაზღვრო წვდომის/კონტაქტის ანგარიში. ზედა სქოლიო 57.

¹²² ზედა სქოლიო 7, პარაგრაფი 2 (გ).

წვდომის/კონტაქტის საკითხებზე პოლიტიკის შემუშავების დროს. აღნიშნული ზოგადი პრინციპები არ ატარებს სავალდებულო ხასიათს, არამედ იქნება სარეკომენდაციო. ზოგადი პრინციპები დაეხმარება არა მხოლოდ სახელმწიფოებს ამ სფეროში პოლიტიკის ჩამოყალიბების კუთხით, არამედ სასამართლოებს და სხვა სახელისუფლებო ორგანოებს, ასევე განმცხადებლებს, ვინაიდან სწორედ განმცხადებლები წარადგენენ მოთხოვნებს მათ საქმეებთან მიმართებით".¹²³

ევროპის საბჭოს კონტაქტის შესახებ კონვენცია შეიცავს ნორმებს, რომლებიც უზრუნველყოფს ბავშვზე წვდომის/კონტაქტის უფლების მქონე მშობლის მიერ მისი უფლებების განხორციელებას. დაცვის ეს საშუალება და გარანტია მოიცავს: ბავშვთან კონტაქტის ზედამხედველობას, პირის ვალდებულებას უზრუნველყოს ბავშვის მზავრობისა და სხვა ხარჯები, ასევე აუცილებლობის შემთხვევაში ბავშვთან ერთად მყოფი პირის ხარჯები; იგი ასევე მოიცავს იმ მშობლის მიერ, რომელთანაც ბავშვი ცხოვრობს, გარანტიების წარდგენას, რომ მეორე მშობელს არ შეეშლება ხელი ბავშვთან კონტაქტის განხორციელებაში, ასევე იმ პირზე ჯარიმით დაკისრებით, ვისთანაც ბავშვი ცხოვრობს, იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი უარს იტყვის კონტაქტის შესახებ ბრძანების შესრულებაზე.¹²⁴ ეროვნულ კანონმდებლობაში მრავალი ასეთი დაცვის საშუალება არსებობს.¹²⁵ თანაბრად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოებმა გაითვალისწინონ ის სარგებელი, რომელიც თან სდევს ამ სფეროს მარეგულირებელი მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან მიერთებას.¹²⁶

2.2.2 მეურვეობის უფლების მქონე მშობლის უფლებების დაცვა, როდესაც ბავშვი იმყოფება საზღვარგარეთ მეორე მშობლის მიერ ბავშვზე წვდომის/კონტაქტის უფლებით სარგებლობისას

- სამართლებრივი ნორმები, რომლებიც შეეხება ბავშვზე ტრანსსასაზღვრო წვდომას/კონტაქტს, უნდა ითვალისწინებდეს დაცვის ისეთ საშუალებებს, რომლებიც მიმართულია საზღვარგარეთ კონტაქტის/წვდომის უფლების განხორციელების დროს ბავშვის უკანონო დაკავების რისკის შემცირებისკენ.

მეურვეობის უფლების მქონე მშობელმა შეიძლება მოითხოვოს საზღვარგარეთ კონტაქტის/წვდომის უფლების განხორციელების დროს მყოფი ბავშვის უკანონო დაკავებისგან დაცვა.¹²⁷¹³⁴ ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ შეიძლება განიხილოს დაცვის დამატებითი საშუალებების დაწესების საკითხი. მაგალითად, სასამართლომ შესაძლოა კონტაქტის/წვდომის შესახებ ბრძანების განხორციელების წინაპირობად დააწესოს: პროფესიონალის ან ოჯახის წევრის მიერ კონტაქტის უფლების განხორციელების ზედამხედველობა; კონტაქტის უფლების მქონე პირის მიერ უზრუნველყოფის სახით ფულადი დეპოზიტის დარიცხვა; კონტაქტის უფლების მქონე მშობლის მიერ პოლიციისადმი, ან სხვა რომელიმე ორგანოსადმი რეგულარული ანგარიშგება ბავშვთან კონტაქტის პერიოდში;¹²⁸

ან/და ბავშვის ჩამოსვლის და წასვლის რეგისტრაცია დანიშნულების სახელმწიფოს საელჩოში.¹²⁹ ამასთან, სასამართლომ ასევე შეიძლება მოითხოვოს კონტაქტის/წვდომის უფლების განმახორციელებელი მშობლის მიერ ერთი ან რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციის წარდგენა: საზღვარგარეთ საკონტაქტო ინფორმაცია; პასპორტის ნომერი/ნომრები; საკრედიტო ბარათის მონაცემები; მართვის მოწმობის ნომერი; მეგობრებისა და დამსაქმებლის საკონტაქტო ინფორმაცია; თვითმფრინავის ბილეთების ასლები; მზავრობის მარშრუტი.

¹²³ ზედა სქოლიო 7, პარაგრაფი 2 (დ)

¹²⁴ იხილეთ მუხლი 10(2)(ა).

¹²⁵ იხილეთ პასუხები კითხვარზე. ამ სფეროში ეროვნული კანონმდებლობის მაგალითები მოიცავს ესტონეთის საოჯახო სამართლის აქტს, სექცია 52 (1), ფინეთის ბავშვზე მზრუნველობისა და მასთან წვდომის აქტს, სექცია 5, გერმანიის სამოქალაქო კოდექსს, სექცია 1684; შვედეთის მშობლის კოდექსს 1558, სექცია 15.

¹²⁶ See *supra* at 1.1.2

¹²⁷ ორივე, როგორც დაკავება, ისე გაყვანა არის გათვალისწინებული 1980 წლის კონვენციის პირველი და მესამე მუხლებით.

¹²⁸ იხილეთ კანადის (კვებეკის) პასუხი კითხვარზე.

¹²⁹ იხილეთ ტრანსსასაზღვრო წვდომის/კონტაქტის შესახებ ანგარიში, თავი III j, რომელიც შეეხება წინასწარ გარანტიებსა და დაცვის მექანიზმებს, პარაგრაფი 110. *Supra* note 57. თუმცა, საელჩოებს შესაძლოა არ ჰქონდეთ უფლებამოსილება აღასრულონ ბრძანებები ან აიძულონ მხარეები მისდიონ სამეზავრო გეგმებს.

2.3 საზღვარგარეთ ბრძანებების ცნობა და აღსრულება

- გატაცების შემთხვევებში სამართლებრივი გარემოს მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ ის ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მეურვეობის ან კონტაქტის/წვდომის უფლების შესახებ ბრძანებების ცნობას (მათ შორის წინასწარ ცნობას) და აღსრულებას.

ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მეორე ქვეყანაში გაცემული მეურვეობის ან კონტაქტის/წვდომის უფლების შესახებ ბრძანებების ცნობას, ხელს უწყობს გატაცების პრევენციას.¹³⁰ განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, რომლებიც ზემოთ იქნა განხილული (როდესაც მეურვეობის უფლების მქონე მშობელი, ან მშობელი რომელსაც აქვს კონტაქტის/წვდომის უფლება მიემგზავრება საზღვარგარეთ). არსებობს საფრთხე, რომ უცხო ქვეყნის იურისდიქციაში არ მოხდება სასამართლოს ბრძანების ცნობა ან აღსრულება. ამ სირთულის გადასაღებად, შესაბამისმა მშობელმა, ან სასამართლომ შესაძლოა მიმართოს უცხო ქვეყანას არსებული მეურვეობის ან კონტაქტის/წვდომის უფლების შესახებ გაცემული ბრძანების მის ქვეყანაში ცნობის თხოვნით. რიგ საერთაშორისო და რეგიონალურ ინსტრუმენტებში არსებობს აღნიშნულის მარეგულირებელი შესაბამისი ნორმა.¹³⁸¹³¹ ევროპის საბჭოს კონტაქტის შესახებ კონვენციის თანახმად, სახელმწიფოებმა შესაძლოა დაავალდებულონ კონტაქტის უფლების განმახორციელებელ პირს, წარადგინოს იმ სახელმწიფოს მიერ, სადაც ბავშვთან კონტაქტი უნდა განხორციელდეს, გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მეურვეობის ან კონტაქტის/წვდომის შესახებ ბრძანების ცნობას და აღსრულებას, მანამ სანამ ბრძანება გაიცემა ან კონტაქტი განხორციელდება.¹³⁵¹³² ჰააგის 1956 წლის კონვენცია შეიცავს ნორმას (მუხლი 24), რომელიც ითვალისწინებს ერთ წევრ სახელმწიფოში გაცემული დაცვის ღონისძიების წინასწარ ცნობას (რომელიც ასევე მოიცავს მეურვეობის ან კონტაქტის/წვდომის ბრძანებას) მეორე წევრ სახელმწიფოში.

საზღვარგარეთ გადაადგილების ან მგზავრობის უფლების მინიჭებამდე, სასამართლომ შესაძლოა მოითხოვოს დასტური, რომ შესაბამისი სასამართლო ცნობს და აღსრულებს ბრძანებაში დადგინებულ პირობებს. ამ მიზნით, ბრძანების წინასწარი ცნობა ან რეგისტრაცია გადაადგილების სახელმწიფოში შეიძლება იყოს შესაძლებელი, ისევე როგორც მაგალითად 1956 წლის ჰააგის კონვენციის ფარგლებში. არსებობს მეორე შესაძლებლობაც, როდესაც წარმოშობის სასამართლო დაავალდებს საქმის მხარეს, მიმართოს უცხო ქვეყნის სასამართლოს, რათა გაცემულ იქნეს ბრძანება იმავე პირობებით, რომლებიც გათვალისწინებული იყო პირველი სასამართლოს მიერ გაცემულ ბრძანებაში. ასეთ ბრძანებებს „სარკისებრ ბრძანებებს“ უწოდებენ.¹⁴⁰¹³³ რეკომენდირებულია უფლების ნოტარიული დამოწმება, რომლის ცნობაც მოხდება უცხო ქვეყნის იურისდიქციაში, ვინაიდან აღნიშნული მეტ გარანტიებს მისცემს მშობელს, რომელიც შიშობს, რომ მას უკანონოდ ჩამოერთმევა კონტაქტის/წვდომის უფლება ან საზღვარგარეთ ვიზიტის დროს მოხდება ბავშვის უკანონო დაკავება.¹³⁴ (იხილეთ ზემოთ 2.2.1 და 2.2.2)

3. რეაქტიული ღონისძიებები - გატაცების მოსალოდნელ რისკზე რეაგირება

- შიდა საკანონმდებლო ნორმებმა და ადმინისტრაციულმა პრაქტიკამ ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს სწრაფად და ეფექტურად განახორციელონ რეაგირება, როდესაც არსებობს გატაცების მოსალოდნელი რისკი.

წინასწარი პრევენციული ღონისძიებების გარდა, რომლებიც ზოგადად მიმართულია ან გამოიყენება გატაცების მომეტებული რისკების მიმართ, სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ პრევენციული ღონისძიებების ერთობლიობა, გატაცების მოსალოდნელი რისკის წინააღმდეგ რეაგირების მიზნით. ეს მოიცავს ისეთ გარემოებებს, როდესაც არსებობდა გატაცების საფრთხე ან როდესაც გატაცება დიდი

¹³⁰ იხილეთ კანადის პასუხი კითხვარზე, მათ შორის ბავშვზე მეურვეობის აღსრულების აქტი, R.S.M. 1587, c.C360 მანიტობასთან მიმართებით, ბავშვთა დაცვის აქტი 1557, c.C-8.2 სასაკანონმდებლო მიმართებით და მეურვეობის შესახებ ბრძანებების ექსტრა-პროვინციული აღსრულების აქტი R.S.A. 2000, c.E-14, ალბერტასთან მიმართებით.

¹³¹ იხილეთ 1956 წლის კონვენცია და ევროპის საბჭოს კონტაქტის შესახებ კონვენციის მე-14 (1) (ა) მუხლი. ასევე იხილეთ, ტრანსსასაზღვრო წვდომის/კონტაქტის ანგარიში, *supra* note 57.

¹³² იხილეთ მუხლი 10(2)(ბ) და 14 (1)(ბ).

¹³³ იხილეთ საქმე *Gumbrell v. Jones* [2001] NZFLR 553, ხელმისაწვდომია INCADAT-ზე: [HC/E/NZ 446]

¹³⁴ იხილეთ *Lowe, Everall and Nicholls*, "International Movement of Children Law Practice and Procedure" (საოჯახო სამართალი, 2004), გვ. 145. (შემდგომში "Lowe, Everall and Nicholls").

ალბათობით განხორციელდება. ადგილობრივმა სამართლებრივმა ნორმებმა და ადმინისტრაციულმა პრაქტიკამ სახელმწიფოს უნდა მისცეს საშუალება მოახდინოს სწრაფი და ეფექტური რეაგირება. თვით ღონისძიებები შეიძლება განსხვავდებოდეს სახელმწიფოებს შორის და დამოკიდებული იყოს კონკრეტულ გარემოებებსა თუ გადაუდებელ აუცილებლობაზე.¹³⁵

3.1 საერთაშორისო მგზავრობის ბარიერები

- საერთაშორისო მგზავრობის ეფექტური ბარიერები გამოყენებულ უნდა იქნეს დაყოვნების გარეშე.

საერთაშორისო მგზავრობასთან დაკავშირებული ზოგადი ბარიერების გარდა, როგორცაა მაგალითად, მოქმედი სამგზავრო დოკუმენტების ფლობა, საჭირო იქნება სხვა ღონისძიებების გამოყენება როდესაც არსებობს გატაცების მოსალოდნელი რისკი, ან როდესაც არსებობს გატაცების მოახლოებული რისკი. ასეთ შემთხვევაში, პრევენცია დამოკიდებულია, დაყოვნების გარეშე, საერთაშორისო მგზავრობისთვის ეფექტური ბარიერების ამოქმედებაზე.

3.1.1 სამგზავრო დოკუმენტაცია

3.1.1.1 პასპორტებისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემა

ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები შესაძლოა დაეხმაროს სახელმწიფოს გატაცების მოსალოდნელ რისკზე რეაგირების დროს:

- პასპორტის გამაფრთხილებელი სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს დასახელებული პირის შესახებ შეტყობინების გადაცემას, თუ იგი მოითხოვს ბავშვის პასპორტის გაცემას.
- ბავშვზე პასპორტის გაცემაზე, ან მშობლის პასპორტში ბავშვის მონაცემების ასახვაზე უარის თქმას, მაშინ როდესაც არსებობს გატაცების მოსალოდნელი რისკი.
- საპასპორტო ორგანოებისთვის ბავშვთა შესაბამისი იურისდიქციიდან გაყვანის პრევენციის შესახებ ბრძანებების დაუყოვნებლივი გადაცემა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბავშვისთვის პასპორტის გაცემა.
- საპასპორტო ორგანოებისთვის ბავშვისთვის გასაცემ პასპორტებზე გაფრთხილების ან შესაბამისი პირობების დაწესების უფლებამოსილების მინიჭება.

იმ ზოგად წესებთან ერთად, რომლებიც მოითხოვს ბავშვისთვის პასპორტის გაცემის თანხმობას, შესაძლოა დაწესდეს დამატებითი აკრძალვები, თუ არსებობს გატაცების მოსალოდნელი რისკი. რიგ სახელმწიფოებში შესაძლებელია პასპორტის გაცემაზე¹⁴³¹³⁶ თანხმობის უკან გამოთხოვა ან სასამართლოსადმი მიმართვა .

პასპორტის გაცემის აკრძალვის მოთხოვნით,¹³⁷ ან თუ პასპორტი უკვე გაცემულია, პასპორტის გადაცემის მოთხოვნით,¹³⁸ ან ბავშვის გამგზავრების აკრძალვის მოთხოვნით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს საპასპორტო ორგანოების მიერ პასპორტის გაცემაზე უარის თქმა. ზოგიერთ სახელმწიფოს საპასპორტო ორგანოებში შესაძლებელია დაინერგოს შეტყობინების სისტემა, ისე, რომ მათ თავი

135

იხილეთ კანადის პასუხი კითხვარზე: "თითოეული შემთხვევა განსხვავებულია და უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად, რათა მიღებულ იქნას შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები ან თითოეული

მშობლისთვის მისაღები გადაწყვეტა".

136

იხილეთ ფინეთის პასუხი კითხვარზე.

137

იხილეთ არგენტინის, ჩინეთის (ჰონგ კონგი SAR) პასუხები კითხვარზე. ასევე იხილეთ ახალი ზელანდიის 2004 წლის ბავშვზე ზრუნვის აქტი, სექცია 77, ასევე ახალი ზელანდიის პასპორტების აქტი 1552, სექცია 4.

138

იხილეთ არგენტინის პასუხი კითხვარზე.

შეიკავონ ბავშვის სახელზე პასპორტის გაცემისგან,¹³⁹ ან მიაწოდონ შესაბამის პირს ინფორმაცია, იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ბავშვის სახელზე მოთხოვნილია პასპორტის გაცემა.¹⁴⁰ ერთ სახელმწიფოში სასამართლოს ბრძანება, რომლითაც ზრდასრულ პირს ეკრძალება ბავშვის შესაბამისი იურისდიქციიდან გაყვანა, დაუყოვნებლივ გადაეცემა საპასპორტო ორგანოს, რომელსაც აკრძალული აქვს გასცეს ბავშვზე პასპორტი.¹⁴¹ როდესაც ერთობლივი მეურვეობის უფლების მქონე პირები ვერ თანხმდებიან პასპორტის გაცემის საკითხზე, საბოლოო გადაწყვეტილება ხშირ შემთხვევაში სასამართლომ უნდა მიიღოს.¹⁴²

ზოგიერთ ქვეყანაში მშობელს შეუძლია მოითხოვოს პასპორტის გამცემი ორგანოსგან პასპორტის გამოყენების შესახებ გაფრთხილებისა და პირობების დაწესება. ეს შეიძლება მოიცავდეს პასპორტთან ერთად ორივე მშობლის თანხმობის არსებობის დადასტურებას, როდესაც ბავშვი ტოვებს სახელმწიფოს.¹⁵⁰¹⁴³ ერთ-ერთი სახელმწიფოს კანონმდებლობა ანიჭებს ერთპიროვნული მეურვეობის უფლების მქონე მშობელს უფლებას, მოითხოვოს ამ პირობის აღნიშვნა ბავშვის პასპორტში.¹⁴⁴ ამასთან, როდესაც პასპორტის ნაცვლად გამოიყენება პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, შესაძლოა გაცემული თანხმობის შესახებ შესაბამისი მინიშნება გაკეთდეს მოწმობაზე.¹⁴⁵

რიგ ქვეყნებში, ბავშვისთვის ან ზრდასრული პირისთვის პასპორტის გაცემის მოთხოვნა არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ფაქტების საფუძველზე სისხლის სამართლებრივ დანაშაულს წარმოადგენს.¹⁴⁶ რიგ სახელმწიფოებში, თუ ერთი მშობელი ვარაუდობს, რომ მეორე მშობელი შეეცდება გამოიყენოს თაღლითური გზები პასპორტის მისაღებად, გარკვეული პერიოდის განმავლობაში შესაძლებელია ბავშვის სახელის მითითება სარეგისტრაციო ფურცელზე, რათა შესაბამისი ორგანოები გაფრთხილებულები იყვნენ ამის შესახებ.¹⁴⁷ ერთ-ერთ სახელმწიფოში, თუ პირი, რომელიც ექვემდებარება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, მათ შორის ბავშვის მშობლისგან უკანონო გამოცალკევებაში, შეიტანს განაცხადს პასპორტის თაობაზე, საპასპორტო ორგანოებმა უნდა აცნობონ პოლიციის თანამშრომელს აღნიშნულის შესახებ, რათა დაიწყოს შესაბამისი გამოძიება. პასპორტის გაცემა შესაძლებელია, ასეთი ინფორმაციის მიწოდებიდან ერთი კვირის გასვლის შემდეგ.¹⁵⁵¹⁴⁸

3.1.1.2 ვიზების გაცემა

- უნდა არსებობდეს მშობლებისა და შვილების სავიზო აპლიკაციების ცალ-ცალკე განხილვის შესაძლებლობა.
- მშობლები, რომლებიც ცდილობენ მოახდინონ ბავშვზე ვიზის გაცემის პრევენცია, უნდა იქნენ გაფრთხილებულნი, რომ ბავშვზე ერთი სახელმწიფოს ვიზის გაცემამ შეიძლება გამოიწვიოს რეგიონში, სხვა სახელმწიფოებში შესვლის უფლების მინიჭებაც.

სახელმწიფოებს აქვთ განსხვავებული წესები სავიზო აპლიკაციებთან მიმართებით. ვიზის გაცემაზე უარის თქმის ან აკრძალვისთვის შესაძლოა საჭირო გახდეს სასამართლო ბრძანების

¹³⁹ კანადაში, თუ მშობელი შიშობს, რომ მისი შვილი შესაძლოა გაიტაცონ, მათ აქვთ საშუალება მიმართონ საპასპორტო ორგანოს, რათა განთავსდეს გამაფრთხილებელი ნიშანი მათ სისტემაში ბავშვთან დაკავშირებით. თუ ბავშვის საკითხზე გადაწყვეტილება სასამართლო ბრძანებით არის მიღებული, ბავშვის მონაცემები სისტემაში განთავსდება მანამ, სანამ მას არ შეუსრულდება 16 წელი. თუ არ არსებობს სასამართლო ბრძანება, ბავშვის მონაცემები სისტემაში 3 თვის განმავლობაში დარჩება, შემდეგ კი მშობელს აქვს მისი განახლების მოთხოვნის უფლება საჭიროებისამებრ. იხილეთ კანადის (კვებეკი) პასუხი კითხვარზე. ასევე იხილეთ ახალი ზელანდიის პასუხი კითხვარზე.

¹⁴⁰ ამერიკის შეერთებულ შტატებში აღნიშნული სისტემის ფუნქციონირების შესახებ ინფორმაცია მეტი ინფორმაციის მქონე იხილეთ შემდეგ ბმულზე: < www.travel.state.gov/passport/ppi/family/family_866.html >.

¹⁴¹ იხილეთ მალტას პასუხი კითხვარზე.

¹⁴² იხილეთ შვედეთის პასუხი კითხვარზე.

¹⁴³ იხილეთ კანადის (კვებეკი) პასუხი კითხვარზე. იმ შემთხვევაში თუ პასპორტი ბავშვზე უნდა გაიცეს, საფრანგეთში აღნიშნული პირობების მითითება შესაძლებელია პასპორტის მეხუთე გვერდზე: კერძოდ, რომ პასპორტის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ თითოეულ სასაზღვრო პუნქტზე ორივე მშობლის თანხმობის წარდგენის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის მითითება უნდა მოხდეს მშობლის პასპორტში, მეორე მშობლის თანხმობა წარდგენილ უნდა იქნეს მანამ, სანამ მოხდება ბავშვის გაყვანა. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის მონაცემების ასახვა უნდა მოხდეს მესამე პირის პასპორტში, აუცილებელია ორივე მშობლის თანხმობის გაცემა ბავშვის გადაადგილებამდე და მხოლოდ ნებადართული ვადით. იხილეთ ციკლულარი No. INTD5000124, მისი 1550. ასეთი აკრძალვის რეგისტრაცია შესაძლოა მოხდეს სხვადასხვა (სამი) გზით, საიდანაც თითოეული უთითებს დროს იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც აკრძალვა ძალაშია. მათი რეგისტრაცია შესაძლებელია როგორც *Mesures d'opposition en urgence*, *mesure d'opposition conservatoire* და *mesure d'opposition de longue durée*.

¹⁴⁴ იხილეთ შვეიცარიის პასუხი კითხვარზე.

¹⁴⁵ იხილეთ პოლონეთის პასუხი კითხვარზე, სადაც მან მიუთითა, რომ მეზობელ ქვეყნებთან დადებული ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე, შესაბამისი მითითება შეიძლება დაერთოს პირადობის დამადასტურებელ მოწმობას.

¹⁴⁶ იხილეთ, მაგალითად, კანადის (ფედერალური) სისხლის სამართლის კოდექსის 57 (2) სექცია.

¹⁴⁷ იხილეთ კანადის (კვებეკი) პასუხი კითხვარზე.

¹⁴⁸ იხილეთ შვედეთის პასუხი კითხვარზე. ამასთან, შვედეთის მიერ მითითებული კომენტარის თანახმად, ეს მუხლი განსაკუთრებით გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მშობელი მიზნად ისახავს ბავშვის გატაცებას და იგი ექვემდებარება შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსის მეშვიდე თავის მეოთხე სექციით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (უკანონოდ ბავშვის (15 წლამდე არასრულწლოვანის) გამოცალკევება მშობლის ან მშობლებისგან).

გამოცემა.¹⁴⁹ როგორც ალტერნატიული ღონისძიება, მშობელმა ან ბავშვის კანონიერმა წარმომადგენელმა შესაძლოა მოითხოვოს ბავშვზე ვიზის გაცემაზე უარის თქმა.¹⁵⁰ ვიზა ასევე შეიძლება არ გაიცეს, თუ აშკარაა, რომ ვიზის გაცემამ შესაძლოა ხელი შეუწყოს უკანონო გადაადგილებას ან დაკავებას.¹⁵¹

ვიზა, რომელიც მიღებულია ისეთ სახელმწიფოში შესასვლელად, რომელიც მდებარეობს ღია საზღვრების მქონე რეგიონში, საშუალებას აძლევს ამავე რეგიონის სხვა სახელმწიფოებში პირის თავისუფლად გადაადგილებას უფლებას.¹⁵² შესაბამისად, თუ მშობელს სურს მოითხოვოს ვიზის გაცემის აკრძალვა უცხო ქვეყნის მიერ, შესაძლოა გაჩნდეს აუცილებლობა, რომ თხოვნა რეგიონში არსებული ყველა სახელმწიფოს მიმართ იყოს ჩამოყალიბებული ისე, რომ ბავშვმა ვერ მოახერხოს ერთ სახელმწიფოში გადასვლა რეგიონში მდებარე მეორე სახელმწიფოს მეშვეობით. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოებმა გასცენ ვიზა ინდივიდუალურად, კონკრეტული მგზავრის სახელზე. რიგ ქვეყნებში, ვიზის მშობელზე გაცემა ავტომატურად არ გულისხმობს მის ბავშვზე გაცემასაც.¹⁵³ მეორე შემთხვევაში, როდესაც ვიზა გაცემულია მშობელზე, მაღალია იმის ალბათობა, რომ იგივე პერიოდისთვის ბავშვზეც გაიცემა ვიზა.¹⁵⁴

3.1.1.3 პასპორტებისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაუქმება და ანულირება

- მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბავშვის პასპორტის გაუქმებისა და ანულირების პროცედურის დანერგვის აუცილებლობა, როდესაც არსებობს გატაცების მოსალოდნელი რისკი.
- მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისეთი პროცედურის დანერგვა, რომლითაც შესაძლებელია ზრდასრული პირის პასპორტის გაუქმება, ამავე პასპორტში არსებული ბავშვის შესახებ ჩანაწერების გაუქმების მიზნით.
- გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს სისტემა, რომელიც იძლევა საშუალებას, ან მოითხოვს ბავშვის ან მშობლის პასპორტის ჩაბარებას შესაბამის უწყებაში ბავშვთან კონტაქტის/წვდომის უფლების განხორციელების პერიოდში.

როდესაც არსებობს გატაცების მოსალოდნელი საფრთხე, ბავშვის პასპორტის გაუქმების ან ანულირების პროცედურა სასარგებლო პრევენციულ ღონისძიებას წარმოადგენს.¹⁵⁵ კითხვარზე გაცემული პასუხებიდან ნათელია, რომ ზოგადი წესის თანახმად, აღნიშნულ საკითხზე მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს სასამართლოში.¹⁵⁶ თუმცა, ერთ-ერთმა რესპოდენტმა მიუთითა, რომ საპასპორტო ორგანოს აქვს უფლებამოსილება გააუქმოს ბავშვის პასპორტი მეურვეობის უფლების მქონე რომელიმე მშობლის თხოვნის საფუძველზე.¹⁵⁷ რიგ ქვეყნებში სასამართლოებს არ აქვთ პასპორტის გაუქმების უფლებამოსილება, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც აღნიშნული საჭიროა როგორც კონტაქტის/წვდომის უფლების უზრუნველყოფის პირობა,¹⁵⁸ ან როდესაც პასპორტის მფლობელი დაკავებულია გამოძიების მიზნით.¹⁵⁹ ბავშვის პასპორტის გაუქმებასთან ან ანულირებასთან ერთად, შესაძლებელია ზრდასრული პირის პასპორტში ბავშვის ჩანაწერის გაუქმებაც¹⁶⁰ ან ზრდასრული პირის პასპორტის გაუქმება, რათა მოხდეს ბავშვთან ერთად მის მიერ შესაბამისი ქვეყნის იურისდიქციის დატოვების პრევენცია.

¹⁴⁹ იხილეთ არგენტინის პასუხი კითხვარზე.

¹⁵⁰ იხილეთ კანადის პასუხი კითხვარზე. აღნიშნული მხოლოდ შესაძლებელია, როდესაც ბავშვს აქვს მხოლოდ კანადის მოქალაქეობა.

¹⁵¹ იხილეთ პოლონეთის პასუხი კითხვარზე.

¹⁵² იხილეთ შვედეთის პასუხი კითხვარზე, შენგენის ქვეყნებსა და ევროპის ეკონომიკურ ზონასთან მიმართებით.

¹⁵³ იხილეთ შვედეთის პასუხი კითხვარზე.

¹⁵⁴ იხილეთ გაერთიანებული სამეფოს (შოტლანდიის) პასუხი კითხვარზე.

¹⁵⁵ იხილეთ არგენტინის, კანადის, ისლანდიისა და იტალიის პასუხები კითხვარზე. იხილეთ კანადის განქორწინების (ფედერალური) აქტი სექცია 16 (6).

¹⁵⁶ იხილეთ არგენტინის, იტალიის, მალტისა და ახალი ზელანდიის პასუხები კითხვარზე.

¹⁵⁷ იხილეთ შვედეთის საპასპორტო აქტი 1578 და საპასპორტო რეგულაციები 1575.

¹⁵⁸ იხილეთ შვედეთის საპასპორტო აქტი 1578 და საპასპორტო რეგულაციები 1575.

¹⁵⁹ იხილეთ პანამის პასუხი კითხვარზე.

¹⁶⁰ იხილეთ მალტის პასუხი კითხვარზე. დანიაში, არ არსებობს ბავშვის ან ზრდასრული პირის პასპორტის უკან გამოხმობის უფლება, თუმცა საკანონმდებლო ორგანოს წინაშე წარდგენილი კანონპროექტით შესაძლოა გახდეს შესაძლებელი ზრდასრული პირის პასპორტის უკან გამოთხოვა ბავშვის სახელის წაშლის მიზნით.

თუმცა, რიგ ქვეყნებში არ არსებობს ზრდასრული პირის პასპორტის გაუქმების შესაძლებლობა. ასეთი ქმედება შეიძლება წარმოადგენდეს მოქალაქის გადაადგილების კონსტიტუციური უფლების შელახვას.¹⁶¹ მიუხედავად ამისა, შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს პასპორტის შესაბამის უწყებისთვის გადაცემა როგორც უვადოდ, ისე გარკვეული პერიოდის განმავლობაში.¹⁶² რიგ ქვეყნებში სასამართლოებს აქვს შესაძლებლობა, მოითხოვონ ბავშვის ან სრულწლოვანი პირის პასპორტის შესაბამის ორგანოებში ჩაბარება ბავშვთან კონტაქტის/წვდომის უფლების განხორციელების პერიოდში. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, პასპორტის გამცემი ორგანოები ასევე უნდა იყვნენ ინფორმირებულნი, რათა პასპორტის მფლობელმა არ გააკეთოს ახალი განაცხადი პასპორტზე, ძველი პასპორტის დაკარგვის ან მოპარვის საფუძველით.¹⁶³

წესები, რომლებიც არეგულირებს პასპორტების ან სხვა სამგზავრო დოკუმენტების გაუქმებასა და თანმდევ პროცედურებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ იურისდიქციებში, სადაც ბავშვის ნამდვილი სამგზავრო დოკუმენტაციის არსებობა წარმოადგენს მგზავრობაზე მშობლის თანხმობის საკმარის მტკიცებულებას. შესაბამისი რეგულაციის არ არსებობისას, რთული იქნება მშობლისთვის, რომელმაც თავდაპირველად თანხმობა გასცა პასპორტს გაცემაზე, გამოითხოვოს მისი თანხმობა, ან უფრო კონკრეტულად, მოახდინოს თანხმობის გაუქმების პრაქტიკაში იმპლემენტაცია.

3.1.1.4 ერთზე მეტი მოქალაქეობის მქონე ბავშვები

- საკონსულო წარმომადგენლობებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, ერთზე მეტი მოქალაქეობის მქონე ბავშვებისთვის პასპორტების გაცემის ან გაუქმების საკითხებზე, ხელსაყრელ პრევენციულ ზომას წარმოადგენს.

წესები, რომლებიც შეეხება ერთზე მეტი სამგზავრო დოკუმენტაციის გაცემას, შეზღუდულად სარგებლობასა და გაუქმებას, ნაკლებ ეფექტს ატარებს იმ ბავშვებთან მიმართებით, რომლებსაც ერთზე მეტი მოქალაქეობა აქვთ. ხშირად, თუმცა არა ყოველთვის,¹⁶⁴ პირებს, რომლებსაც აქვთ ერთზე მეტი მოქალაქეობა, უფლება აქვთ მიიღონ რომელიმე ან ყველა იმ ქვეყნის პასპორტი / პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რომლის მოქალაქესაც წარმოადგენს აღნიშნული პირი. შედეგად, წესები, რომლებიც ზღუდავს პასპორტის გაცემას, ან მოითხოვს მის გაუქმებას, ხელს ვერ შეუშლის ბავშვს ან მოზარდს იმოგზაუროს დანიშნულების იმ ადგილას, სადაც მას სხვა ქვეყნის მიერ გაცემული პასპორტით სარგებლობა შეუძლია.¹⁶⁵

ასეთ შემთხვევებში, მოთხოვნა, რომ შესაბამისმა სახელმწიფომ უარი თქვას მეორე სახელმწიფოს მოქალაქეზე პასპორტის გაცემის შესახებ, შესაძლოა დადგეს საკონსულო წარმომადგენლობების მეშვეობით. მეორე სახელმწიფო არ არის ვალდებული დაეჭვიმდებაროს აღნიშნულ მოთხოვნას, თუმცა თუ ისინი შეთანხმდებიან, რომ არსებობს გატაცების გონივრული რისკი, მათ შეუძლიათ უარი თქვან პასპორტის გაცემაზე.¹⁶⁶ ზოგადად, ერთი სახელმწიფო არ არის უფლებამოსილი ჩაერიოს მეორე სახელმწიფოს მიერ პასპორტის გაცემისა და გაუქმების საკითხებში.¹⁶⁷ მიუხედავად ამისა, შოტლანდიის ერთ-ერთ სასამართლოს (Court of Session) უფლება აქვს მოითხოვოს არა მხოლოდ გაერთიანებული სამეფოს მიერ გაცემული პასპორტის დაკავება, არამედ სხვა სახელმწიფოს მიერ გაცემული პასპორტით შეზღუდული სარგებლობაც.¹⁶⁸

კითხვარზე პასუხად აღნიშნულ იქნა, რომ ერთზე მეტი პასპორტის არსებობა ართულებს საზღვარზე კონტროლის განხორციელებას.¹⁶⁹

¹⁶¹ იხილეთ ხორვატიის პასუხი კითხვარზე.

¹⁶² იხილეთ შვედეთის პასუხი კითხვარზე. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული ერთი კვირის განმავლობაში, პასპორტი მის მფლობელს უნდა დაუბრუნდეს.

¹⁶³ იხილეთ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-10 (2) (ბ) მუხლი.

¹⁶⁴ მაგალითად, პოლონეთში აკრძალულია ორმაგი მოქალაქეობა და ბავშვები მხოლოდ ერთი სახელმწიფოს მოქალაქეებად ითვლებიან. იხილეთ პოლონეთის პასუხი კითხვარზე.

¹⁶⁵ ორმაგი მოქალაქეობის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის მიერ მოწოდებული ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე: < www.travel.state.gov/travel/cis_pa_tw/cis/cis_1753.html > და < www.voyage.gc.ca/main/pubs/dual_citizenship-en.asp >.

¹⁶⁶ რიგმა სახელმწიფოებმა აღნიშნეს, რომ ხშირად საკონსულო წარმომადგენლობებს შორის კარგ თანამშრომლობას აქვს ადგილი.

¹⁶⁷ იხილეთ კანადისა და გერმანიის პასუხები კითხვარზე.

¹⁶⁸ იხილეთ გაერთიანებული სამეფოს (შოტლანდიის) პასუხი კითხვარზე.

¹⁶⁹ კითხვარზე პასუხად კანადამ აღნიშნა, რომ „როდესაც ბავშვს აქვს როგორც კანადის, ისე სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, სამგზავრო დოკუმენტების კონტროლი უფრო რთულიდება“.

რიგი სახელმწიფოები მოითხოვენ მათ მიერ გაცემული პასპორტებით სარგებლობას, როდესაც მოქალაქეები შემოდის ან ტოვებენ მათი ტერიტორიების საზღვრებს.¹⁷⁰ ამდენად, სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ის ფაქტი, რომ ბევრი ბავშვი, რომელიც ჩართულია პოტენციური გატაცების საქმეში, სარგებლობს ერთზე მეტი მოქალაქეობით.

3.1.2 სასაზღვრო კონტროლი

3.1.2.1 შეჩერების მოთხოვნა

- შეჩერების მოთხოვნა წარმოადგენს ხელსაყრელ სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის მიერ იურისდიქციის დატოვების პრევენციას. ის მეტად სასარგებლოა იმ შემთხვევაში, თუ შეჩერების მოთხოვნის მოპოვება შესაძლებელია მოხდეს სწრაფად, მათ შორის როდესაც ეს აუცილებელია *ex parte* ან სამუშაო საათების მიღმა.
- შეჩერების მოთხოვნა უნდა იყოს ფორმულირებული ნათლად და ზუსტად, იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვი ან ზრდასრული პირი შესაძლოა მგზავრობდეს სხვა ქვეყნის პასპორტის საშუალებით.
- შეჩერების მოთხოვნა სწრაფად უნდა გადაეცეს შესაბამის უწყებებს.

შეჩერების მოთხოვნა წარმოადგენს მოთხოვნას, რომელიც გაცემულია სასამართლოს მიერ ბავშვის გატაცების პრევენციის მიზნით. შეჩერების მოთხოვნით სასამართლო უფლებას აძლევს სასაზღვრო კონტროლის განმახორციელებელ სამსახურებს, მოახდინონ ბავშვის ან/და გამტაცებელი პირის დაკავება, ან სხვაგვარად ხელი შეუშალონ მათ იურისდიქციის დატოვებისგან.¹⁷¹ კითხვარზე ერთ-ერთი რესპონდენტის პასუხის თანახმად, შეჩერების მოთხოვნა ძირითადად ძალიან ეფექტურია და მათი გამოცემა შესაძლებელია როგორც *ex parte*, ისე სამუშაო საათების მიღმა.¹⁷² რიგ ქვეყნებში, შეჩერების მოთხოვნები, რომლებიც კრძალავს გატაცებას, ავტომატურად გადაეცემა სასაზღვრო კონტროლის განმახორციელებელი სამსახურების პერსონალს,¹⁷³ ხოლო რიგ ქვეყნებში, მშობელი ვალდებულია უზრუნველყოს მოთხოვნის შესაბამის უწყებებში დროული მიწოდება.¹⁷⁴ ფაქტი, რომ ბავშვი ან/და პოტენციური გამტაცებელი შესაძლოა სარგებლობდეს ერთზე მეტი პასპორტით, ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული სასამართლოს მიერ, რომელიც გამოსცემს შეჩერების მოთხოვნას. შეჩერების მოთხოვნა ეფექტურია, თუ წარმოდგენილია ყოვლისმომცველი ინფორმაცია. მან შესაძლოა ვერ მიაღწიოს შესაბამის მიზანს, თუ ბავშვი ან/და მშობელი მოგზაურობს სხვა პასპორტით და

¹⁷⁰ იხილეთ არგენტინის პასუხი კითხვარზე, ასევე იხილეთ კანადის საკონსულო წარმომადგენლობის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია პოლენეთთან დაკავშირებით < www.voyage.gc.ca/main/pubs/dual_citizenship-en.asp >.

¹⁷¹ მაგალითად დანიაში, აეროპორტის პოლიციამ შესაძლოა დააკავოს პირი, რომელიც აპირებს ბავშვის ქვეყნიდან უკანონოდ გაყვანას. სლოვაკეთში, სასამართლოებს არ აქვთ ამ სახის მოთხოვნის გამოცემის უფლება, ვინაიდან აღნიშნული გადაადგილების თავისუფლებას ზღუდავენ.

¹⁷² იხილეთ ისრაელის პასუხი კითხვარზე.

¹⁷³ არგენტინაში, მოთხოვნა, რომელიც კონკრეტულ პირს უკრძალავს იურისდიქციის დატოვებას შესაბამის უწყებებს გადაეცემა ISOPRO-ს, ეროვნული უსაფრთხოების სამინისტროს ინტერნეტის მეშვეობით. პანამაში, როდესაც სასამართლო ხელისუფლებამ მიიღო მოთხოვნა მგზავრობის შეზღუდვასთან დაკავშირებით, აღნიშნული ეროვნული საემიგრაციო დირექტორატს, რომელიც აეროპორტებსა და სასაზღვრო გამტარ პუნქტებს უზრუნველყოფს შესაბამის შეტყობინებას, დაუყოვნებლივ ეცნობება. მალტაში მოთხოვნები, რომელიც ახდენს ბავშვის ტერიტორიიდან უკანონო გაყვანის პრევენციას, დაუყოვნებლივ გადაეცემა მთავარ საპასპორტო ოფიცერს, პოლიციის კომისარს, მებაჟესა და საერთაშორისო აეროპორტის თავმჯდომარეს.

¹⁷⁴ იხილეთ ჩინეთის (ჰონგ-კონგის) პასუხი კითხვარზე.

აღნიშნული არ არის მითითებული მოთხოვნაში.¹⁷⁵ ამერიკის შეერთებულ შტატებში შეჩერების მოთხოვნა არ მოქმედებს, თუმცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აღნიშნა, რომ სასაზღვრო კონტროლი მკაცრდება, როდესაც ინტერპოლის ყვითელი ცნობა გამოიცემა. აღნიშნული ცნობა წარმოადგენს საზღვარზე ბავშვის შეჩერებისა და ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოებისთვის ინფორმირების სამართლებრივ საფუძველს.

3.1.2.2 საპორტო შეტყობინებები/მონიტორინგის სისტემები

- საპორტო შეტყობინების / მონიტორინგის სისტემების მოქმედება წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს ბავშვის იურისდიქციის დატოვების თავიდან ასაცილებლად.
- ინფორმაცია აღნიშნული სისტემების გასააქტიურებლად უნდა გადაეცეს შესაბამის პორტს დაყოვნების გარეშე.
 - სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე თანამშრომლობის უზრუნველყოფა ხელს უწყობს ინფორმაციისა და მონაცემების მიმოცვლას, რომლებიც აუცილებელია საპორტო შეტყობინებების/მონიტორინგის სისტემების მოქმედებისთვის.

უმეტეს სახელმწიფოებში, რომლებმაც კითხვარზე პასუხები გასცეს, მოქმედებს საპორტო შეტყობინების/მონიტორინგის სისტემა.¹⁷⁶ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მექანიზმები განსხვავდება, მათი უმეტესობა ძირითადად გულისხმობს პოტენციური გამტაცებლებისა და გატაცებული პირების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სასაზღვრო გამტარ პუნქტებში მომუშავე პერსონალისთვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული გატაცება. რიგ იურისდიქციებში, საპორტო შეტყობინების/მონიტორინგის სისტემამ შესაძლოა დაიწყოს ფუნქციონირება მშობლის მიერ, რომელსაც აქვს ეჭვი, რომ მისი შვილი გატაცებულ იქნა, მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.¹⁷⁷ თუმცა, ძირითადად შეტყობინების სისტემის გააქტიურება ხდება მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოცემული შეჩერების ბრძანების წარდგენის შემდეგ.¹⁷⁸

იმ შემთხვევაში, თუ პასპორტში მითითებულ იქნა მგზავრობის შეზღუდვის საკითხი, ან მშობელი არ გამოხატავს თანხმობას ბავშვის მიერ იურისდიქციის დატოვების შესახებ, შესაძლებელია აღნიშნული წინაღობა დარეგისტრირდეს საბაჟო გამშვებ პუნქტში.¹⁷⁹ ამის შემდეგ, ინფორმაციის მიმოცვლა ხდება კომპიუტერული მონაცემთა ბაზების მეშვეობით, რომლებზეც წვდომა აქვთ სასაზღვრო გამშვები პუნქტების თანამშრომლებს, ხოლო ერთ სახელმწიფოში ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია ფაქსის საშუალებით, რომელიც შესაბამის ინფორმაციას აგზავნის ყოველდღიურად ყველა პორტში.¹⁸⁰ იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას საბაჟო გამშვებ პუნქტებში მოქმედი ოფიცრების სწრაფი რეაგირება, ინფორმაციის დამუშავება უნდა მოხდეს რაც შეიძლება სწრაფად.¹⁸¹ ამასთან, პერსონალს უნდა მიეცეს საკმარისი უფლებამოსილებები მოქმედებისთვის. სასაზღვრო პუნქტებში ხშირად სხვადასხვა უწყებები მოქმედებენ, უწყებების მიერ ინფორმაციაზე წვდომა კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ საპორტო შეტყობინება წარმატებით ფუნქციონირებდეს.¹⁸² აღნიშნულ სხვადასხვა უწყებებს შესაძლოა ჰქონდეთ საკუთარი კომპიუტერული მონაცემთა ბაზა, ამასთან საეჭვო გატაცების შესახებ დეტალების ასახვა ყველა მონაცემთა ბაზაშია შესაძლებელი.¹⁸³ სახელმწიფოებს

¹⁷⁵ იხილეთ ისრაელის პასუხი კითხვარზე.

¹⁷⁶ იხილეთ არგენტინის, ხორვატიის, დანიის, ესტონეთის, ფინეთის, გერმანიის, ისლანდიის, ისრაელის, იტალიის, მალტის, ახალი ზელანდიის, პანამას, პოლონეთის, შვეიცარიის და გაერთიანებული სამეფოს (შოტლანდიის) პასუხები.

¹⁷⁷ იხილეთ კითხვარზე ხორვატიისა და დანიის პასუხები. ესტონეთში, თუ მშობელი შიშობს, რომ შესაძლოა მისი შვილი დაექვემდებაროს გატაცებას, იგი ვალდებულია მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს, რომელიც თავის მხრივ აღნიშნულის შესახებ აცნობებს შესაზღვრეს ან/და პოლიციას.

¹⁷⁸ მაგალითად, ავსტრალია, ჩინეთი (ჰონგ-კონგი) და ისრაელი. კითხვარზე პასუხში გერმანიამ აღნიშნა, რომ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში მოხდება ფედერალური სასაზღვრო პოლიციის ჩართვა საქმეში, თუ არსებობს კონკრეტული საფრთხე, რომ მშობელი, რომელსაც არ აქვს ერთპიროვნული მეურვეობის უფლება ბავშვზე, შეეცდებოდა მის გატაცებას და არ არსებობს საკმარისი დრო სასამართლო ბრძანების მოსაპოვებლად. გერმანიამ განმარტა, რომ ასეთი რეგულირება შემდეგი ფაქტორიდან გამომდინარეობს: იმ შემთხვევაში თუ ფედერალური სასაზღვრო პოლიცია, სასამართლო ბრძანების გარეშე, რომელიც ანიჭებს მას საქმეში ჩართვის უფლებას, ვალდებული იქნება მოახდინოს საქმეში ინტერვენცია, არსებობს საფრთხე, რომ სამართლებრივი საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას უკანონოდ შეეშლება ხელი.

¹⁷⁹ აღნიშნული წარმოადგენს მდგომარეობას საფრანგეთში. იხილეთ ცირკულარი ნომრით No INTD5000124, მაისი 1550.

¹⁸⁰ გაერთიანებულ სამეფოში ბავშვთა გატაცების გამაფრთხილებელი სიის განახლება მიმდინარეობს ყოველდღიურად და ეგზავნება ყველა პორტს ყოველ დღე.

¹⁸¹ იხილეთ კითხვარზე ახალი ზელანდიის პასუხი, რომელიც აღნიშნავს, რომ საბაჟო გამშვებ პუნქტების კომპიუტერულ სისტემაში სასამართლო ბრძანებები აისახება ახალი ზელანდიის პოლიციის ინტერპოლის სექციის მიერ. ამასთან, არგენტინის მიერ კითხვარზე გაცემული პასუხის თანახმად, როდესაც სასამართლო უკრძალავს პირს ქვეყნის დატოვებას, აღნიშნული ბრძანება ეგზავნება შესაბამის სასაზღვრო უწყებებს, მათ შორის პოლიციას, საემიგრაციო ოფიცრებს, ISOPRO-ს, სწრაფი საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით.

¹⁸² ამ შემთხვევაში, შესაბამისი უწყებებს შორის თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. იხილეთ *infra* 5.5.

¹⁸³ გაერთიანებულ სამეფოში, ეროვნული საპორტო ოფისი იღებს საპორტო შეტყობინებებს და პოტენციური გამტაცებლების შესახებ შესაბამის დეტალებს აცნობებს საემიგრაციო სამსახურის სავარაუდო ინდექსის კონტროლის სამმართველოს (Immigration Service Suspect Index Control Unit (ISSICU)), რომელიც შესაბამის ინფორმაციას ასახავს მის კომპიუტერულ მონიტორინგის სისტემაში. ასეთი დეტალები სისტემაში ერთი თვის განმავლობაში შეინახება.

შორის განსხვავდება ინფორმაციის სახეობები, რომლებიც ინახება სხვადასხვა კომპიუტერულ სისტემებში. მეტი სარგებლისთვის მიზანშეწონილია, რომ მოხდეს ფოტოების სკანირება და შესაბამის ინფორმაციაზე მათი დართვა.¹⁸⁴

ხშირად, იმისთვის, რომ ინფორმაცია ასახულ იქნეს აღნიშნულ სისტემებში, გატაცების ფაქტი უნდა იყოს მოახლოებული. შესაბამისი მექანიზმებს სავალდებულო ძალა მხოლოდ გარკვეული პერიოდით შესაძლოა ჰქონდეთ, შესაბამისად, მშობლებმა და სხვა პირებმა, რომლებიც შესაბამის უწყებებს აწვდიან ინფორმაციას, უნდა დააზუსტონ მგზავრობის სავარაუდო პუნქტი და სავარაუდო დანიშნულების ადგილი.¹⁸⁵ საპორტო შეტყობინებები განსაკუთრებით ეფექტურია, კუნძულოვან ქვეყნებში, სადაც საერთაშორისო მგზავრობა ძირითადად საჰაერო საშუალებებით ხორციელდება.¹⁸⁶

3.1.2.3 საერთაშორისო საზღვრებზე არსებული სხვა დაბრკოლებები

- საერთაშორისო სასაზღვრო პუნქტებზე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება მაღალი ეფექტურობით სარგებლობს პირის მიერ სახელმწიფოს ტერიტორიაზე შემოსვლის, ან გასვლის პრევენციის დროს.
- სასაზღვრო გამტარ პუნქტზე მოქმედი თანამშრომლები აღჭურვილნი უნდა იყვნენ შესაბამისი უფლებამოსილებებითა და ტექნოლოგიური რესურსით, მათზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად.

როდესაც მშობელს აქვს სასამართლოს ბრძანება, რომელიც აძლევს მას ბავშვის გაყვანის უფლებას, რეკომენდირებულია, ბავშვთან ერთად მგზავრობისას აღნიშნული ბრძანების თან ქონა. მიუხედავად ამისა, პოლიციის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მშობელს შეუძლია ბრძანების წარმოდგენა, შესაძლოა არ არსებობდეს მითითება, თუ რამდენად არის ბრძანება ძალაში, ან თუ არსებობს სხვა „კონკურენტი“ ბრძანება. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ შესაბამისი ბრძანებების კომპიუტერულ სისტემაში ასახვა, რომელიც ხელმისაწვდომია პოლიციის ოფიცრებისთვის გამგზავრების პუნქტებში მეტად სასარგებლოა.¹⁸⁷ აღნიშნულ მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის ასახვა უნდა მოხდეს სწრაფად, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში როდესაც ბრძანება შესაძლოა იყოს სხვადასხვა ან აღარ ჰქონდეს იურიდიული ძალა.

რიგ ქვეყნებში პოლიციისა და საემიგრაციო ოფიცრებს აქვთ საშუალება ჰქონდეთ წვდომა მგზავრობის ინფორმაციაზე ფრენის დაწყებამდე. აღნიშნულით მათ აძლევთ შესაძლებლობას, მოახდინონ მგზავრობა იდენტიფიკაცია და გადაამოწონ ინფორმაცია კომპიუტერულ მონაცემებში არსებულ საპორტო შეტყობინებებთან, რათა თავიდან იქნეს აცილებული შესაძლო გატაცება.¹⁸⁸ ბიომეტრიული ტექნოლოგიები მიჩნეულია ამ საკითხის ერთ-ერთ საუკეთესო გადაწყვეტად და გამოიყენება არაერთი სახელმწიფოს მიერ. ისლანდიაში, საერთაშორისო აეროპორტში ბიომეტრიული მონიტორინგის სისტემა იქნა დამონტაჟებული. აუცილებელია ბავშვის ფოტოსურათისა და მგზავრობის აკრძალვის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა, რის შემდეგაც სისტემა აქტიურდება, თუ ბავშვი შევა აეროპორტის გამგზავრების სივრცეში.¹⁸⁹ მომავალ წელს, ერთ-ერთი სახელმწიფო გეგმავს შესაბამისი კანონმდებლობის მიღებას, რომლის თანახმად, სახელმწიფოში შემავალ თითოეულ პირს უნდა ჰქონდეს ბიომეტრიული პასპორტი. აღნიშნული მექანიზმები ეფექტურია ისეთ ქვეყნებში სადაც ისინი მოქმედებს, თუმცა არ აქვთ შესაბამისი დატვირთვა ისეთ ქვეყნებში, რომლებიც არ მოთხოვენ სამგზავრო დოკუმენტაციას და არ აქვთ სასაზღვრო კონტროლი. სასაზღვრო გამტარ პუნქტებში მომუშავე პერსონალი აღჭურვილი უნდა იყოს თანამედროვე

¹⁸⁴ ინფორმაცია, რომელიც მოპოვებულ იქნა ჰითროუს ბავშვთა გატაცების სამმართველოს წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს, ლონდონი, მარტი, 2003.

¹⁸⁵ მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში პოტენციური გატაცება უნდა იყოს „ნამდვილი და მოახლოებული“ და საპორტო შეჩერების ბრძანება ძალაში რჩება 28 დღის განმავლობაში. იხილეთ პრაქტიკის დირექტივა [1586] 1 ALL ER 583 და 1984 წლის ბავშვთა გატაცების აქტი: „საპორტო გაჩერების“ პროცედურები, Home Office ცირკულარი No 21/1586.

¹⁸⁶ იხილეთ ახალი ზელანდიის პასუხი კითხვარზე და ავსტრალიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია. ახალი ზელანდიის კომენტარის თანახმად, შეტყობინებები ხშირად გამოიყენება არის განსაკუთრებით ეფექტური. დაახლოებით 4 მილიონი მოსახლიდან, კითხვარზე პასუხის გაცემის დროს გამოცემულ იქნა 5,108 შეტყობინება.

¹⁸⁷ ჰითროუს აეროპორტში პოლიციის ბავშვთა გატაცების სამმართველოს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული მნიშვნელოვნად შეუწყობს მათ ხელს მოახდინონ ბავშვთა საერთაშორისო გატაცების პრევენცია. მეორეს მხრივ, ასეთი სისტემა შემოწმებულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც დადგინდა, რომ მათი გამოყენება შესაძლოა გარკვეულ პრობლემებთან იყოს დაკავშირებული შეერთებულ შტატებში არსებული სასამართლოების (რომლებმაც უნდა გამოსცენ ბრძანებები) სიმრავლის გამო.

¹⁸⁸ ჰითროუს ბავშვთა გატაცების სამმართველოს წარმომადგენლებთან შეხვედრისას, აღინიშნა, რომ აღნიშნულის ფართოდ იმპლემენტაცია შეამცირებდა გატაცების რაოდენობას, ლონდონი, მარტი, 2003 წ.

¹⁸⁹ იხილეთ ისლანდიის პასუხი კითხვარზე.

ტექნოლოგიებით საერთაშორისო საზღვარზე გადაადგილების მონიტორინგისა და კონტროლისთვის. (იხილეთ ზემოთ 1.2.3)

3.2 სამართლებრივი ნორმები და სასამართლო ბრძანებები

- მშობელს, რომელსაც ეშინია შვილის გატაცების, ხელი უნდა მიუწვდებოდეს ეფექტურ სამართლებრივ მექანიზმებზე, მათ შორის, ბავშვის მიმართ მშობლის სამართლებრივი სტატუსის დაკონკრეტების შესაძლებლობაზე.

პრევენციულ ზომები, რომლებსაც კანონის ძალა აქვთ, განსაკუთრებით ეფექტურია.¹⁹⁰ არსებობს რამდენიმე სამართლებრივი საშუალება, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია, როდესაც არსებობს გატაცების გონივრული რისკი.¹⁹¹ სასამართლო ბრძანებებმა შესაძლოა ფორმალურად დაარეგულირონ მშობლის სამართლებრივი სტატუსი ბავშვთან მიმართებაში. ცენტრალური ორგანოები და არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად ურჩევენ მშობლებს, რომლებსაც აქვთ ბავშვის გატაცების შიში, მოითხოვონ სასამართლო ბრძანების გამოცემა,¹⁹² განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც მშობელი სარგებლობს *de facto* მეურვეობის უფლებით. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო ბრძანების არსებობა ხელს არ უშლის 1980 წლის კონვენციით გათვალისწინებული პროცედურების დაწყებას.¹⁹³

3.2.1 ღონისძიებები, რომლებმაც შესაძლოა გატაცება გაართულოს

- ეროვნულმა სამართლებრივმა ნორმებმა, როგორცაა საერთაშორისო მგზავრობაზე შეზღუდვების ან გარკვეული პირობების დაწესება, შესაძლოა გაართულოს გატაცება.
- დამატებითი უფლებამოსილებები შეიძლება მოიცავდეს ბავშვთან წვდომის უფლებაზე აკრძალვის ან შეზღუდვის დაწესებას ან შუალედური მეურვეობის ბრძანების გამოცემას.
- თუ სასამართლო წარმოებაშია საქმე ბავშვთან დაკავშირებით, დროებითი ღონისძიებების გატარება შესაძლოა სასარგებლო იყოს გატაცების პრევენციისთვის.

რიგი ბრძანებები და ნორმები მიმართულია იმისკენ, რომ გაართულდეს გატაცება. მაგალითებს შორისაა:

- შუალედური ბრძანებები, რომლებიც აწესებს პირობებს ან აკრძალვებს ბავშვზე წვდომაზე ან მოითხოვს წვდომის უფლების განხორციელების ზედამხედველობას¹⁹⁴ ან ბავშვის ჩვეული საცხოვრებელი ადგილის იურისდიქციაში მოქცევას.¹⁹⁵
- შუალედური მეურვეობის შესახებ ბრძანებები.¹⁹⁶
- ბრძანებები, რომლებიც მიზნად ისახავს კონკრეტული იურისდიქციიდან ბავშვის გაყვანის პრევენციას. ასეთი ბრძანებები შესაძლოა იყოს სხვადასხვა ფორმის. რიგ შემთხვევებში, ბრძანებით შეიძლება აიკრძალოს ბავშვის უფლება დატოვოს კონკრეტული ტერიტორია.¹⁹⁷ გარდა ამისა,

¹⁹⁰ იხილეთ მალტას პასუხი კითხვარზე.

¹⁹¹ გაერთიანებულ სამეფოში სასამართლო ბრძანების მიღების სარგებლის ანალიზისთვის, იხილეთ Lowe, Everall და Nicholls. პარა. 5.3. *Supra* 141.

¹⁹² იხილეთ Reunite-ის - ბავშვთა საერთაშორისო გატაცების ცენტრის, პრევენციული კრებული. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: < www.reunite.org >

¹⁹³ იხილეთ კონვენციის მესამე მუხლი და პერეზ-ვერას განმარტებითი ბარათის 68ff პარაგრაფი. *Supra* note 17.

¹⁹⁴ იხილეთ კანადის, ჩინეთის (ჰონგ-კონგი), დანიის, ფინეთის, გერმანიისა და შვედეთის პასუხები კითხვარზე. გერმანიაში, გატაცების ფაქტის ვარაუდის სათანადოდ დამაჯერებელი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, წვდომის უფლება შესაძლოა აიკრძალოს, ან დაშვებულ იქნეს მესამე პირის თანდასწრებით. იხილეთ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) სექცია 1684[3] და 1684[4]. იხილეთ გერმანიის პასუხი კითხვარზე.

¹⁹⁵ იხილეთ გერმანიის პასუხი კითხვარზე.

¹⁹⁶ იხილეთ ხორვატიისა და დანიის პასუხები კითხვარზე. ასევე იხილეთ ფინეთის ბავშვზე მეურვეობისა და წვდომის უფლების აქტი, სექცია 17.

¹⁹⁷ იხილეთ გერმანიის, ისლანდიის, ისრაელის, მალტის, პანამისა და პოლონეთის პასუხები კითხვარზე. თუმცა, მაგალითად სლოვაკეთში შეუძლებელია ასეთი ბრძანების გამოცემა, ვინაიდან არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს მგზავრობაზე აკრძალვების დაწესებას ბავშვის გატაცების პრევენციის მიზნით, შესაბამისად, სასამართლოს ასეთი ბრძანება (შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლების გარეშე) იქნება არაკონსტიტუციური, იმდენად,

ბრძანებით შეიძლება შეიზღუდოს მშობლის შესაძლებლობა მარტომ იმოგზაუროს ბავშვთან ერთად გარკვეული პერიოდის განმავლობაში,¹⁹⁸ ან შესაბამისი უწყების მიერ მოთხოვნილ იქნეს მშობლის ან შვილის პასპორტი (ან/და სხვა სამგზავრო დოკუმენტი) ან ასეთი დოკუმენტის სასამართლოში გადაცემა.¹⁹⁹ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს არ არის ავტომატური მოთხოვნა, ბრძანებით შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს სავალდებულო თანხმობა ბავშვისთვის პასპორტის მისაღებად. რიგი ბრძანებებით შესაძლოა ავტომატურად შეუზღუდოს ის დრო, რომელიც ბავშვმა შესაძლოა გაატაროს კონკრეტული სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებს გარეთ ერთ-ერთ მშობელთან ერთად.²⁰⁰

- ნორმები, რომლებიც იცავს ბავშვებს სასამართლო პროცესის დროს: მაგალითად, ერთ-ერთი მშობლის მიმართვის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია დააწესოს დროებითი ბრძანება, რომლითაც იკრძალება იურისდიქციიდან ბავშვის გაყვანა სასამართლო პროცესის განმავლობაში.²⁰¹ ამასთან, ასევე შესაძლებელია პასპორტების გამოთხოვა სასამართლო განხილვის პერიოდის დროს.²⁰²

ამას გარდა, ერთ-ერთ სახელმწიფოში როდესაც გამოიცემა სასამართლო დადგენილება *nisi* განქორწინების საქმის განხილვისას, დადგენილების სტანდარტულ პირობას წარმოადგენს ბავშვის მიერ იურისდიქციის დატოვების შეზღუდვა.²⁰³

- თუ არსებობს გატაცების ძალიან რეალური და მოახლოებული რისკი, შესაძლებელია ბავშვის განთავსება დაცვითი მეურვეობის ქვეშ²⁰⁴ ან ბავშვზე გადაუდებელი ზრუნვის ბრძანების გამოცემა.²⁰⁵

აუცილებელ შემთხვევებში, სასამართლომ შესაძლოა განსაზღვროს ღონისძიებების დროებითი და და პირობითი ხასიათი.²⁰⁶

3.2.2 ღონისძიებები, რომლებმაც შესაძლოა შეაკავოს გატაცება

- ეროვნულმა სამართლებრივმა ნორმებმა, როგორცაა ფულადი უზრუნველყოფის მოთხოვნა ბავშვის გაყვანის წინააღმდეგ, ან დასჯადი ღონისძიებები, ბავშვის გატაცების შემთხვევაში, შესაძლოა ხელი შეუშალოს გატაცებას.

სასამართლო ბრძანებების მაგალითებს, რომლებმაც შესაძლოა შეაკავოს გატაცება, წარმოადგენს:

რამდენადაც იგი დარღვევს პირის სლოვაკეთის კონსტიტუციის გათვალისწინებულ ფუნდამენტურ უფლებას იმოგზაუროს თავისუფლად. აღნიშნულის მსგავსად, შედეგთმა, კითხვარზე პასუხის გაცემისას განმარტა, რომ იგი მოკლებულია იმ მოქნილობასა და დისკრეციას, რომლითაც ჩვეულებითი სამართლის ქვეყნები სარგებლობენ, რათა მოითხოვონ პასპორტის ჩაბარება. შედეგითი სასამართლოებს არ აქვთ უფლება მოითხოვონ პასპორტის გადაცემა, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ აღნიშნული წარმოადგენს ბავშვზე წვდომის ერთ-ერთ პირობას.

¹⁹⁸ იხილეთ მალტას პასუხი კითხვარზე, რომლის თანახმად, ასეთი ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია იმ დროსაც, როდესაც არ არსებობს ბავშვის გატაცების მოახლოებული რისკი. მიუხედავად ამისა, ბრძანება სასაზღვრო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებს მაინც გადაეცემა, რათა მოხდეს პოტენციური გამტაცებლის მიერ ქვეყნის დატოვების პრევენცია. აღნიშნული ასევე შესაძლებელია იტალიაში, გთხოვთ, იხილეთ იტალიის პასუხი კითხვარზე. გაერთიანებულ სამეფოსთან მიმართებით ასევე იხილეთ საოჯახო სამართლის აქტი 1586, s 35. ასეთი ბრძანებების გამოცემა ასევე შესაძლებელია კანადაში, ესტონეთსა და პოლონეთში. შევიცარიაში შესაძლოა საჭირო გახდეს პოლიციის თანხმობა, მანამ სანამ მშობელი შეძლებს იურისდიქციიდან ბავშვის გაყვანას.

¹⁹⁹ იხილეთ კანადის, ფინეთის, გერმანიის, ისრაელის, მალტისა და ახალი ზელანდიის პასუხები კითხვარზე. ფინეთში, აღნიშნული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ბავშვზე მეურვეობისა და მასზე წვდომის შესახებ აქტის მეხუთე სექცია. ახალ ზელანდიაში კი 2004 წლის ბავშვებზე ზრუნვის აქტის 77-ე და 118-ე სექციები.

²⁰⁰ მაგალითად, ყველას, ვისაც, გაერთიანებული სამეფოს ბავშვთა 1585 აქტი მე-8 სექციის ფარგლებში აქვს ცხოვრების ორდერი, შეუძლია გაიყვანოს ბავშვი იურისდიქციიდან ერთი თვით. კანონმდებლობა ხელს უწყობს მშობლებს, გაატარონ შვეულემა მათ შვილებთან ერთად სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე. ამავე დროს იგი აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს იურისდიქციიდან ბავშვის გაყვანის პერიოდთან დაკავშირებით.

²⁰¹ ისლანდიასთან მიმართებით იხილეთ ბავშვთა შესახებ კანონის 35-ე მუხლის პირველი პარაგრაფი, (ახალი No 76/2003 კანონის 35-ე მუხლი, პარა. 4). იხილეთ ასევე პოლონეთის პასუხი კითხვარზე.

²⁰² იხილეთ ისრაელის პასუხი კითხვარზე.

²⁰³ აღნიშნულს ადგილი აქვს ჩინეთში (ჰონგ-კონგი), განქორწინების შესახებ წესები, წესი 56(1)(გ) და 24 (1) ფორმა. იხილეთ ჩინეთის (ჰონგ-კონგის) პასუხი კითხვარზე.

²⁰⁴ ჩინეთში (ჰონგ-კონგი) განქორწინების წესების შესახებ ბრძანების 48-ე სექციის თანახმად, შესაბამისი უწყებები უფლებამოსილი არიან ჰყავდეთ ბავშვი დაცვის ქვეშ. ასევე იხილეთ არგენტინის პასუხი კითხვარზე.

²⁰⁵ იხილეთ ფინეთისა და ისრაელის პასუხები კითხვარზე. შედეგითი სასამართლომ შესაძლოა მოითხოვოს ბავშვის შესაბამისი უწყებების მიერ დაცვის ქვეშ დაუყოვნებლივ აყვანა, თუ ვერ ხერხდება სასამართლო ბრძანების გამოცემისთვის დალოდება. აუცილებლობის შემთხვევაში, პოლიციას შეუძლია მათი დაცვის ქვეშ აიყვანოს ბავშვი. ასევე იხილეთ ახალი ზელანდიის პასუხი კითხვარზე, 2004 წლის ბავშვთა ზრუნვის შესახებ აქტის 77-ე და 118-ე სექციები.

²⁰⁶ გადაუდებელი აუცილებლობის დროს, გერმანიის საოჯახო სამართლომ შესაძლოა გამოიყენოს ყველა შესაძლო პრევენციული ზომა როგორც წინასწარ ამკრძალავი ზომა. ასევე იხილეთ მალტას პასუხი კითხვარზე.

- დასაქმება, რომ იყოს ფულადი გარანტია ბავშვის წაყვანის საწინააღმდეგოდ²¹⁴ ან უსაფრთხოება, ან შეზღუდვა სასამართლოს მიერ, როგორც პირობა ბავშვის ნახვის/კონტაქტისთვის, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს გატაცების შემთხვევაში (ზოგიერთ შემთხვევაში ფული შეიძლება გამოყენებული იყოს მეორე მშობლის მიერ დაბრუნების მოთხოვნისთვის).²⁰⁷
- სადამსჯელო ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება მშობლის მიმართ, რომელიც არ ემორჩილება ბრძანებებსა და შეთანხმებებს.²⁰⁸ ერთ-ერთმა სახელმწიფომ აღნიშნა, რომ თუ სასამართლოს ეცნობება ბრძანებისდამი პოტენციური დაუმორჩილებლობის შესახებ, სასამართლო უფლებამოსილია წინასწარ განახორციელოს გაფრთხილება აღსრულების იმ ზომის შესახებ, რომელსაც იგი გამოიყენებს, თუ ბრძანებით განსაზღვრული პირობები დაირღვევა. აღნიშნულმა სახელმწიფომ მიუთითა, რომ წინასწარი შეტყობინება უზრუნველყოფს შესაბამისი აღსრულების ბრძანების უფრო სწრაფად გამოცემას.²⁰⁹ თუმცა, ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ აღსრულების ღონისძიების წინასწარი შეტყობინება აძლევს პოტენციურ გამტაცებელს დროს დაგეგმოს ბრძანებისგან გადახვევის შესაძლო ქმედებები.

3.2.3 ღონისძიებები, რომლებიც უწყებებსა და სააგენტოებს შესაბამის უფლებამოსილებებს ანიჭებს

- პოლიციის ოფიცრებსა და სხვა შესაბამის უწყებებს უნდა მიენიჭოთ საკმარისი უფლებები, რათა მოახდინონ გატაცებების პრევენცია.
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ რიგ სახელმწიფოებში, თუმცა არა ყველგან, სისხლისსამართლებრივი ბრალდების წაყენება აუცილებელია, რათა პოლიციის ოფიცრებსა და სხვა შესაბამის უწყებებს ჰქონდეთ უფლება მოახდინონ ბავშვის იურისდიქციისგან გაყვანის პრევენცია.

სასამართლო ბრძანების გამოცემა შესაძლოა აუცილებელი იყოს შესაბამისი უწყებებისა და სააგენტოებისთვის მოქმედების უფლების მისანიჭებლად, რათა თავიდან იქნეს აცილებული გატაცება ან შიდა პრევენციული პროცედურების დარღვევა.²¹⁰ ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის თანახმად, „მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ბრძანებაში მითითებული ნორმებმა და წესებმა, რომლებიც არეგულირებს მშობელთა ქცევას, შესაძლოა ხელი ვერ შეუშალოს გამტაცებელს მისი მიზნის განხორციელებისგან, ისინი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა გატაცების პირველივე ეტაპზე მოხდეს პროფესიონალთა ჩართვა“.²¹¹

სხვადასხვა ორგანოები და სააგენტოები შესაძლოა იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა ეტაპზე, რათა მოხდეს უკანონო დაკავების ან გაყვანის პრევენცია. რიგ სახელმწიფოებსა და შემთხვევებში, აღნიშნული ორგანოები და სააგენტოები აღჭურვილნი უნდა იყვნენ შესაბამისი უფლებამოსილებებით, რათა მოახდინონ რეაგირება. კითხვარზე პასუხად აღნიშნულ იქნა, რომ კანონმდებლობა, რომელიც ახდენს 1980 წლის კონვენციის იმპლემენტაციას მოიცავს სექციებს, რომლებიც ადგილობრივ პოლიციას და ადმინისტრაციულ სასამართლოებს ჰააგის საქმეების განხილვის დროს ანიჭებს სპეციალურ უფლებამოსილებებს.²¹² კითხვარის რესპონდენტმა აღნიშნა, რომ სასამართლოს ბრძანება ძირითადად აუცილებელია, რათა ბავშვი მოხვდეს სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ, თუმცა, ვინაიდან ამ ბრძანების გამოცემა სამუშაო საათების შემდეგ

²⁰⁷ კითხვარზე კანადის პასუხების თანახმად, იხილეთ კვებეკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 153-ე მუხლი და მანიტობასთან დაკავშირებით, ბავშვის მეურვეობის განხორციელების შესახებ აქტი, R.S.M. 1587, c.C360, ასევე სასაკრედიტო დაკავშირებით ბავშვთა სამართლის შესახებ აქტი, 1557, c.C-8.2.

²⁰⁸ კვებეკში, სამოქალაქო სასამართლოები უფლებამოსილი არიან სასამართლოს ბრძანების დაუმორჩილებლობის გამო დააჯარიმონ ან დააპატიმრონ პირი, კვებეკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 45-ე და 51-ე მუხლები - იხილეთ კანადის პასუხი კითხვარზე. გერმანიაში, არა სადავო საკითხების შესახებ აქტის 33-ე სექციის, პირველი სექციის, პირველი წინადადების თანახმად, სასამართლოებს შეუძლიათ დააწესონ ჯარიმები ბრძანების შეუსრულებლობისთვის. იხილეთ გერმანიის პასუხი კითხვარზე.

²⁰⁹ იხილეთ გერმანიის პასუხი კითხვარზე.

²¹⁰ მაგალითად, ავსტრალიასა და ჩინეთში (ჰონგ-კონგი) საპორტო შეტყობინების ასამოქმედებლად. იხილეთ ზედა სქოლიო 3.2.3.

²¹¹ იხილეთ ICMEC/NCMEC პასუხი კითხვარზე.

²¹² იხილეთ შვედეთის პასუხი კითხვარზე.

შეუძლებელია, პოლიციას აქვს დაუყოვნებლივ მოქმედების შესაძლებლობა, რათა, აუცილებლობის შემთხვევაში, მისი დაცვის ქვეშ აიყვანოს ბავშვი.²¹³

რიგ სახელმწიფოებში, სისხლისსამართლებრივი ბრალდების წაყენება შესაძლოა გახდეს საჭირო, რათა პოლიციას მიეცეს რეაგირების საშუალება,²¹⁴ მათ შორის ბავშვის ან/და გამტაცებლისთვის იურისდიქციის დატოვებისთვის ხელის შეშლის უფლება.²¹⁵ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბავშვთა გატაცების კანონმდებლობა გატაცების მცდელობას სისხლის სამართლებრივ დანაშაულად აღიარებს, რაც შესაბამის უწყებებს აძლევს მოქმედების საშუალებას, როდესაც მიმდინარეობს გატაცების პროცესი.²¹⁶ ერთ-ერთ სახელმწიფოში, მიმდინარეობდა დისკუსია ბავშვის გატაცების დანაშაულისთვის სასჯელის მაქსიმალურად დამძიმების შესახებ, რაც მისცემდა პოლიციას საშუალებას, გამოეყენებინა მის ხელთ არსებული ყველა შესაძლო იძულებითი ზომა.²¹⁷ მეორე სახელმწიფოში,²¹⁸ სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასაჯადად იქნა გამოცხადებული შემთხვევა, როდესაც ვერ ხერხდება ბავშვის გატაცების პრევენცია.²¹⁹ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის გატაცება უკვე მოხდა, შესაძლებელია განხორციელდეს შემდგომი გაყვანის პრევენცია.²²⁰

ასეთ შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ სისხლისსამართლებრივი ბრალეულობის არსებობა არ არის აუცილებელი ინტერპოლის დახმარების მოსაპოვებლად.²²¹

მიუხედავად იმისა, რომ რიგ სახელმწიფოებში აუცილებელია სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა, რათა სამართალდამცავმა ორგანოებმა მოახდინონ ბავშვის მიერ სახელმწიფოს დატოვების პრევენცია, უნდა აღინიშნოს, რომ საქმის სისხლის სამართლებრივმა წარმოებამ, შესაძლოა კონვენციის მოქმედებას დაბრკოლება შეუქმნას.²²² სპეციალური კომისიის მეოთხე შეხვედრის დასკვნებისა და რეკომენდაციების თანახმად:

„სისხლის სამართლებრივი დევნის პროცედურის გავლენა ბავშვის ბავშვის დაბრუნების შესაძლებლობაზე არის საკითხი რომელიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დისკრეციის განხორციელებისას, ბრალმდებელი ორგანოების მხრიდან ბრალდების დაწყებისას, შეჩერებისას ან გააუქმებისას.“²²³

3.3 ხელმისაწვდომობა სასამართლოზე

- სასამართლოზე ეფექტური წვდომა აუცილებელია, რათა ორივე მშობელს ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს, შეცვალოს ან მოახდინოს აუცილებელი პრევენციული ღონისძიების ცნობა და აღსრულება.
- სასამართლოზე ეფექტური წვდომა მოიცავს, მათ შორის, იურიდიულ დახმარებაზე წვდომას, დოკუმენტების თარგმანს და საქმისწარმოების დროს თარჯიმნით სარგებლობას.
- გადაუდებელი აუცილებლობის დროს, სასამართლოზე ხელმისაწვდომობა უნდა განხორციელდეს სწრაფად და სამუშაო საათების მიღმა (აუცილებლობის შემთხვევაში).

²¹³ იხილეთ შვედეთის პასუხი კითხვარზე.

²¹⁴ იხილეთ ხორვატიის პასუხი კითხვარზე. აღნიშნულს ასევე ადგილი აქვს გაერთიანებულ სამეფოში საპორტო შეტყობინებასთან მიმართებით.

²¹⁵ კვებეკის ცენტრალური ორგანოს თანახმად: „ზმირ შემთხვევებში, მართლმსაჯულების სისტემისადმი მიმართვა ეხმარება პოლიციას ძებნასა და ბავშვის ადგილმდებარეობის განსაზღვრაში“.

²¹⁶ იხილეთ მშობლების მიერ საერთაშორისო გატაცების დანაშაულის აქტი, 18 USC 1204 (ამერიკის შეერთებული შტატების ფედერაციული კანონი).

²¹⁷ იხილეთ ფინეთის პასუხი კითხვარზე.

²¹⁸ იხილეთ მალტას პასუხი კითხვარზე.

²¹⁹ არ არის ნათელი, სისხლისსამართლებრივი ბრალეულობა წარდგენილ იქნება მხოლოდ ინდივიდების წინააღმდეგ, თუ ასევე გავრცელდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე.

²²⁰ იხილეთ ისრაელის პასუხი კითხვარზე.

²²¹ იხილეთ მესამე სპეციალური კომისიის ანგარიში, *ზედა სქოლიო* 60, პარაგრაფი 5.

²²² იხილეთ *Sonderup v. Tondelli* 2001 (1) SA 1171 (CC) INCADAT: HC/E/ZA 305; და *Re M. and J.* (გატაცება) (საერთაშორისო სამართლებრივი ენაშრომლობა) [1555] 3 FCR 721 INCADAT: HC/E/UK 266.

²²³ იხილეთ მესამე სპეციალური კომისიის ანგარიში, *ზედა სქოლიო* 60, პარაგრაფი 4.

- გადაუდებელი აუცილებლობის დროს, რეკომენდირებულია ბრძანებების *ex parte* მიღება.
- სასამართლოს შესაბამისი ბრძანებები უნდა აღსრულდეს დაყოვნების გარეშე.

იქ, სადაც არსებობს გატაცების მოსალოდნელი რისკი, აუცილებელია, რომ ორივე მშობელს ჰქონდეს სასამართლოზე წვდომის საშუალება, რათა მოითხოვონ ბრძანების გამოცემა, არსებულის შეცვლა, ან მისი ცნობა ან აღსრულება. სასამართლოზე ხელმისაწვდომობა ასევე მოიცავს სამართლებრივი დახმარების გაწევასა და შესაბამისი დოკუმენტაციის თარგმანს. რიგ შემთხვევებში, შესაძლოა თანაბრად მნიშვნელოვანი იყოს, თუ სასამართლოზე წვდომა უფრო სწრაფად განხორციელდება და სასამართლო ბრძანებები გამოიცემა *ex parte* ან/და სამუშაო საათების მიღმა.²²⁴ რამდენიმე ქვეყანაში შესაძლებელია, სამუშაო საათების მიღმა შუალედური ბრძანებების გამოცემის მოთხოვნის წარდგენა,²²⁵ რამაც შეიძლება უფრო მუდმივმოქმედი სახე მიიღოს, მაშინ როდესაც სასამართლო შედგება.²²⁶ ზოგ სახელმწიფოში შუალედური ღონისძიებების გატარება შესაძლებელია გადაუდებელი აუცილებლობის დროს შეტყობინების გარეშე ან მოკლე შეტყობინების საფუძველზე.²²⁷

აუცილებელია, რომ მოხდეს მიღებული სასამართლო ბრძანებების აღსრულება დაყოვნების გარეშე

4. ინფორმაციის გადაცემა და გავრცელება

- შესაბამისი ინფორმაციის გადაცემა და გავრცელება თავისთავად წარმოადგენს მნიშვნელოვან პრევენციულ ზომას.

მშობლებისთვის, როგორც გამტაცებელი, ისე მიტოვებული მშობლისთვის, ინფორმაციის მიწოდება თავისთავად წარმოადგენს მნიშვნელოვან პრევენციულ ღონისძიებას.²²⁸ პირველ შემთხვევაში პრევენციული ზომებისა და ბავშვზე გატაცების მავნე ზეგავლენის შესახებ ინფორმაციის მიწოდებამ შესაძლოა იმოქმედოს როგორც შემაკავებელმა ფაქტორმა, უკანასკნელ შემთხვევაში კი ინფორმაციის მიწოდება შესაძლოა დაეხმაროს მშობელს შეაფასოს მისი მდგომარეობა და გადადგას აუცილებელი ნაბიჯები გატაცების თავიდან ასაცილებლად. ამასთან, რიგი ღონისძიებების ამოქმედება შესაძლებელია მხოლოდ მშობლის მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისად მშობლები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ არსებული მექანიზმებისა და მათი განხორციელების შესაძლო გზების შესახებ.

მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად, აუცილებელია, რომ შესაბამისი პროფესიული წრეების წარმომადგენლები, რომლებიც იყენებენ პრევენციულ ზომებს, კარგად არიან ინფორმირებულნი და აქვთ შესაძლებლობა, შესაბამისად იმოქმედონ გატაცების თავიდან ასაცილებლად (იხილეთ ქვემოთ მე-5 თავი).

4.1 პროაქტიული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია

პროაქტიული ზომები მიზნად ისახავს მშობლის მიერ გატაცების წინასწარ განჭვრეტას. შემაკავებელი ეფექტის მისაღებად, ასეთი ღონისძიებების გასაჯაროება აუცილებელია. სწორედ, რომ სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც შეგროვდა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ადასტურებს, რომ გატაცების პრევენციის შესახებ ინფორმაციას ნამდვილად აქვს შემაჩერებელი ეფექტი.²²⁹ რიგმა სახელმწიფოებმა აღნიშნეს, რომ 1980 წლის კონვენციის არსებობისა და მოქმედების

²²⁴ კითხვარზე პასუხების გაცემისას რიგმა სახელმწიფოებმა, მათ შორის დანიამ, ფინეთმა, გერმანიამ, ისრაელმა, მალტამ და ახალმა ზელანდიამ აღნიშნეს, რომ ბრძანებების მიღება შესაძლებელია *ex parte* და სამუშაო საათების მიღმა. სხვა სახელმწიფოებმა, მათ შორის არგენტინამ, ავსტრიამ, სლოვაკეთმა, შვედეთმა, შვეიცარიამ და გაერთიანებულმა სამეფომ (შოტლანდია) აღნიშნეს, რომ ბრძანებების *ex parte* გამოცემა შესაძლებელია, თუმცა არა სამუშაო საათების მიღმა. პოლონეთმა აღნიშნა, რომ ბრძანებების მიღება შესაძლებელია სამუშაო საათების მიღმა და არა *ex parte*. ხორვატიაში ბრძანებები არ გამოიცემა *ex parte* ან სამუშაო საათების მიღმა.

²²⁵ იხილეთ დანიის პასუხი კითხვარზე.

²²⁶ მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში მოსამართლეს შეუძლია შეჩერების ბრძანების გამოცემა სახლიდან გაუსვლელად საღამოს, რაც ახდენს ოურისდიქციიდან ბავშვის გაყვანის პრევენციას, ხოლო საქმის გარემოებების განხილვა დეტალურად მეორე დღეს სასამართლოში მიმდინარეობს.

²²⁷ იხილეთ კანადის პასუხი კითხვარზე.

²²⁸ კითხვარზე პასუხად, გაერთიანებულმა სამეფომ (შოტლანდია) აღნიშნა, რომ იგი ხვდება „პრევენციის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების საჭიროებას.

ჩვენ გვჯერა, რომ განათლება და საჯაროება ურთიერთდაკავშირებულია და განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს გატაცების პრევენციისას“.

გაერთიანებულმა სამეფომ (შოტლანდია) ასევე აღნიშნა, რომ „ინფორმაცია მშობლებისთვის ვერ მოახდენს ბავშვთა ყველა გატაცების საქმის შეჩერებას, თუმცა ნამდვილად მოახდენს რამდენიმე მათგანის აღკვეთას“.

²²⁹ Reunite-ის - ბავშვთა საერთაშორისო გატაცების ცენტრის თანახმად, საკონსულტაციოდ მათ 2001 წელს დაუკავშირდნენ 274 საქმესთან დაკავშირებით, რომლებიც 355 ბავშვს მოიცავდა, ხოლო 2002 წელს 236 საქმესთან დაკავშირებით, რომლებიც 343 ბავშვს შეეხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ზარები მიმდინარე

შესახებ ინფორმაციას აქვს ასეთი ეფექტი. ერთ-ერთმა ცენტრალურმა ორგანომ აღნიშნა, რომ „ჩვენ ვფიქრობთ, რომ კონვენციის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ზრდას აქვს უკუკავშირი - პრევენციული ეფექტი პოტენციურ გამტაცებლებზე“.²³⁰

4.1.1 ბავშვთა საერთაშორისო გატაცების დინამიკასა და სერიოზული შედეგების შესახებ ცნობიერების ზრდა

- საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ზოგადი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბავშვის ერთპიროვნული გადაადგილება ძირითადად უკანონოა.
- საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ზოგადი ინფორმაცია, რომელიც ხაზს უსვამს ბავშვზე გატაცების დამაზიანებელ ეფექტს და ბავშვის მიერ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ორივე მშობელთან ურთიერთობის მნიშვნელობას.

ინფორმაცია, რომლითაც ხდება მშობელთა მიერ ბავშვთა საერთაშორისო გატაცების ხასიათის გაგრძელება, მნიშვნელოვანია. ტერმინი „გატაცება“ რიგ შემთხვევებში ითვლება, რომ გულისხმობს არა ოჯახის წევრთა, არამედ უცხო პირთა მიერ ბავშვის გატაცებას. მშობლებმა შესაძლოა არ იცოდნენ, რომ ბავშვთან ერთად გადაადგილება, ან ბავშვის დასასვენებლად წაყვანა შესაძლოა იყოს უკანონო ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად.

ეს განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბავშვი ან/და მშობელი დანიშნულების ქვეყნის მოქალაქეა. შესაბამისად, აუცილებელია გაიზარდოს ცნობიერება, რათა უბოროტო განზრახვით ბავშვის გაყვანა არ გადაიზარდოს გატაცებაში.

სხვა შემთხვევაა, როდესაც მშობელმა იცის, რომ მისი საქციელი შესაძლოა წარმოადგენდეს გატაცებას, თუმცა, მაინც ახდენს ბავშვის გაყვანას, ვინაიდან თვლის, რომ იგი მოქმედებს ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ მშობელი ფიქრობს, რომ ბავშვის გაყვანა მისთვის სასარგებლოა, უნივერსალურად იქნა აღიარებული, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესს სწორედ ორივე მშობელთან კონტაქტის შენარჩუნება წარმოადგენს,²³¹ იმ დროსაც კი, როდესაც ასეთი კონტაქტი შეზღუდულია, ან მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობს. ინფორმაციამ, რომელიც აფრთხილებს მშობელს ბავშვზე გატაცების შედეგად მიყენებულ ზიანსა და იმ სარგებელზე, რომელიც ბავშვის მიერ ორივე მშობელთან კონტაქტის შენარჩუნებას მოაქვს, შესაძლოა ხელი შეუშალოს გატაცებას. ამ თვალსაზრისით, კითხვარის ერთ-ერთმა რესპონდენტმა ხაზი გაუსვა გატაცების პრევენციის დროს მშობლისთვის ისეთი ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობას, რომელიც ეხმარება მას აღიქვას მდგომარეობა ბავშვის პერსპექტივიდან.²³² ახალმა ზელანდიამ დანერგა მშობლის პროგრამები, რომლებიც განქორწინებულ მშობლებს სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამებს. ასეთ პროგრამებზე დასწრება სავალდებულო არ არის. მშობლები იღებენ ინფორმაციას, თუ როგორი გავლენა აქვს განცალკევებას ბავშვებზე, საოჯახო სამართალზე, საოჯახო სასამართლოს საქმის წარმოებასა და არსებულ მხარდამჭერ ქსელებზე.

4.1.2 პრევენციული ღონისძიებების შესახებ ცნობიერების ზრდა

- პრევენციული ღონისძიებების ეფექტურობა მეტწილად დამოკიდებულია ბავშვთა გატაცების რისკების შესახებ ცნობიერებაზე. საზოგადოების წევრებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია გატაცების პრევენციის ყველაზე ეფექტური ზომების შესახებ.
- ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ 1980 წლის კონვენციის მოქმედების შესახებ ცნობიერების ზრდას.

გატაცებასთან დაკავშირებით შემცირდა, 2 წლის განმავლობაში გაიზარდა ზარები გატაცების პრევენციის საკითხზე რჩევებთან დაკავშირებით. შეხვედრა დენის კარტერთან, OBE, Reunite-ის დირექტორი - ბავშვთა საერთაშორისო გატაცების ცენტრი, ლონდონი, მარტი, 2003 წელი.

²³⁰ იხილეთ ფინეთის პასუხი კითხვარზე. კითხვარზე პასუხის გაცემისას, გაერთიანებულმა სამეფომ (შოტლანდიამ) აღნიშნა, რომ „არსებობს მტკიცებულება ადოქტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, რაც ადასტურებს რომ ჰააგის კონვენციის შესახებ გაზრდილმა ცნობიერებამ, შესაძლოა იმოქმედოს როგორც პრევენციულმა ზომამ რიგ შემთხვევებში“.

²³¹ იხილეთ გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-10 (2) მუხლი.

²³² იხილეთ შვეიცარიის პასუხი კითხვარზე.

- მშობლებმა, რომლებიც განცალკევებით აპირებენ ცხოვრებას, სცილდებიან ერთმანეთს ან განიხილავენ მეურვეობის ან ბავშვთან კონტაქტის/წვდომის საკითხებს, შესაძლოა ისარგებლონ პრევენციული ღონისძიებებისა და ორგანოებისა და სააგენტოების შესახებ ინფორმაციით, რომლებმაც მათ დახმარება შეიძლება გაუწიონ.

კითხვარზე გაცემული პასუხებიდან ნათელია, რომ ბავშვთა გატაცების თანმდევი რისკებისა და იმ პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის არსებობა, რომელიც ამცირებს ასეთ რისკს, წარმოადგენს გარემოებას, რომელზეც დამოკიდებულია სხვა პრევენციული ღონისძიებების ეფექტურობა. შესაბამისად, აუცილებელია, რომ საზოგადოების წევრებს მიეწოდოთ ინფორმაცია, რომელიც ხაზს უსვამს გატაცების პრევენციის ყველაზე ეფექტურ საშუალებებს.

მშობლებს, რომლებიც სცილდებიან ერთმანეთს, განსაკუთრებით ესაჭიროებათ ინფორმაცია. სასამართლო ბრძანებებმა ან შეთანხმებებმა, რომლებიც მიღწეულ იქნა განქორწინების, მეურვეობისა და ბავშვთან კონტაქტის/წვდომის საქმისწარმოების დროს შესაძლოა შეცვალოს მშობლის სამართლებრივი სტატუსი მეურვეობის ან კონტაქტის/წვდომის უფლების განხორციელების თვალსაზრისით. არაფორმალური გარემოებების გაოფიციალურებამ შესაძლოა გამოიწვიოს გაურკვევლობა, თუ რა ერთპიროვნული ქმედებები შესაძლოა განახორციელოს მშობელმა ბავშვთან მიმართებით. ისინი ინფორმირებულნი უნდა იყვნენ მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, რათა კანონის ფარგლებში იმოქმედონ. ერთ-ერთ სახელმწიფოში მშობლებს, რომლებმაც გადაწყვიტეს განქორწინება, გადაეცემათ ბროშურა, სადაც აღნიშნული ინფორმაცია დეტალურად არის ასახული და მითითებულია გატაცების პრევენციის შესახებ.²³³ მეორე სახელმწიფოში მოქმედებს ვებ-გვერდი განქორწინების შემდეგ მშობლის უფლება-მოვალეობების განხორციელების შესახებ.²³⁴ ასეთ ბროშურაში ასევე შეიძლება ასახულ იქნეს იმ ორგანოებისა და სააგენტოს საკონტაქტო მონაცემები, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა დახმარება გაუწიონ მშობლებს მათი შემდგომი ინფორმირების კუთხით. მათი გამოყენება ასევე შესაძლებელია დაეხმაროს მშობლებს, გადაწყვიტონ მიიღონ თუ არა წინასწარი უსაფრთხოების ზომები. ასევე შესაძლოა ასეთი ინფორმაციის შენახვა სამომავლოდ გატაცების საფრთხის არსებობის შემთხვევაში.

4.1.3 დაცვის ღონისძიებების შესახებ ცნობიერების ამაღლება

- მშობლებისა და ბავშვის ჩვეულებით საცხოვრებელი ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი დამცავი სერვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება აუცილებელია.

რამდენიმე მშობელი თვლის, რომ გატაცება წარმოადგენს მათი და მათი შვილების საფრთხის შემცველი ან დამაზიანებელი მდგომარეობისგან დაცვის საშუალებას. ინფორმაციამ ჩვეულებით საცხოვრებელ ადგილზე მოქმედი დამცავი ღონისძიებებისა და კანონიერი გადაადგილების შესახებ, შესაძლოა შეამციროს გატაცების განზრახვა. ასეთი ინფორმაცია უნდა იყოს მზა და უნდა იქნეს გავრცელებული, მაგალითად ოჯახის ადვოკატებისა და მედიატორების მიერ. მშობლები, განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი პირები, საჭიროებენ იმ სერვისების შესახებ ინფორმაციას, რომლითაც შესაძლებელია მათი და მათი შვილების დაცვა. ასეთი სერვისების შესახებ ცოდნა და მათზე ხელმისაწვდომობა ამცირებს შიშის შეგრძნებასა და სასოწარკვეთას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს გატაცება. იგი ასევე წარმოადგენს ბავშვთა დაცვის პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტს.

4.2 ინფორმაცია რეაქტიული ღონისძიებების შესახებ

- აუცილებელია იმ პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რომელთა გამოყენებითაც შესაძლოა გატაცების მოსალოდნელ რისკზე რეაგირება.
- მშობლებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია პრევენციული ღონისძიებების შესახებ, კერძოდ, ინფორმაცია სამართლებრივი პროცესებისა და ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ,

233 ჩინეთის (ჰონგ-კონგის) სოციალური უზრუნველყოფის დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ბროშურა „მშობლები მთელი ცხოვრების განმავლობაში“, რომელიც ეხმარება განქორწინებულ პირებს სამეურვეო ან ბავშვზე წვდომის საკითხების რეგულირებაში.
234 < www.canada.justice.gc.ca/en/ps/pad >.

რომლებიც უნდა იქნეს გამოყენებული გარკვეული პრევენციული ღონისძიებების ასამოქმედებლად.

თუ არსებობს გატაცების მოსალოდნელი რისკი, მშობელს ესაჭიროება ნათელი და მოკლე ინფორმაცია, რომელიც მას დაეხმარება მიმართოს შესაბამის პრევენციულ ზომებს. იმდენად, რამდენადაც სხვადასხვა ორგანიზაციები და სააგენტოები არიან ჩართულნი პრევენციული ზომების გამოყენებასა და მოქმედების საკითხებში, ინფორმაციის მიწოდებამ შესაძლოა გამოიწვიოს პირის დაბნეულობა. რიგ სახელმწიფოებში, წარმოდგენილია მწირი ინფორმაცია შესაბამისი სააგენტოებისა და ორგანიზაციების შესახებ. სხვა სახელმწიფოები კი საზოგადოებას აწვდიან ინფორმაციას კონკრეტული პრევენციული ღონისძიებების შესახებ. როგორც ინფორმაციის ნაკლებობამ, ისე ასეთი სახით ინფორმაციის გავრცელებამ შესაძლოა პრობლემები შეუქმნას მშობელს, რომელიც აპირებს მიმართოს გატაცების პრევენციულ ზომებს. შედეგად, აღინიშნა, რომ ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიწოდება აუცილებელია.²³⁵

4.2.1 პრევენციის დოკუმენტი

- რეკომენდირებულია, რომ სახელმწიფოებმა შექმნან და გაავრცილონ მშობლებისთვის ყოვლისმომცველი პრევენციული ღონისძიებების შესახებ დოკუმენტი, რომელიც დეტალურად ასახავს პრევენციულ ღონისძიებებსა და იმ სააგენტოებისა და ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციას, რომლებსაც შეუძლიათ გაუწიონ მათ დახმარება კონკრეტული ღონისძიებებით.
- აღნიშნულ დოკუმენტში უნდა იქნეს ხაზგასმული გადაუდებელი პროცედურები და პრაქტიკული ნაბიჯები, რომელთა გადადგმაც შეუძლია მშობელს, რომელსაც აქვს შიში, რომ მისი შვილი შესაძლოა გატაცებულ იქნეს. ასეთი დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამის ენებზე.

„პრევენციის დოკუმენტის“, რომელიც მოიცავს მოკლე ინფორმაციასა და იმ სააგენტოებისა და ორგანიზაციების საკონტაქტო მონაცემებს, რომლებსაც შეუძლიათ კონკრეტულ სიტუაციაში პირს მიაწოდონ უფრო დეტალური ინფორმაცია, მნიშვნელოვნად დაეხმარება მშობელს, რომელსაც სურს მოახდინოს გატაცების პრევენცია.²³⁶

პრევენციის დოკუმენტში ინფორმაცია შესაძლოა მოიცავდეს, *inter alia*, სასამართლო ბრძანების გამოცემის საჭიროებას, ასევე იურისდიქციიდან ბავშვის გაყვანის დამაბრკოლებელ ფაქტორებს, მათ შორის ინფორმაციას სამგზავრო დოკუმენტაციის გაუქმების შესახებ. იგი ასევე შესაძლოა მოიცავდეს რეკომენდაციებს მნიშვნელოვანი დოკუმენტების, ბავშვის შესახებ მონაცემების შეგროვებისა და დაცვის შესახებ.²³⁷ ერთ-ერთი სახელმწიფოს პრევენციული ბროშურა ურჩევს მშობელს, რომელიც შიშობს, რომ მისი შვილი შესაძლოა დაექვემდებაროს გატაცებას, შეინახოს მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორცაა პასპორტი და ბავშვის დაბადების მოწმობა უსაფრთხო ადგილას.²³⁸ ამასთან, რეკომენდირებულია, რომ გადაღებულ და შენახულ იქნეს ბავშვისა და პოტენციური გამტაცებლის ფოტოსურათები. ბროშურას თან ერთვის ფორმა, სადაც მშობელს შეუძლია მიუთითოს ბავშვის შესახებ სათანადო ინფორმაცია, მათ შორის ბავშვის დეტალური აღწერილობა (საიდენტიფიკაციო მონაცემების ჩამონათვალი, როგორცაა განმასხვავებელი ნიშანი, აქცენტი, თვალის ფერი) და სისხლის ჯგუფის შესახებ ინფორმაცია, ინფორმაცია იმ სპეციალური მედიკამენტების შესახებ, რომლებსაც იღებს ბავშვი, ასევე საზღვარგარეთ მცხოვრები მეგობრებისა და ნათესავების შესახებ დეტალები. ასეთი პრაქტიკული რეკომენდაციები დიდ დახმარებას უწყებს არა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს და სხვებს, რომლებიც ცდილობენ ბავშვის გაყვანის პრევენციას, თუ სახიფათო გატაცების მცდელობა, არამედ აძლევს საშუალებას მშობელს იმოქმედოს პროაქტიულად და ეხმარება მას ბავშვის გაყვანის პრევენციაში.

²³⁵ იხილეთ სლოვაკეთისა და გაერთიანებული სამეფოს (შოტლანდიის) პასუხები კითხვარზე..

²³⁶ საერთაშორისო ბავშვთა გატაცების შესახებ რამდენიმე ბროშურა ასახავს სახელმწიფოში მოქმედი ორგანიზაციებისა და სააგენტოების საკონტაქტო ინფორმაციას, რომლებსაც შეუძლიათ დახმარების გაწევა. ამასთან, რამდენიმე ვებ-გვერდი შეიცავს სხვადასხვა ორგანიზაციებისა და სააგენტოების ვებ-გვერდების ბმულებს.

²³⁷ იხილეთ Reunite - ბავშვთა საერთაშორისო გატაცების ცენტრი, პრევენციული ნაკრები.

²³⁸ ბროშურა გამოცემულია მშობლების მიერ გატაცებული ბავშვების ირლანდიური ცენტრის მიერ და მომზადებულ იქნა Reunite -ის მიერ შექმნილი მოდელის საფუძველზე.

პრევენციის დოკუმენტში ინფორმაციამ ასევე ხაზი უნდა გაუსვას სწრაფი მოქმედებების განხორციელების მნიშვნელობას და გადაუდებელ ღონისძიებებს. კერძოდ, როდესაც გატაცება მოახლოებულია პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს გადაუდებელ აქტივობებს, ზოგად უსაფრთხოების ზომებთან მიმართებით. მშობლები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ, რომ არც ერთი ღონისძიების გამოყენება არ იძლევა გატაცების პრევენციის გარანტიას, და ერთი პრევენციული ღონისძიების გამოყენების დაწყება ან სასამართლო ბრძანება აუცილებლად არ წარმოადგენს მიზნის მიღწევის საკმარის ზომას.²³⁹ ზოგადად, იმისთვის რომ მოხდეს უკანონო გაყვანის ან დაკავების პრევენცია, აუცილებელია რამდენიმე ღონისძიების ერთად გამოყენება.

4.2.2 კონკრეტული ინფორმაცია

• სააგენტოებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც იყენებენ კონკრეტულ პრევენციულ ღონისძიებებს, უნდა გაავრცელონ ინფორმაცია შესაბამის სახელმწიფოში ასეთი ღონისძიებების მოქმედების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდირებულია ერთი კონსოლიდირებული პრევენციის დოკუმენტის არსებობა, რომელიც ასახავს არსებული პრევენციული ღონისძიებების სრულ სპექტრს, კონკრეტული პრევენციული ზომების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოებისა და სააგენტოების მიერ შესაძლოა ძალიან სასარგებლო იყოს. ასეთი ინფორმაცია შესაძლოა დაკავშირებული იყოს პრევენციის ზოგად დოკუმენტთან, რათა შეავსოს იგი და არ მოვიდეს მასთან წინააღმდეგობაში. რიგი საპასპორტო ორგანიზაციები²⁴⁰ წარადგენენ ინფორმაციას ორმაგი მოქალაქეობის შესახებ ან/და იმ წესებისა და რეგულაციების შესახებ ცნობებს, რომელთა მიხედვითაც ხდება სამგზავრო დოკუმენტაციის გამოთხოვა და გაუქმება. რიგ ქვეყნებში მომზადდა ფლაერები, სადაც დეტალურად იქნა მითითებული სხვა ქვეყნებში არსებული პროცედურები და საკონტაქტო ინფორმაცია, ისე რომ მშობელს, რომელიც ფიქრობს, რომ მისი შვილი შესაძლოა გატაცებულ იქნეს კონკრეტულ სახელმწიფოში, შეუძლია მიიღოს ინფორმაცია აღნიშნული სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემისა და პროცედურების შესახებ, ასევე იმ ბრძანებების შესახებ, რომელთა გამოცემაც მან შეიძლება მოითხოვოს.²⁴¹ რიგი საპორტო ან სამართალდამცავი ორგანოები²⁴² ასევე ამზადებენ საინფორმაციო ლიფლეტებსა და ბროშურებს მოქმედი საპორტო შეტყობინებების შესახებ, ასევე უკანონო გაყვანის პრევენციის შესახებ ინფორმაციას.

ამასთან რიგი საოჯახო სასამართლოები²⁴³ ამზადებენ ინფორმაციას იმ ბრძანებებისა და სამართლებრივი ნორმების შესახებ, რომელიც მშობელმა შესაძლოა მიიღოს, ასევე ინფორმაციას სასამართლოს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. ცენტრალური ორგანოები²⁴⁴ ან/და არასამთავრობო ორგანიზაციები²⁴⁵ ასევე წარმოადგენს ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელოვან წყაროს.

²³⁹ იხილეთ გაერთიანებული სამეფოს (შოტლანდიის) პასუხი კითხვაზე

²⁴⁰ მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატების საპასპორტო ორგანო - ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: www.travel.state.gov/passport/ppi/family/family_866.html >, ასევე კანადის საკონსულო სამსახური - ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: www.voyage.gc.ca/main/pubs/dual_citizenship-en.asp >.

²⁴¹ ქვეყნის ფლაერები მომზადებულია, *inter alia*, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ და ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: www.travel.state.gov/family/abduction_country.html >.

²⁴² მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს საპორტო პოლიციამ შეიმუშავა ბროშურა ბავშვის საერთაშორისო გატაცების შესახებ, სახელწოდებით „ბავშვის გატაცება, პოლიციის ოფიცრების პრაქტიკული სახელმძღვანელო“, რომელიც გამოცემულ იქნა ეროვნული საპორტო ოფისის მიერ.

²⁴³ მაგალითად, ახალ ზელანდიის საოჯახო სასამართლო შესაბამის ინფორმაციას განათავსებს შემდეგ ვებ-გვერდზე: www.justice.govt.nz/family/children/hagueconvention.html >.

²⁴⁴ ამ ინფორმაციას ამზადებს რამდენიმე ცენტრალური ორგანო და სახელმწიფო დეპარტამენტი, მათ შორის, *inter alia*, არგენტინაში, ბელგიაში, კანადაში, ჩინეთში (ჰონგ-კონგი), დანიაში, ესტონეთში, ფინეთში, გერმანიაში, მალტაში, ახალ ზელანდიაში, სლოვაკეთში, შვედეთში, შვეიცარიაში, გაერთიანებულ სამეფოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

²⁴⁵ Reunite-მა - ბავშვთა საერთაშორისო გატაცების ცენტრმა მოამზადა მშობლებისთვის პრევენციული ნაკრები ამჟამად, არსებობს ნაკრები ინგლისისა და უელსისთვის, შოტლანდიისთვის, ჩრდილოეთ ირლანდიისთვის, საბერძნეთისა და ესპანეთისთვის. ზოგიერთი მათგანი ხელმისაწვდომია სხვადასხვა ენებზე, აღნიშნული კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკითხის საერთაშორისო ხასიათიდან გამომდინარე. მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: www.reunite.org >. სხვა ქვეყნებში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მათ შორის *inter alia*, ბელგიასა და კანადაში ასევე მოამზადეს პრევენციის შესახებ ინფორმაცია.

4.3 გავრცელება

- სახელმწიფოში მოქმედი პრევენციული ღონისძიებების შესახებ ზოგადი ინფორმაცია უნდა იქნეს ფართოდ გავრცელებული.

იმისთვის, რომ მოხდეს გატაცების ეფექტური პრევენცია, ინფორმაციის გავრცელება უნდა

მოხდეს ფართოდ.²⁴⁶

4.3.1 მედია

- მედიის საშუალებით გატაცებასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოს პირთა ფართო წრეს.
- თუ მედია ითხოვს ინფორმაციას კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, ხელისუფლების ორგანოებმა შესაძლოა ყურადღება გაამახვილონ პრევენციულ ღონისძიებებსა და 1980 წლის კონვენციის მიზნებზე.

რიგ ქვეყნებში მედია გამოიყენება გატაცების პრევენციის შესახებ ზოგადი ინფორმაციის გასავრცელებლად.²⁴⁷ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა შესაძლოა გაითვალისწინონ პროაქტიულად მედიის როგორც პრევენციის ღონისძიების შესახებ ცნობიერების ამაღლების საშუალების გამოყენება. ერთ-ერთმა სახელმწიფომ აღნიშნა, რომ 2001 და 2002 წლებში გატაცების საქმეები 26%-ით შემცირდა, რაც გარკვეულწილად მედიის მიერ გატაცების საქმეების დაფარვამ გამოიწვია. აღნიშნა, რომ „ქვეყნის მოსახლეობის მცირე რაოდენობა ნიშნავს, იმას, რომ დაბრუნების გასაჯაროებამ ერთ ქვეყანაში შეიძლება დაფარვის ისეთი ხარისხი გამოიწვიოს, რასაც ადგილი ბევრ სხვა ქვეყანაში არ იქნება.“²⁴⁸ მიჩნეულია, რომ აღნიშნული ღონისძიების გამოყენებით ფერხდება გატაცება,

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ მედიის მეშვეობით ბავშვთა გატაცების საქმეების გაშუქებას თან სდევს „ცრუ იმიჯის“ გამოხატვა.²⁴⁹ მეორე არასამთავრობო ორგანიზაციამ კი აღნიშნა, რომ მისი გამოცდილებით, სატელევიზიო პროგრამებს, გაზეთებსა და ჟურნალებს, რომლებიც ითხოვენ ინტერვიუს, შესაძლოა „ჰქონდეთ თემის კონკრეტული საკითხის დაფარვის სურვილი, რამას შესაძლოა გაართულოს მათ მიერ ზოგადი და სასარგებლო ინფორმაციის გაშუქება.“²⁵⁰ აღნიშნული ორგანიზაცია მედიასთან კომუნიკაციის დროს, აგზავნის მასთან ინფორმაციას, რათა უზრუნველყოს შესაბამისი საკითხების ინფორმირებული და სწორი გაშუქება. კითხვარზე პასუხად რეკომენდირებულ იქნა, რომ „მხედველობაში უნდა იქნას მიღებული იდეა, რომ თუ მედიასთან თანამშრომლობა არ იქნება გამოსადეგი იმისთვის, რომ მათ ინფორმაცია უკეთ მიეწოდოთ სამართლებრივ საკითხებზე, ისინი უფრო მეტად მოუსმენენ დაპირისპირებულ მშობელს და ყურადღებას გაამახვილებენ ცენტრალური ხელისუფლების ქმედებებზე.“²⁵¹

ზოგადი ინფორმაციის გავრცელებასთან ერთად, მედია ხშირად ახდენს კონკრეტული საქმეების გაშუქებას, განსაკუთრებით ისეთი საქმეებისა, რომლებიც სირთულითა და სენსაციურობით ხასიათდება. რიგმა საქმეებმა შესაძლოა მოახდინონ პრევენციული ღონისძიებების წარუმატებლობის ილუსტრაცია,²⁵² რამაც შესაძლოა გამოიწვიოს შესაბამისი ღონისძიებების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება. მეორეს მხრივ, ცენტრალური ორგანოს თანახმად, „მედიაში კონკრეტული

²⁴⁶ გაერთიანებული სამეფოს (შოტლანდიის) მიერ კითხვარზე მითითებულ პასუხებში აღნიშნულია, რომ პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია ფართო აუდიტორიისთვის უნდა იქნეს ხელმისაწვდომი.

²⁴⁷ იხილეთ, გერმანიის, პანამის, სლოვაკეთისა და შვედეთის პასუხები კითხვარზე.

²⁴⁸ სარა ამსტრონგის მიერ მიღებული ელექტრონული ფოსტა ახალი ზელანდიიდან, რომელიც მან 2003 წლის 7 მარტს მიიღო. ასევე იხილეთ ახალი ზელანდიის პასუხი კითხვარზე.

²⁴⁹ იხილეთ Child Focus-ის პასუხი კითხვარზე. ასევე იხილეთ გერმანიის პასუხი კითხვარზე.

²⁵⁰ იხილეთ ICMEC/NCMEC პასუხი კითხვარზე.

²⁵¹ იხილეთ გერმანიის პასუხი კითხვარზე.

²⁵² იხილეთ კითხვარზე Child Focus-ისა და ICMEC/NCMEC პასუხები.

გატაცებისა თუ დაბრუნების შესახებ ახალ ამბებს შესაძლოა ჰქონდეთ [პრევენციული] ეფექტი“.²⁵³ ყველა სხვა შემთხვევაში, ცენტრალურმა ორგანოებმა და სხვებმა, რომლებმაც შესაძლოა ინტერვიუ მისცნ მდიას, უნდა წახალისონ იგი გაამახვილოს ყურადღება ზოგად ღონისძიებებზე, რათა მოხდეს გატაცების პრევენცია და კონტროლი.²⁵⁴

4.3.2 ინტერნეტი

- ინტერნეტი წარმოადგენს პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მნიშვნელოვან საშუალებას, ვინაიდან იგი ხელმისაწვდომია საერთაშორისო საზღვრებსა და სხვადასხვა დროის ზონებში.
- ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, ინფორმაციის მიწოდება და გავრცელება უნდა მოხდეს სხვადასხვა ენაზე.
- ვებ-გვერდები, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას გატაცების პრევენციის შესახებ შესაძლოა შეიცავდეს ამ ან სხვა სახელმწიფოში მოქმედი სხვადასხვა ვებ-გვერდის ბმულს, სადაც ასახულია რჩევები და ინფორმაცია, მათ შორის ჰააგის კონფერენციის ვებ-გვერდი.
- ინტერნეტის საშუალებით მიწოდებული ინფორმაციის მონიტორინგი უნდა განხორციელდეს და ასეთი ინფორმაცია მუდმივად უნდა განახლდეს.
- სახელმწიფოს პრევენციის დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინტერნეტის საშუალებით.

ინფორმაციის გასავრცელებლად ინტერნეტის გამოყენება განსაკუთრებით სასარგებლოა, ვინაიდან იგი ცდება ქვეყნის საზღვრებს და პირს აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმაცია სხვა ქვეყნებში მოქმედი პრევენციული ღონისძიებების შესახებ.²⁵⁵ ინტერნეტში ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია 24 საათის განმავლობაში, რაც საშუალებას აძლევს მშობელს მოიძიოს ინფორმაცია სამუშაო საათების მიღმა ან ისეთი სახელმწიფოდან, რომელიც სხვა დროის სარტყელში იმყოფება. ინფორმაციაზე ინტერნეტის მეშვეობის ხელმისაწვდომობა ასევე მყისიერ ხასიათს ატარებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც გატაცების პრევენციისთვის სწრაფი რეაგირებაა საჭირო.

ვინაიდან, ინტერნეტის საშუალებით ინფორმაციაზე წვდომა მთელი მსოფლიოს მასშტაბით შესაძლოა განხორციელდეს, რეკომენდირებულია, რომ ასეთი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს სხვადასხვა ენაზე. განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო მყარად არის დაკავშირებული სხვა სახელმწიფოსთან, ან როდესაც არაერთ გატაცების ფაქტს აქვს ადგილი ორ კონკრეტულ სახელმწიფოს შორის. ასეთ შემთხვევებში, აუცილებელია, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს ორივე ან შესაბამისი სახელმწიფოების ყველა ენაზე.²⁵⁶ ცენტრალური ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობა იყენებს ვებ-გვერდს, რომელიც ასევე განთავსებულია ჰააგის კონფერენციის ვებ-გვერდზე.²⁵⁷ რიგ შემთხვევებში, აღნიშნული ვებ-გვერდები შეიცავს ერთმანეთის ბმულებს და შესაბამისად, მშობლისთვის მარტივდება ნავიგაცია, რათა მიიღოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია.²⁵⁸

²⁵³ იხილეთ ფინეთის პასუხი კითხვარზე.

²⁵⁴ კითხვარზე პასუხის გაცემისას, ICMEC/NCMEC აღნიშნა, რომ ინტერვიუს მიწოდების დროს, იგი სთხოვს მდიას მის ანგარიშებში ასახოს მეტი ინფორმაცია (როგორცაა რჩევები პრევენციაზე).

²⁵⁵ კანადის მიერ კითხვარზე გაცემული პასუხის თანახმად „ყველა ღონე უნდა იქნეს გამოყენებული აღნიშნული (ინტერნეტის) საშუალების გამოსაყენებლად პრევენციის თაობაზე ინფორმაციის კომუნიკაციისას“

²⁵⁶ ინფორმაცია მიღებულ იქნა, *inter alia*, არგენტინის, დანიის, ფინეთისა და გერმანიის მიერ და ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე. რიგი ინფორმაციისა, რომელიც მოწოდებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ხელმისაწვდომია ასევე ესპანურ ენაზე.

²⁵⁷ ვებ-გვერდების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: < www.hcch.net > ^ ბავშვთა გატაცების მთავარი გვერდი ^ დაკავშირებული ვებ-გვერდების ბმულები.

²⁵⁸ სასარგებლო ვებ-გვერდების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოს - ცენტრალური ორგანოს პრაქტიკის მე-7 დანართში ზედა სელოი 5.

იხილეთ ასევე ჰააგის კონფერენციის ვებ-გვერდის ბავშვთა გატაცების მთავარი გვერდი, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: < www.hcch.net > .

აღნიშნულ იქნა, რომ ძიების დროს ბავშვთა გატაცებასთან დაკავშირებული ვებგვერდები ადვილად იძებნება ინტერნეტში.²⁵⁹ ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაცია უნდა შენახულ იქნეს და მუდმივად განახლდეს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი სიზუსტე და მშობლებისთვის სარგებლიანობა.

ამასთან, სახელმწიფოს პრევენციის დოკუმენტიც უნდა განთავსდეს ინტერნეტში (იხილეთ ზემოთ 4.2.1)

4.3.3 ინფორმაცია ბექდური სახით

- იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ინფორმაციის ფართო გავრცელება, ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს როგორც ბექდური სახით, ასევე ინტერნეტის საშუალებით.
- ბექდური სახით ინფორმაცია უნდა განთავსდეს საჯარო ადგილებში.
- აუცილებლობის შემთხვევაში, ბექდური სახით ინფორმაცია უნდა განახლდეს, დამატებების მეშვეობით.
- სახელმწიფოს პრევენციის დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბექდური ფორმით.

სახელმწიფოთა უმრავლესობაში, ცენტრალური ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა შესაბამისი უწყებების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბექდური ფორმით.²⁶⁰ რიგ შემთხვევებში, აღნიშნული ინფორმაცია ასახავს ინტერნეტში ხელმისაწვდომ მონაცემებს.²⁶¹ სხვა სახელმწიფოებში, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ერთი მედია საშუალების მიერ, რომელიც ინტერნეტითა და ბექდური ფორმით გავრცელება მეტი სარგებლის მომტანია.

ბექდური ფორმით ინფორმაციის გავრცელება შესაძლებელია საჯარო ინტერესის მქონე შესაბამის ადგილებში, როგორცაა, *inter alia*, ოჯახის კეთილდღეობის ცენტრები, საოჯახო სასამართლოები, საპასპორტო და საკონსულო სამსახურები, სათემო ცენტრები და ქირურგიული კაბინეტები. ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია, მოთხოვნის შემთხვევაში უნდა გაგზავნოს მშობელს. როგორც ინტერნეტის შემთხვევაში, ყველა ღონე უნდა იქნეს გამოყენებული, რათა ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს ყველა ენაზე და უფასოდ. მაშინ, როდესაც ინტერნეტში განთავსებული ინფორმაცია რეგულარულად უნდა განახლდეს და შეიცვალოს, ეს შესაძლებელია ცოტა რთული იყოს ბექდური ფორმით ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ასეთი ინფორმაციის განახლება დამატებების მეშვეობით, შესაბამისად ორგანიზაციებმა/პირებმა, რომლებიც ამზადებენ ინფორმაციას უნდა უზრუნველყონ, რომ ასეთი ინფორმაცია იყოს მუდმივად განახლებული და ზუსტი.

სახელმწიფოს პრევენციის დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბექდური ფორმით (იხილეთ ზემოთ 4.2.1.)

4.3.4 ინფორმაციის წარმოდგენა

- გატაცების პრევენციის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ნათლად და მოკლედ, მშობლებისთვის ადვილად გასაგებ ენაზე.
- გადაუდებელი პროცედურების შესახებ ინფორმაცია ხაზგასმული და გამოყოფილი უნდა იყოს სხვა, უფრო ზოგადი ინფორმაციისგან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი მარტივი ხელმისაწვდომობა.

²⁵⁹ იხილეთ გერმანიის პასუხი კითხვარზე.

²⁶⁰ იხილეთ მაგალითად, ავსტრალიის, ბელგიის, კანადისა და გაერთიანებული სამეფოს ცენტრალური ორგანოებისა და სამთავრობო დეპარტამენტების მიერ მოწოდებული ბროშურები.

²⁶¹ ყურადღება უნდა გამახვილდეს მეოთხე სპეციალური კომისიის მიერ მომზადებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებზე, ზედა სქოლიო 4, რომლებიც მე-18 პარაგრაფში უთითებენ, რომ: რეკომენდირებულია, რომ თითოეულმა ცენტრალურმა ორგანომ, მის ვებგვერდზე, ან კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებით, გაასაჯაროს ბროშურა ან ფლაიერი (რომლის კონკრეტულ ფორმატს ცენტრალური ორგანო განსაზღვრავს, და შეიცავს შემდეგ ინფორმაციას.

მშობლები, რომლებიც ეძებენ ინფორმაციას, თუ როგორ მოახდინონ გატაცების პრევენცია, ხშირად მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან და საჭიროებენ პრაქტიკულ და დამაჯერებელ რჩევებს. წერილობითი ფორმით არსებული ინფორმაცია, იქნება ეს ინტერნეტში თუ ბეჭდური სახით, უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი და გასაგები, სტილის, ფორმატისა და ზოგადი აღწერილობის თვალსაზრისით. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც არსებობს ბავშვის იურისდიქციიდან გაყვანის პირდაპირი რისკი. ასეთ შემთხვევებში ზოგადი ხასიათის ინფორმაცია შესაძლოა აღარ იყოს სასარგებლო და მშობლებს დასჭირდეთ კონკრეტული ინფორმაცია გადაუდებელი პროცედურების შესახებ. რიგ პრევენციის დოკუმენტებში აღნიშნული ინფორმაცია გამოცალკევებულია, რათა ადვილად იყოს ხელმისაწვდომი და გასაგები. რიგი ვებ-გვერდები შეიცავს გადაუდებელი სიტუაციების შესახებ ინფორმაციას²⁶², ბეჭდური ფორმით ზოგი ინფორმაცია კი ცალკე გვერდზე გამოყოფს ინფორმაციას, რომელიც საჭიროა გადაუდებელი სიტუაციების დროს.²⁶³ რიგი ბროშურებისა შეიცავს დიაგრამებს, რომლებიც კონკრეტული ღონისძიების შერჩევის დროს ახდენს პრიორიტეტების დემონსტრირებას.²⁶⁴ აღნიშნული ეხმარება მშობლებს ადვილად გაიგონ ინფორმაცია და ჰქონდეთ სწორი წარმოდგენა მათ ხელთ არსებული ალტერნატივების შესახებ. ამასთან, გამოყენებული ენა უნდა იყოს მარტივი და ადვილად აღსაქმელი, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ბროშურის მკითხველი შესაძლოა მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იყოს (distressed state) ან ეცნობოდეს ინფორმაციას მისთვის გასაგებ მეორე ან მესამე ენაზე.

4.3.5 საჯარო კამპანიები

- რეკომენდირებულია პოსტერების მომზადება ან სხვა ტიპის საჯარო კამპანიების წარმოება ბავშვთა საერთაშორისო გატაცების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით.

რეკომენდირებულ იქნა, რომ საჯარო კამპანიების მეშვეობით ინფორმაციის გავრცელება გატაცების ზოგადი საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებისთვის განსაკუთრებით სასარგებლოა.²⁶⁵ ერთ-ერთმა ცენტრალურმა ორგანომ აღნიშნა, რომ იგი იყენებს საჯარო ადგილებს, როგორცაა მაღაზიები და სწრაფი კვების ობიექტები საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.²⁶⁶ ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია იყენებს პოსტერების კამპანიას პრევენციულ ზომებზე ყურადღების გამახვილების მიზნით,²⁶⁷ ეს კი შესაძლოა კარგი პრაქტიკის მაგალითს წარმოადგენდეს ცენტრალური ორგანოებისთვის მათ მიერ მიწოდებულ სერვისებზე ყურადღების გამახვილებისთვის. პოსტერები, რომლებიც მოიცავს საკონტაქტო მონაცემებს ან/და ინტერნეტის მისამართს შემდგომი რჩევისა და ინფორმაციის მისაღებად წარმოადგენს ცნობიერების ამაღლების სასარგებლო წყაროს.

4.3.6 ინფორმაციის ცენტრალური პუნქტი

- ბავშვთა გატაცების პრევენციის საკითხებთან მიმართებით სახელმწიფოში უნდა არსებობდეს ინფორმაციის მომზადებისა და გავრცელების ცენტრალური წყარო. ეს ფუნქცია შესაძლოა განახორციელოს ან ცენტრალურმა ორგანომ, ან სხვა უწყებამ.
- ის სააგენტოები და უწყებები, რომლებსაც შეუძლიათ პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციისა და რჩევების გაცემა, ადვილად უნდა იყვნენ ხელმისაწვდომნი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს საკონტაქტო მონაცემების მიწოდებაზე, კერძოდ, სადაც ეს შესაძლებელია კომუნიკაციის თანამედროვე მეთოდებზე.

²⁶² იხილეთ ავსტრალიის ბავშვის გატაცების ვებ-გვერდი < www.ag.gov.au/www/childabduction.nsf >.

²⁶³ იხილეთ მაგალითად, „სახელმძღვანელო წესები ბავშვთა გატაცების პრევენციისთვის“, რომელიც შექმნილია მშობლების მიერ გატაცებული ბავშვების ირლანდიური ცენტრისა და Reunite -ის მიერ, რომლებიც ხაზს უსვამს საპორტო შეტყობინების პროცედურის მნიშვნელობას, თუ არსებობს ბავშვის გაყვანის მოახლოებული საფრთხე.

²⁶⁴ მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს (შოტლანდიის) ცენტრალური ორგანოს მიერ მომზადებული ბროშურა.

²⁶⁵ ინფორმაცია, რომელიც მიღებული იქნა ვერონიკა შავოსთან გამართულ შეხვედრაზე, პარიზი, 2003 წლის აპრილი.

²⁶⁶ იხილეთ კანადის პასუხი კითხვარზე.

²⁶⁷ Reunite - ბავშვთა საერთაშორისო გატაცების ცენტრი, < www.reunite.org >.

- იმ სააგენტოებმა და უწყებებმა, რომლებიც ახდენენ სატელეფონო ცხელი ხაზით სერვისის მიწოდებას, უნდა უზრუნველყონ, რომ მათი თანამშრომლები არიან კარგად დატრენინგებულნი, რათა შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდონ მის მომთხოვნს.

იმისთვის, რომ სრულყოფილად მოხდეს სახელმწიფოში ინფორმაციის გავრცელება, რეკომენდირებულია ერთი უწყების განსაზღვრა, რომელიც იმოქმედებს როგორც ინფორმაციის მომზადებისა და გავრცელების ცენტრალური ორგანო. 1980 წლის კონვენციის ხელშემკვერელ სახელმწიფოებში, ცენტრალურ ორგანოებს აქვთ საშუალება შეასრულონ აღნიშნული როლი. სწორედ, კონვენციის მე-7 მუხლის თანახმად, ცენტრალურ ორგანოებს აქვთ ვალდებულება მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა „რათა შესაბამის პირებს მიაწოდონ კონვენციასთან დაკავშირებით, მათი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესახებ ზოგადი ხასიათის ინფორმაცია“.²⁶⁸

მშობლებისა თუ სხვა უწყებებისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და საკითხების ნათლად წარმოჩენის კუთხით, ცენტრალურ ორგანოებს ხელსაყრელი პოზიცია უკავიათ. ცენტრალურმა ორგანოებმა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა შეინახონ სხვა სააგენტოებისა და უწყებებისგან მიღებული ინფორმაცია, მათ შორის მათი საკონტაქტო მონაცემები, რათა მათ შეძლონ მშობლების გადამისამართება აუცილებელ პრევენციულ ინფორმაციაზე. ამ სფეროში სპეციალიზებული არასამთავრობო ორგანიზაცია, ასევე შეიძლება იყოს კარგი ცენტრალური საკოორდინაციო პუნქტი პრევენციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის. ცენტრალური ორგანოს უპირატესობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ არსებობს მხოლოდ ერთი სააგენტო, რომელთანაც მშობლებს კომუნიკაცია შეუძლიათ.

ყველა სააგენტო და უწყება, რომელსაც შეუძლია პრევენციული ღონისძიებების გამოყენება, განსაკუთრებით, კი ინფორმაციის ცენტრალური პუნქტი, უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი. სადაც ეს შესაძლებელია, ასეთ უწყებებს უნდა ჰქონდეთ ინტერნეტ გვერდი, სადაც მითითებულია მათი ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი და ფაქსი, ასევე საფოსტო მისამართი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს საკონტაქტო მონაცემების მიწოდებაზე, მათ შორის, სადაც ეს შესაძლებელია, თანამედროვე, სწრაფი მეთოდების გამოყენებით.²⁶⁹

რიგ ორგანიზაციებსა და ცენტრალურ ორგანოებში მოქმედებს ინფორმაციის მიღების ცხელი ხაზი. აღნიშნული ხელმისაწვდომია როგორც სამუშაო დროის განმავლობაში,²⁷⁰ ისე დღეში 24 საათის განმავლობაში.²⁷¹ ცხელი ხაზის თანამშრომლებს უნდა ჩაუტარდეთ შესაბამისი სწავლება, რათა სწორი ინფორმაცია იქნეს მიწოდებული. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან, რიგ შემთხვევებში ინფორმაციის მიწოდებამ შესაძლოა დააჩქაროს გატაცება.²⁷² სწორედ ასეთი შემთხვევებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომლებმა გაიარონ შესაბამისი სწავლება, რათა შეძლონ პოტენციური გამტაცებლის ამოცნობა, რომელმაც შესაძლოა მოითხოვოს ისეთი ინფორმაცია, რომელსაც იგი გამოიყენებს გატაცებისთვის (იხილეთ ქვემოთ თავი 5).

5. სწავლება და თანამშრომლობა

- პროფესიული წრეების წარმომადგენელთა სწავლება წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს პრევენციის თვალსაზრისით.
- გატაცების პრევენცია მოითხოვს თანამშრომლობას სხვადასხვა სააგენტოებსა და უწყებებს შორის, როგორც ერთი იურისდიქციის, ისე სხვადასხვა იურისდიქციების ფარგლებში.

²⁶⁸ იხილეთ მუხლი 7(2)(ე). ასევე იხილეთ პერუ ვერას განმარტებითი ბარათი, ზედა სქოლიო 17, პარაგრაფი 94

²⁶⁹ იხილეთ მეოთხე სპეციალური კომისიის დასკვნები და რეკომენდაციები, ზედა სქოლიო 4, რომლებიც მე-14 პარაგრაფში აღნიშნავს, რომ „სადაც ეს შესაძლებელია, ცენტრალურმა ორგანოებმა, უნდა გამოიყენონ კომუნიკაციის სწრაფი მეთოდები, იმისთვის, რომ დააჩქარონ პროცედურები, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით“.

²⁷⁰ იხილეთ შვედეთის პასუხი კითხვარზე. ამასთან, Reunite-სა და NCMEC-ს აქვთ შესაბამისი სატელეფონო ხაზი.

²⁷¹ მაგალითად, იხილეთ დანიის პასუხი კითხვარზე.

²⁷² იხილეთ პრევენციის ნაკრები, რომელიც წარმოდგენილ იქნა Reunite-ის - ბავშვთა გატაცების საერთაშორისო ცენტრის მიერ, რომელიც იწყება შემდეგი პირობით: „აღნიშნული სახელმძღვანელო წესები არ ვრცელდება ყველა საქმეზე - რიგ შემთხვევებში ასეთმა ქმედებებმა შესაძლოა დააჩქარონ გატაცება, მისი პრევენციის ნაცვლად“. 2003 წლის აპრილში, პარიზში გამართულ შეხვედრაზე მიღებულმა ინფორმაციამ ასევე გაუსვა ხაზი ამ პოტენციურ პრობლემას.

იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პრევენციული ღონისძიებების იმპლემენტაცია და მოქმედება, ასევე საჭირო ინფორმაციის გავრცელება, აუცილებელია პროფესიული წრეების წარმომადგენელთა სწავლება²⁷³ და მათი ერთმანეთთან თანამშრომლობა, როგორც სახელმწიფოს ფარგლებს შიგნით, ისე საზღვრებს მიღმა. სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით, ხაზგასმულ იქნა, რომ „ტრენინგი წარმოადგენს აბსოლუტურ აუცილებლობას“²⁷⁴ და რომ „ტრენინგს აქვს გადამწყვეტი როლი, რათა პოლიციას, ადვოკატებსა და სხვა პროფესიონალებს ჰქონდეთ ცოდნა და შესაძლებლობა გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა შესაძლო სამართლებრივი და სხვა მექანიზმები“.²⁷⁵ კითხვარზე პასუხად აღნიშნულ იქნა, რომ:

"არ უნდა იქნეს უგულვებელყოფილი პროფესიონალებისა და შესაბამისი ოფიცრების მიერ სხვადასხვა პრევენციის ტექნიკების გაცნობიერებისა და შემდგომ მათი მშობლებისა და სხვა პირებისთვის სწორად გადაცემის ფაქტი". სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც უფრო მეტად გამახვილდება სწავლებაზე ყურადღება, მით უკეთესი“.²⁷⁶

რიგ სახელმწიფოებში, დაარსდა სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლების მიერ დაკომპლექტებული ფორმალური და არაფორმალური ქსელები, რომლებიც იხილავენ ბავშვთა საერთაშორისო გატაცების საკითხებს.²⁷⁷ სააგენტოებსა და უწყებებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობა თანაბრად მნიშვნელოვანია.²⁷⁸ კითხვარზე პასუხად, აღნიშნულ იქნა, რომ თანამშრომლობა და შეთანხმებები მისასალმებელია.²⁷⁹

5.1 1980 წლის კონვენცია

5.1.1 შეფასებითი შეხვედრები

- 1980 წლის კონვენციის მოქმედების შეფასების მიზნით, რეკომენდირებულია, რომ კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები მონაწილეობდნენ სპეციალური კომისიის შეხვედრებში, მათ შორის მიიღონ მონაწილეობა კონსულტაციებში და გასცენ პასუხები კითხვარებს.
- სპეციალურ კომისიებზე დასწრება სასარგებლოა სხვადასხვა სახელმწიფოებიდან კოლეგების გაცნობის მიზნით, რაც თავის მხრივ ზრდის თანამშრომლობის ფარგლებს.

1980 წლის კონვენციის შემაკავებელი ეფექტი გაიზრდება, თუ იგი მოქმედებს კარგად, როგორც ხელშემკვრელ სახელმწიფოებში, ისე მათ შორისაც. აღმასრულებელი მდივნის მოწვევის საფუძველზე, სპეციალური კომისიის შეხვედრები, რომლებიც აფასებს 1980 წლის კონვენციის მოქმედებას, ტარდება ჰააგაში 4 წელიწადში ერთხელ.²⁸⁰ ჰააგის კონფერენციის წევრ ქვეყნებს, კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებსა და გარკვეულ სხვა ქვეყნებს, ასევე საერთაშორისო და არასამთავრო ორგანიზაციებს ეგზავნებათ მოსაწვევი შეხვედრაზე დასწრების მიზნით. აღნიშნულ იქნა, რომ „კონფერენციები წარმოადგენს საკმაოდ ეფექტურ საშუალებას ჰააგის კონვენციის შესახებ ცნობიერების ამაღლებისთვის (რამაც თავისთავად შესაძლოა იმოქმედოს როგორც პრევენციულმა ზომამ), ასევე პრევენციის ღონისძიებების თვალსაზრისით.“²⁸¹

²⁷³ ხორვატიამ, კითხვარზე პასუხის გაცემისას ხაზი გაუსვა მოსამართლეების ტრენინგს, კონვენციის იმპლემენტაციის თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად. ესტონეთმა კითხვარზე პასუხის გაცემისას აღნიშნა, რომ განსაკუთრებით სასარგებლო იყო ბავშვთა სოციალური მუშაკების ტრენინგი, ენაიდან ისინი ხშირად ამისამართებენ მშობლებს ესტონეთის ცენტრალურ ორგანოებში დახმარებისა და გატაცების თაობაზე ინფორმაციის მისაღებად. კითხვარზე პასუხის გაცემისას შვეიცარიამ აღნიშნა, რომ ადვოკატებთან და სამართლებრივ მრჩეველებთან ერთად პოლიციის ოფიცრების ტრენინგი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ამასთან, შვეიცარია წარდგა წინადადებით, რომ ჩატარდეს ტრენინგები მშობლებისთვისაც, რათა მათ ჰქონდეთ ნათელი სურათი თუ რა ვალდებულებები აქვთ ბავშვების მიმართ როგორც მშობლებს, მათი ქორწინების სტატუსის მიუხედავად. ICMEC/NCMEC-მა კითხვარზე მის პასუხში განაცხადა, რომ: „როგორც ყველა სამართლებრივ სისტემაში, სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლებისა და საჯარო პირების ტრენინგი, კანონის წარმატებული აღსრულების მიზნით სასიცოცხლო მნიშვნელობისა.“

²⁷⁴ იხილეთ Child Focus-ის პასუხი კითხვარზე.

²⁷⁵ იხილეთ ICMEC/NCMEC-ის პასუხი კითხვარზე.

²⁷⁶ იხილეთ კანადის პასუხი კითხვარზე.

²⁷⁷ იხილეთ ფინეთისა და შვედეთის პასუხები კითხვარზე.

²⁷⁸ კითხვარზე პასუხის გაცემისას, თანამშრომლობის მნიშვნელობა ხაზგასმულ იქნა მალტის მიერ. მან გააკეთა შეთავაზება, რომ არსებული გამოცდილებით, „გატაცების საქმეების შესწავლის დროს, თანამშრომლობა წარმატების ძირითად ელემენტს წარმოადგენს“.

²⁷⁹ იხილეთ პოლონეთისა და სლოვაკეთის პასუხები კითხვარზე.

²⁸⁰ ამასთან, 1980 წლის კონვენციასთან მიმართებით 2002 წლის სექტემბერ/ოქტომბერში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეეფასებინა კონვენციის მოქმედება, რა დროსაც ყურადღება გამახვილდა კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოზე. სწორედ ამ შეხვედრაზე განისაზღვრა, რომ პრევენციის თემა სახელმძღვანელოში ერთ-ერთ სექციად შევიდოდა.

²⁸¹ იხილეთ გაერთიანებული სამეფოს (შოტლანდიის) პასუხი კითხვარზე.

კითხვარზე მოწოდებული სხვა კომენტარის თანახმად, „კონვენციის შესახებ გამართული საერთაშორისო შეხვედრები ქმნის ხელსაყრელ შესაძლებლობებს ცენტრალური ორგანოების თანამშრომლებისთვის შეხვდნენ სხვა სახელმწიფოებიდან მათ კოლეგებს და დაამყარონ მათთან ნაცოფიერი თანამშრომლობა“.²⁸²

ასეთი შეხვედრები ქმნის პროფესიონალთა მიერ იდეების გაცვლისა და კონვენციის მოქმედების გაუმჯობესების შესახებ გამოცდილების ურთიერთგაზიარების ფორუმს. ასეთი შეხვედრების წარმატება ერთი-ორად იზრდება, როდესაც სახელმწიფოები სრულად იღებენ მონაწილეობას, არა მხოლოდ შეხვედრების დროს, არამედ წინასწარი კონსულტაციებისას, რაც ძირითადად კითხვარებზე პასუხების გაცემაში გამოიხატება.

5.1.2 კონვენციის შემდგომი სერვისები

- ყურადღება უნდა გამახვილდეს პოსტ-კონვენციურ სერვისებზე, რომელთა მიწოდება და ფასილიტაცია ხდება ჰააგის კონფერენციის მუდმივმოქმედი ბიუროს მიერ. ასეთი სერვისები ეხმარება იმ პროფესიული წრეების წარმომადგენლებს ტრენინგებში, რომლებიც მუშაობენ 1980 წლის კონვენციის ფარგლებში არსებულ საქმეებზე, მათ შორის პრევენციის ღონისძიებების შესახებ სწავლებაში.

ჰააგის კონფერენციის მუდმივმოქმედი ბიურო ეხმარება სახელმწიფოებს 1980 წლის კონვენციის იმპლემენტაციაში, სხვადასხვა პოსტ-კონვენციური სერვისების მიწოდებითა და მათი ფასილიტაციით. აღნიშნული სერვისები ხაზგასმულია ინტერნეტში ბავშვთა გატაცების მთავარ გვერდზე (< www.hcch.net >) და მოიცავს, *inter alia*, მოსამართლეთა საინფორმაციო ბიულეტენს,²⁸³ ბავშვთა საერთაშორისო გატაცების მონაცემთა ბაზას (INCADAT),²⁸⁴ სამართლებრივი და სხვა კონფერენციების ორგანიზებასა და მათში მონაწილეობის მიღებას,²⁸⁵ ასევე კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელოს შემუშავებას. აღნიშნული სერვისები სახელმწიფოებს უწყევს დახმარებას შესაბამისი პროფესიული წრეების წარმომადგენლების ტრენინგებსა და ცნობიერების ამაღლებაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რამდენადაც ეს შესაძლებელია, პრევენციული ზომების ეფექტური მოქმედება.

მუდმივმოქმედი ბიურო ასევე იღებს მონაწილეობას როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონულ დონეზე, ისეთ შეხვედრებში, სადაც მონაწილეობას იღებენ სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან 1980 წლის ხელშეკრული მხარეები. ასეთი შეხვედრები ასევე ისახავს მიზნად გატაცების პრევენციას. ისინი ხელს უწყობენ თანამშრომლობასა და ცნობიერების ამაღლებას იმ სირთულეების შესახებ, რომელთა წინაშეც დგანან კონკრეტული კულტურული თუ სამართლებრივი სისტემები.²⁸⁶

5.1.3 ცენტრალური ორგანოები

- 1980 წლის კონვენციის ფარგლებში განსაზღვრული ცენტრალური ორგანოები ვალდებული არიან ითანამშრომლონ ერთმანეთთან და ხელი შეუწყონ მათ სახელმწიფოებში მოქმედ კომპეტენტური ორგანოების თანამშრომლობას.

²⁸² იხილეთ ფინეთის პასუხი კითხვარზე.

²⁸³ მოსამართლეების საინფორმაციო ბიულეტენების ყველა გამოცემა ხელმისაწვდომია ჰააგის კონფერენციის ვებ-გვერდზე < www.hcch.net > ბავშვთა გატაცების შესახებ მთავარი გვერდი - მოსამართლეთა საინფორმაციო ბიულეტენები.

²⁸⁴ ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე < www.incadat.com >.

²⁸⁵ ინფორმაციისთვის ეწვიეთ შემდეგ ბმულს < www.hcch.net >. ამასთან დაკავშირებით ასევე იხილეთ ჰააგის საერთაშორისო სამართლებრივი ტრენინგის ინსტიტუტის წინადადება, რომელიც მუდმივმოქმედა ბიურომ ზოგადი საკითხებისა და პოლიტიკის სპეციალურ კომისიას წარუდგინა, წინასწარი დოკუმენტი #6, 2003 წლის მარტი.

²⁸⁶ ტრანს-სასაზღვრო საოჯახო სამართლის საკითხებზე ერთ-ერთმა სასამართლო კონფერენციამ, რომელიც მალტაში 2004 წლის მარტში გაიმართა, თავი მოუყარა უმაღლეს თანამდებობის პირებსა და მაღალი რანგის მოსამართლეებს ალჟირიდან, ბელგიიდან, ეგვიპტიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, ლიბანიდან, მალტიდან, მაროკოდან, ნიდერლანდებიდან, ესპანეთიდან, შვედეთიდან, ტუნისიდან და გაერთიანებული სამეფოდან. დამატებითი დეტალებისთვის ეწვიეთ ჰააგის კონფერენციის ბავშვთა გატაცების მთავარ გვერდს შემდეგ ბმულზე: < www.hcch.net >.

- ცენტრალური ორგანოები აღჭურვილნი უნდა იყვნენ საკმარისი უფლებამოსილებით, დაკომპლექტირებულნი უნდა იყვნენ კვალიფიციური პერსონალით და უნდა ჰქონდეთ საკმარისი მატერიალური რესურსი, რათა შეიმუშავონ პრევენციული ღონისძიებების განხორციელების სტრატეგიები და შეაფასონ მათი მოქმედება.
- რეკომენდირებულია, რომ ცენტრალურმა ორგანოებმა შეიმუშაონ პროცედურული სახელმძღვანელო დოკუმენტი ახალი თანამშრომლების დასატრენინგებლად, ან რომელსაც ძველი თანამშრომლები მუშაობისას წყაროდ გამოიყენებენ. აღნიშნული სახელმძღვანელო უნდა შეიცავდეს თავს პრევენციული ღონისძიებების იმპლემენტაციისა და მოქმედების შესახებ.
- ცენტრალურმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ბავშვთა გატაცებაზე მომუშავე პროფესიული წრეების წარმომადგენელთა შორის თანამშრომლობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პრევენციის სტრატეგიის თანმიმდევრული და კოორდინირებული იმპლემენტაცია.

1980 წლის კონვენციის ფარგლებში განსაზღვრულმა ცენტრალურმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ „ერთმანეთს შორის თანამშრომლობა და ხელი შეუწყონ მათ სახელმწიფოში მოქმედ კომპეტენტურ ორგანოებს შორის თანამშრომლობას, რათა მოხდეს ბავშვთა სწრაფი დაბრუნება და მიღწეულ იქნეს ამ კონვენციის²⁸⁷ სხვა მიზნები“.²⁸⁸ ნათელია, რომ ცენტრალურ ორგანოებს შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ინდივიდუალური საქმეების შესწავლის დროს კონვენციის ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად. კითხვარის ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ „ცენტრალური ორგანოს მიერ ამ დრომდე შესწავლილი საქმეების შედეგად შესაძლოა ითქვას, რომ გატაცების საქმეების განხილვის დროს თანამშრომლობა საქმის წარმატებით დასრულების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს“.²⁸⁹ ინდივიდუალური საქმეების ფარგლებში თანამშრომლობა ასევე უნდა მოიცავდეს ცენტრალური ორგანოების მზაობას კომუნიკაციაზე და ერთმანეთისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას.²⁹⁰ ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ ცენტრალური ორგანოების თანამშრომლები შესაბამისად არიან დატრენინგებულნი და აღჭურვილნი მათი ვალდებულებების ეფექტურად შესრულებისთვის აუცილებელი რესურსით. ცენტრალური ორგანოების ეფექტიანობა ზრდის კონვენციის მოქმედების ეფექტურობას და მის შემაკავებელ ეფექტს.

ინდივიდუალური საქმეების ფარგლებში თანამშრომლობასთან ერთად, ზოგადი თანამშრომლობა სასარგებლოა, როგორც კონვენციის მოქმედებისთვის, ისე გატაცების პრევენციასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციის მომზადებისა და გავრცელების დაჩქარებისთვის. თანაბრად მნიშვნელოვანია ცენტრალური ორგანოების თანამშრომლების ტრენინგების განგრძობითი ხასიათი,²⁹¹ განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც თანამშრომელთა ცვლილება და გადინება ხდება სწრაფად. კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო - ცენტრალური ორგანოების პრაქტიკა უთითებს ცენტრალური ორგანოების თანამშრომლებისთვის პროცედურული სახელმძღვანელოს შედგენაზე, რათა მათ გაიარონ შესაბამისი სწავლება.²⁹² ასეთ სახელმძღვანელოში უნდა არსებობდეს პრევენციული ღონისძიებების გამოყენების განცალკევებული სექცია. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურმა ორგანომ, რომელსაც წარმოადგენს სახელმწიფო დეპარტამენტის ბავშვთა საკითხების ოფისი, შექმნა პრევენციის სამმართველო. ცენტრალურ ორგანოებს შორის დამოზიდაობის (Twinning) შეთანხმებები, რომლითაც ისინი თანხმდებიან ინფორმაციისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებასა და პერსონალის ურთიერთგაცვლაზე, ასევე უწყობს ხელს ცენტრალურ ორგანოებს შორის თანამშრომლობას და ტრენინგებს.²⁹³

²⁸⁷ იხილეთ კონვენციის მეშვიდე მუხლი.

²⁸⁸ როგორც აღნიშნულ იქნა *supra* 1.1.1, გატაცების პრევენცია 1980 წლის კონვენციის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.

²⁸⁹ იხილეთ მალტის პასუხი კითხვარზე.

²⁹⁰ იხილეთ კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო - ცენტრალური ორგანოს პრაქტიკა. *ხედავს სქოლიო 5*.

²⁹¹ იხილეთ *ibid*, რაც პრაქტიკულად ხაზს უსვამს ტრენინგისა და განათლების, როგორც გატაცების პრევენციის საშუალების, მნიშვნელობას 6.2 და 6.7.2. პარაგრაფებში

²⁹² იხილეთ *ibid*, განსაკუთრებით პარაგრაფი 1.1.

²⁹³ იხილეთ *ibid*, განსაკუთრებით პარაგრაფი 6.5. ამ თანამშრომლობის მაგალითის სახით, არგენტინის ცენტრალურმა ორგანომ გააგზავნა მისი თანამშრომელი პერუს ცენტრალურ ორგანოში, ამ უკანასკნელისთვის გამოცდილების გაზიარებისა და ტრენინგებში დახმარების გაწევის მიზნით.

5.2 ტრენინგი, რათა განხორციელდეს პროაქტიული აქტივობები

- იმ სამართლებრივი პრაქტიკოსების ტრენინგებმა, რომლებიც ჩართულნი არიან განქორწინების, მეურვეობისა და ბავშვთან კონტაქტის/წვდომის საქმეებში ხაზი უნდა გაუსვან პროაქტიული პრევენციული ღონისძიებების გამოყენების მნიშვნელობას, რათა თავიდან იქნეს აცილებული გატაცება.
- შესაბამის პროფესიონალთა ტრენინგი უნდა მოიცავდეს ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სერიოზული შედეგების შესახებ ცნობიერების ზრდას.

იმ ეტაპზეც კი, როდესაც არც ერთი მშობელი არ დგამს აქტიურ ნაბიჯებს ბავშვის გატაცების თვალსაზრისით, მოსამართლეებს, ადვოკატებს, მედიატორებს, სოციალურ მუშაკებსა და სხვა იმ პირებს, რომლებსაც უწევთ განქორწინების, მეურვეობის, ბავშვთან კონტაქტის/წვდომის საკითხებზე მუშაობა, ესაჭიროებათ შესაბამისი სწავლება პოტენციური გატაცების საკითხების იდენტიფიცირებისთვის. ადვოკატებმა და მედიატორებმა უნდა იცოდნენ ეროვნული პროცედურებისა და შესაბამისი ნორმების შესახებ, რომლებსაც შესაძლოა დაეფუძნოს სასამართლო ბრძანება ან შეთანხმება, რომლითაც ერთ-ერთ მშობელს ეკრძალება ერთპიროვნულად ბავშვის იურისდიქციიდან გაყვანა, ან მისი სხვა იურისდიქციაში დატოვება. ამ კუთხით, აღსანიშნავია, რომ კონვენციის შესახებ ცნობიერება დაეხმარება საოჯახო საქმეების მოსამართლეებსა და ადვოკატებს განქორწინების, მეურვეობის ან ბავშვთან კონტაქტის/წვდომის საქმეების განხილვისას გააცნობიერონ გატაცების პოტენციური საფრთხე.²⁹⁴

პროფესიონალთა ტრენინგმა ხშირად შესაძლოა მოიცვას გატაცების ხასიათის შესახებ ზოგადი ტრენინგი. აღნიშნულ იქნა, რომ რიგი პროფესიული წრეების წარმომადგენლები, რომლებიც შესაძლოა ჩართულნი იყვნენ პრევენციული ღონისძიებების გამოყენებაში, ვერ ახდენენ მათ სწორ იმპლემენტაციას, ვინაიდან მშობლის მიერ ბავშვის გაყვანასა და დატოვებას ისინი უკანონოდ არ მიიჩნევენ. კერძოდ, ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევებში, როდესაც არსებობს პოტენციური სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის მოახლოებული საშიშროება, პოლიციის თანამშრომლებმა შესაძლოა თავი შეიკავონ წინასწარი ჩარევისგან, რათა მოახდინონ მშობლის მიერ ბავშვის გატაცების პრევენცია, ვინაიდან ისინი თვლიან, რომ დავა არის პირადი და ოჯახური ხასიათის, რომელიც არ მოითხოვს სახელმწიფოს ჩარევას.²⁹⁵ ტრენინგები უნდა დაიწყოს ბავშვთა საერთაშორისო გატაცების შედეგებისა და დინამიკის შესახებ ცნობიერების ამაღლებიდან.

5.3 ტრენინგი რეაქტიული ღონისძიებების იმპლემენტაციისა და გამოყენებისთვის

- ტრენინგმა ხაზი უნდა გაუსვას გატაცების პრევენციისთვის სწრაფი ქმედებების განხორციელების საჭიროებას.
- ტრენინგის დროს ხაზი უნდა გაესვას სხვადასხვა სააგენტოებისა და პროფესიული წრეების წარმომადგენლების ურთიერთშემავსებელი ფუნქციების გათვითცნობიერების საჭიროებას.
- პროფესიული წრეების წარმომადგენლების სწავლება უნდა მოხდეს ისე, რომ მათ შეეძლოთ გატაცების მოახლოებული საფრთხის შენიშვნა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გამოყენება.

მშობელი, რომელიც ცდილობს მოახდინოს მოახლოებული გატაცების პრევენცია ითხოვს შესაბამისი სააგენტოებისა და უწყებების სწრაფ რეაგირებას საქმეზე. ამ თვალსაზრისით აღნიშნულ იქნა, რომ „ღონისძიებების ეფექტურობა მეტწილად დამოკიდებულია შესაბამისი სამსახურების მიერ მათ სწრაფ რეალიზაციაზე“.²⁹⁶ პრევენციული ღონისძიებების გამოყენების შესახებ ტრენინგებმა უნდა მოიცვან შესაბამისი უწყებების წარმომადგენლების მიერ სწრაფი რეაგირების საჭიროების კომპონენტი.

²⁹⁴ იხილეთ შვეიცარიის პასუხი კითხვარზე.

²⁹⁵ ინფორმაცია მიღებული იქნა ვერონიკა შავოსთან შეხვედრის დროს, პარიზი, 2003 წლის აპრილი.

²⁹⁶ იხილეთ პოლონეთის პასუხი კითხვარზე.

მშობელმა, რომელიც შიშობს, რომ მისი შვილი შესაძლოა გატაცებულ იქნეს, შესაძლოა მიმართოს რამდენიმე უწყებას ან სააგენტოს დახმარების აღმოჩენის თხოვნით. აღნიშნულ ორგანოებსა და სააგენტოებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია არა მხოლოდ მათ მიერ გატაცების პრევენციის როლზე, არამედ უნდა გაითვალისწინონ, რომ ქვეყნის ფარგლებში და მის გარეთ სხვადასხვა სააგენტოებსა და ორგანოებს ურთიერთ შემავსებელი ფუნქციები გააჩნიათ, რათა შესაბამისი რჩევა მიაწოდონ მშობელს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია კითხვარზე ერთ-ერთი რესპონდენტის პასუხი, რომლის თანახმად:

"პრევენცია არ გულისხმობს მხოლოდ ერთი ზომის გამოყენებას, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის დაცვას უკანონო გაყვანისა თუ დაკავებისგან; არამედ, იგი მიმართულია იმ ბარიერების შექმნისკენ, რომლებიც ერთად აღებული, ართულებს ბავშვის გატაცებას. აღნიშნული გულისხმობს, რომ სახელმწიფოს სააგენტოებს შორის თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია".

მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა მოახლოებული გატაცების შესახებ ცნობის მიღება, პროფესიონალს, რომელიც კარგად არის განსწავლული საკითხში, შეუძლია შეამჩნიოს ფაქტის დამახასიათებელი ნიშნები.²⁹⁷ ამ თვალსაზრისით, აეროპორტში მომუშავე პოლიციის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ შესაძლოა დადგეს გარემოება, როდესაც სახეზეა გატაცების ეჭვი, როგორცაა მაგალიტად როდესაც აეროპორტში მშობელი მოდის შვილთან ერთად, რომელსაც აცვია სკოლის უნიფორმა და თან აქვს მცირე რაოდენობის ბარგი. იმ შემთხვევაში, თუ მესაზღვრეები ან აეროპორტში, რეგისტრაციის თანამშრომლები ჩათვლიან, რომ არსებობს გატაცების პოტენციურ საფრთხე, მათ შეუძლიათ ჩაერიონ და მოახდინონ მისი განხორციელების პრევენცია.

5.4 IN-HOUSE ტრენინგი

- სააგენტოებმა და უწყებებმა, რომლებიც ვალდებული არიან გაატარონ პრევენციული ღონისძიებები, უნდა უზრუნველყონ, რომ ამ ღონისძიებების გატარების შესახებ ტრენინგები ინკორპორირებულია ტრენინგის ზოგად მოდულში.
- სააგენტოებმა და უწყებებმა უნდა უზრუნველყონ პროცედურული სახელმძღვანელო წესების ხელმისაწვდომობა, რათა თანამშრომლებმა შეისწავლონ პრევენციული ღონისძიებების გამოყენების გზები. ცალკე უნდა იქნეს გაწერილი ინფორმაცია გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ.
- იმ პროფესიის წარმომადგენლებმა, რომლებსაც აქვთ ბავშვთა გატაცების საქმეების შესწავლის ექსპერტიზა უნდა გაცვალონ ეს ექსპერტიზა სხვა კოლეგებთან და უზრუნველყონ მათი მუდმივი ინფორმირება.

რიგი უწყებებისთვის გატაცების პრევენციის შესახებ ტრენინგი ტარდება in-house, როგორც ტრენინგის ზოგადი მოდულის ნაწილი. ამასთან, აღნიშნულის ალტერნატივას შესაძლოა წარმოადგენდეს პროცედურული სახელმძღვანელო წიგნის შემუშავება, სადაც ასახულია, თუ როგორ უნდა მოახდინოს სააგენტომ გატაცების პრევენცია.²⁹⁸ ასეთი დოკუმენტი განსაკუთრებით სასარგებლოა ისეთ შემთხვევებში, როდესაც სააგენტო ან უწყება ხშირად არ იხილავს გატაცების საქმეებს და შესაბამისად, შესაძლოა, რომ არ ჰქონდეს ამ მიმართულებით დიდი პრაქტიკული გამოცდილება. ერთ-ერთ სახელმწიფოში საქმეების მცირე რაოდენობამ გამოიწვია პოლიციის ოფიცრებისთვის ბროშურის შემუშავება, რათა უზრუნველყოფილიყო, რომ თუ დადგებოდა გატაცების მცდელობის ფაქტი, მათ ექნებოდათ წყარო, რომლის მიხედვითაც ისინი იმოქმედებდნენ.²⁹⁹ მეორე სახელმწიფოში შემუშავდა *aide-mémoire*, რომელიც ეხმარება პოლიციას გამოიყენოს პრევენციული ღონისძიებები.³⁰⁰ ასეთი დოკუმენტი სასარგებლოა შესაბამისი უწყებისა თუ სააგენტოსთვის პრევენციული ღონისძიების გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის. პროფესიონალური პროცედურული

²⁹⁷ ჰითროუს აეროპორტში ბავშვთა გატაცების სამმართველოსთან შეხვედრა, ლონდონი, 2003 წლის მარტი.

²⁹⁸ მაგალიტად, არსებობს პოლიციის ბროშურები ავსტრალიისთვის, გაერთიანებული სამეფოსთვის (ინგლისი და უელსი), გაერთიანებული სამეფოსთვის (შოტლანდია) და ამერიკის შეერთებული შტატებისთვის.

²⁹⁹ ბროშურა შოტლანდიის პოლიციისთვის.

³⁰⁰ იხილეთ შვეიცარიის პასუხი კითხვარზე.

სახელმძღვანელო ან *aide-mémoire* უნდა შეიცავდეს განცალკევებულ თავს გადაუდებელი პროცედურების შესახებ, რათა საქმის მწარმოებელს ჰქონდეს შესაძლებლობა იმოქმედოს სწრაფად, როდესაც საგარეოდა გატაცების ფაქტი მოახლოებულია. ეს ინფორმაცია ასევე უნდა მოიცავდეს იმ სხვა სააგენტოებისა და უწყებების საკონტაქტო მონაცემებს, რომლებსაც შეუძლიათ შესაბამისი მოქმედებების განხორციელება, მათ შორის სამუშაო საათების მიღმა.

გარკვეულ პროფესიებში, ერთი კატეგორიის პროფესიული წრეების წარმომადგენლებს შესაძლოა ჰქონდეთ ბავშვთა საერთაშორისო გატაცების საკითხებზე მუშაობის, მათ შორის პრევენციის ღონისძიებების გამოყენების, მეტი გამოცდილება, ვიდრე დანარჩენებს. ასეთი პირები ან ჯგუფები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს აღნიშნული პროფესიის სხვა წარმომადგენელთა დასატრენინგებლად. რიგ სახელმწიფოებში მაგალითად, შეზღუდულია იმ მოსამართლეებისა თუ იურიდიული წრეების წარმომადგენელთა რაოდენობა, რომლებსაც შეუძლიათ 1980 წლის კონვენციის ფარგლებში საქმის განხილვა. ასეთ სპეციალისტებს უნდა ჰქონდეთ წვდომა შესაბამის ინფორმაციაზე, ან სხვა უწყებებმა უნდა გაუწიონ მათ დახმარება. ასეთი ინფორმაცია შესაძლოა გადაეცეს პროფესიის სხვა წარმომადგენლებს, რომლებიც არ არიან პირდაპირ ჩართულნი გატაცების საქმეების განხილვაში, თუმცა შესაძლოა ჰქონდეთ მნიშვნელოვანი ფუნქცია გატაცების პრევენციის მიზნით, წინასწარი გამაფრთხილებელი ღონისძიებების გასატარებლად.

5.5 უწყებათაშორისი ტრენინგი

- სახელმწიფოში მოქმედმა სააგენტოებმა და უწყებებმა უნდა ითანამშრომლონ და გაიარონ უწყებათაშორისი ტრენინგები, რათა ინფორმირებულნი იყვნენ სხვა ორგანოების როლებსა და ფუნქციებზე.
- უწყებათაშორისო ჯგუფების ჩამოყალიბება ხელს უწყობს სხვადასხვა სააგენტოებს შორის ცოდნის გაზიარებას და ქმნის დისკუსიისა და პრევენციის ღონისძიებების იმპლემენტაციისა და მოქმედების გაუმჯობესების ფორუმს.

სააგენტოების მიერ მათი თანამშრომლებისთვის შეთავაზებული ტრენინგების გარდა, მნიშვნელოვანია, რომ ასეთმა ტრენინგებმა და სასწავლო პროგრამებმა გადაკვეთონ სხვადასხვა სააგენტოები და უწყებები. ასეთი ტრენინგი საშუალებას აძლევს პროფესიული წრეების წარმომადგენლებს სურათი უფრო ფართოდ დაინახონ და შეისწავლონ იმ სხვა უწყებებს ურთიერთშემავსებელი როლი, რომელთანაც მათ მშობელი გატაცების საკითხის დადგომის დროს უნდა გადაამისამართონ. კომბინირებული ტრენინგი ასევე სასარგებლოა უწყებათაშორისი თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად და კონტაქტების დასამყარებლად, რაც სამომავლო საქმიანობისთვის უკეთეს საფუძველს ქმნის.³⁰¹ კითხვარზე პასუხის გაცემისას აღნიშნულ იქნა, რომ ტრენინგები ხშირად ვითარდება მანამდე გამართულ შეხვედრაზე დამყარებული კონტაქტების მეშვეობით,³⁰² და უწყებათაშორისი შეხვედრები ცოდნის გაზიარების კუთხით სასარგებლო აღმოჩნდა.³⁰³ ამასთან, უწყებათაშორისი ტრენინგი ხელს უწყობს ზოგადი, ყოვლისმომცველი პრევენციის დოკუმენტის შემუშავებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ერთიდაიგივე ინფორმაციის გავრცელება (იხილეთ ზემოთ 4.2.1.), მიუხედავად იმისა, თუ რომელ უწყებას მიმართავს მშობელი.³⁰⁴

რიგ სახელმწიფოებში, სხვადასხვა სააგენტოებისა და უწყებების თანამშრომლები ხშირად ხვდებიან ერთმანეთ მათი ურთიერთშემავსებელი ფუნქციების უკეთ გააზრებისთვის.³⁰⁵ ამასთან, ზოგიერთ სახელმწიფოში, ცენტრალური ორგანოები ჩართულნი არიან მათ სახელმწიფოში მოქმედი მოსამართლეებისა და იურიდიული წრეების წარმომადგენლების ტრენინგებში.³⁰⁶ ერთ-ერთმა ცენტრალურმა ორგანომ კითხვარზე პასუხის გაცემისას აღნიშნა, რომ „სხვა დეპარტამენტთან რეგულარულად ჩატარებული პირისპირ შეხვედრები აღმოჩნდა ძალიან სასარგებლო კონტაქტების

³⁰¹ იხილეთ კანადის პასუხი კითხვარზე.

³⁰² იხილეთ შვეიცარიის პასუხი კითხვარზე.

³⁰³ იხილეთ შვედეთის პასუხი კითხვარზე.

³⁰⁴ ხორვატიაში, კითხვარზე პასუხის გაცემისას აღნიშნა, რომ ცენტრალური ორგანოსა და პოლიციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია იდენტურია. აღნიშნულის მსგავსად, შვეიცარიაში, საერთაშორისო სოციალური სამსახურის მიერ გაცემული ინფორმაცია მოიცავს ცენტრალური ორგანოს რეკომენდაციებს.

³⁰⁵ გაერთიანებული სამეფოს მოსამართლეები ეწვივნენ ჰითროუს აეროპორტის ბავშვთა გატაცების სამმართველოს; პოლიცია კი, პირიქით, ეწვია უმაღლეს სასამართლოს. აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ლორდ ტორპესგან, ლონდონი, 2003 წლის მარტი.

³⁰⁶ იხილეთ ესტონეთის, ფინეთის, პანამისა და სლოვაკეთის პასუხი კითხვარზე.

დასამყარებლად და დეპარტამენტების სხვადასხვა როლის შესახებ ინფორმაციის მისაღებად“. ³⁰⁷ იმდენად, რამდენადაც სხვადასხვა პრევენციული ღონისძიების გამოყენება შესაძლოა გახდეს საჭირო თითოეულ სხვადასხვა შემთხვევაში, თანამშრომლობა და ინდივიდუალურ საქმიანობებზე ინფორმაციის გაზიარება თანაბრად მნიშვნელოვანია.³⁰⁸ რიგ სახელმწიფოებში შექმნილია სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის პირდაპირ მიმოცვლას და ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოსთვის დახმარების გაწევას.³⁰⁹

რამდენიმე სახელმწიფოში შეიქმნა სპეციალური უწყებათაშორისი ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთთან სხვადასხვა სააგენტოებისა და უწყებების თანამშრომლებს აკავშირებს.³¹⁰ ასეთი ჯგუფები გამოიყენება პოლიტიკის შეცვლის³¹¹ და საერთაშორისო გატაცების პრევენციის საშუალებების გაუმჯობესების მიზნით. ერთ-ერთ სახელმწიფოში, ცენტრალურმა ორგანომ აღნიშნა, რომ ინდივიდუალურ საქმიანობებთან დაკავშირებით უწყებათაშორისი ჯგუფების ჩართულობით გამოვლინდა თანამშრომლობისა და ცოდნის გაზიარების უკეთესი მაგალითები.³¹²

მეორე სახელმწიფოში, ბავშვთა საერთაშორისო გატაცების საკითხებზე შექმნილი უწყებათაშორისი ჯგუფის მიერ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე მიღებულ იქნა არაერთი გადაწყვეტილება სახელმწიფოში სერვისებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესების საკითხებზე.³¹³

კითხვარის რესპონდენტმა აღნიშნა, რომ განსაკუთრებით სასარგებლო იყო ბავშვთა კეთილდღეობის ოფიცრების ტრენინგი. აღნიშნული ტრენინგის შედეგად, როდესაც მშობელს აქვს მისი შვილის გატაცების შიში და მიმართავს ბავშვთა კეთილდღეობის ოფიცრს, ეს უკანასკნელი მას აძლევს რჩევას მიმართოს ცენტრალურ ორგანოს.³¹⁴

თუ ასეთ თანამშრომლობას ქვეყნის შიგნით ადგილი არ აქვს, აღნიშნულმა შესაძლოა ხელი შეუშალოს ბავშვთა გატაცების პრევენციისკენ მიმართულ მცდელობებს.³¹⁵ რიგ სახელმწიფოებში, სასამართლო ბრძანება, რომლითაც იკრძალება იურისდიქციიდან ბავშვის გაყვანა, ავტომატურად გადაიცემა შესაბამის უწყებებს საზღვარზე. ასეთი თანამშრომლობა ზრდის პრევენციის ღონისძიებების ეფექტურობას.³¹⁶ სხვა სახელმწიფოებში, შესაბამის უწყებებში ბრძანების გადაცემა დამოკიდებულია მშობელზე. თუ მშობელს არ აქვს აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია, ამან შესაძლოა გამოიწვიოს დაყოვნება ან უმოქმედობა. სასაზღვრო კონტროლის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვანია. ერთ-ერთი სახელმწიფოს მიერ აღნიშნა,³¹⁷ რომ საიმეგრაციო ოფიცრებს და დაცვის წარმომადგენლებს შესაძლოა ჰქონდეთ წვდომა შესაბამის ინფორმაციაზე, თუმცა მხოლოდ პოლიციას აქვს უშუალო ქმედების განხორციელების უფლება გაყვანის პრევენციის მიზნით. შესაბამისად, აღნიშნულ უწყებებს შორის თანამშრომლობა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რათა მოხდეს ბავშვის მიერ ქვეყნის დატოვების პრევენცია (იხილეთ ზემოთ 1.2.3. და 3.1.2.).

5.6 ტრენინგი საერთაშორისო დონეზე

³⁰⁷ იხილეთ გაერთიანებული სამეფოს (შოტლანდიის) პასუხი კითხვარზე.

³⁰⁸ იხილეთ მალტას პასუხი კითხვარზე.

³⁰⁹ მანტოპას იუსტიციის დეპარტამენტის მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ მრჩეველებს შეუძლიათ სამართალდამცავ ორგანოებს გაუწიონ დახმარება 24 საათის განმავლობაში. იხილეთ კანადის პასუხი კითხვარზე. ასევე იხილეთ არგენტინის პასუხი კითხვარზე.

³¹⁰ მაგალითად, კანადაში, ფინეთში, დანიასა და გაერთიანებულ სამეფოში. ბავშვთა გატაცების საკოორდინაციო ჯგუფი შეიქმნა გაერთიანებულ სამეფოში 1994 წელს Reunite-ისა და მანჩესტერის პოლიციის მეშვეობით. აღნიშნული აერთიანებს სხვადასხვა სააგენტოსა და უწყებას, რომელთა მიზანია „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების საკითხების შესწავლა და გატაცების პრევენციის საშუალებების იდენტიფიცირება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა პრევენციის სახელმძღვანელოზე, თვითმფრინავში ბავშვის ჩასმის კონტროლსა და იურიდიულ დახმარებაზე“. იხილეთ შემდეგი ბმული: < www.reunite.org >.

³¹¹ მაგალითად, კანადაში, ფინეთში, დანიასა და გაერთიანებულ სამეფოში. ბავშვთა გატაცების საკოორდინაციო ჯგუფი შეიქმნა გაერთიანებულ სამეფოში 1994 წელს Reunite-ისა და მანჩესტერის პოლიციის მეშვეობით. აღნიშნული აერთიანებს სხვადასხვა სააგენტოსა და უწყებას, რომელთა მიზანია „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების საკითხების შესწავლა და გატაცების პრევენციის საშუალებების იდენტიფიცირება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა პრევენციის სახელმძღვანელოზე, თვითმფრინავში ბავშვის ჩასმის კონტროლსა და იურიდიულ დახმარებაზე“. იხილეთ შემდეგი ბმული: < www.reunite.org >.

³¹² გაერთიანებულ სამეფოს პარლამენტში, ბავშვთა გატაცების ყველა პარტიის ჯგუფს ჰქონდა საკმაო გავლენა, რათა შეცვლილიყო გაერთიანებული სამეფოს საპასპორტო რეგულაციები. ახალი რეგულაციებით დადგინდა, რომ ბავშვებს მათი პასპორტები უნდა ჰქონოდათ. იხილეთ შემდეგი ბმული: < www.reunite.org >.

³¹³ იხილეთ დანიის პასუხი კითხვარზე.

³¹⁴ იხილეთ ესტონეთის პასუხი კითხვარზე.

³¹⁵ Child Focus-ის თანახმად, " თანამშრომლობა არ არის შესაბამისი. არ ხდება ინფორმაციის გაცვლა, ცნობიერების ამაღლება, ამ სფეროში მოღვაწე პირებს არ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია“.

³¹⁶ იხილეთ ესტონეთის, მალტისა და პოლონეთის პასუხები კითხვარზე.

³¹⁷ ინფორმაცია მიღებულ იქნა შეხვედრის განმავლობაში, ლონდონი, 2003 წლის მარტი.

- ტრანს სასაზღვრო ტრენინგი და თანამშრომლობა ხელს უწყობს გატაცების პრევენციას.
- საერთაშორისო თუ რეგიონალურ დონეზე ჩატარებულმა ტრენინგმა უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების გამოცდილება, მათ შორის ასევე იგულისხმება ისეთი ორგანიზაციები, როგორცაა, *inter alia*, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო სოციალური სამსახური და ინტერპოლი.
- პროფესიონალური წრეების წარმომადგენლებმა, რომლებიც მუშაობენ ბავშვთა გატაცების პრევენციაზე უნდა დაამყარონ და განავითარონ კონტაქტები სხვა იურისდიქციებში მათ კოლეგებთან.

საერთაშორისო საზღვრების ფარგლებში ტრენინგი და თანამშრომლობა დიდ ღირებულებას ატარებს. როგორც აქამდე აღინიშნა, ცენტრალური ორგანოები ვალდებული არიან ერთმანეთთან ითანამშრომლონ. ჰააგაში გამართული სპეციალური კომისიის სხდომები, რომლებიც აფასებს კონვენციის მოქმედებას, წარმოადგენს თანამშრომლობის გაუმჯობესების სასარგებლო ფორუმს (იხილეთ ზემოთ 5.1.1). კითხვარზე პასუხად აღინიშნა, რომ „კონტაქტების მუდმივი განვითარება და გაზრდა ბავშვთა გატაცების საქმეების შესწავლისთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა“.³¹⁸ ყურადღება უნდა გამახვილდეს მეკავშირე მოსამართლეების ქსელზე, რომლებიც ინიშნებიან ფორმალურად ან არაფორმალურად და შეუძლიათ, როგორც მათ ქვეყანაში მოქმედი მოსამართლეებისთვის ინფორმაციის მიწოდება, ისე სხვა ქვეყნების მეკავშირე მოსამართლეებთან თანამშრომლობა.³¹⁹

ბავშვთა საერთაშორისო გატაცების საკითხებზე ჩატარდა არაერთი რეგიონული და საერთაშორისო შეხვედრა, მათ შორის სამოსამართლეო და უწყებათაშორისი კონფერენციები.³²⁰ რიგმა სახელმწიფოებმა მოახდინეს სხვა სახელმწიფოს კოლეგებისთვის ტრენინგების ორგანიზება და დაფინანსება, თანამშრომლობის გაღრმავებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.³²¹

ამასთან, რიგი ოფიცრების ტრენინგები, რომლებიც ერთობლივ საზღვრებზე ასრულებენ მათ მოვალეობებს, ერთად ტარდება, რათა ორივე მხარის წარმომადგენლებმა გაიარონ ერთიდაიგივე ტრენინგი. რიგ შემთხვევებში ასეთ ოფიცრებს აქვთ ერთმანეთის კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაზე წვდომა, რათა მოახდინონ პოტენციური გატაცების იდენტიფიცირება და მისი აღკვეთა.³²² ასევე, ამ სფეროში მოქმედი რამდენიმე სპეციალიზებული არასამთავრობო ორგანიზაცია ერთმანეთთან თანამშრომლობს ინფორმაციის გაცვლისა და დახმარების გაწევის კუთხით.³²³

მგზავრობის დროს, ხშირად გამტაცებლები და ბავშვები გადიან ერთ სახელმწიფოს *en route* მანამ, სანამ მათ დანიშნულების ადგილს მიაღწევენ. ტრანზიტულმა სახელმწიფომ შესაძლოა გამოიყენოს პრევენციული მექანიზმები, რათა მოხდეს შემდგომი მგზავრობის პრევენცია.³²⁴ ამასთან, ტრანზიტული სახელმწიფო შესაძლოა წარმოადგინდეს 1980 წლის კონვენციის ხელშემკვრილ მხარეს, მაშინ როდესაც დანიშნულების ადგილის სახელმწიფო - არა. ასეთ შემთხვევებში, ჩართული უწყებები უნდა თანამშრომლობდნენ სწრაფად, განაცხადი შესაძლოა გაკეთდეს 1980 წლის კონვენციის ფარგლებში ტრანზიტული ქვეყნის მიმართ, რათა უზრუნველყოფილ იქნას ბავშვის ჩვეულ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება, მანამ სანამ გაგრძელდება შემდგომი მგზავრობა დანიშნულების ადგილამდე. სხვადასხვა სახელმწიფოების საელჩოებისა და საკონსულო ოფისების წარმომადგენლებს შორის კარგი თანამშრომლობის შედეგად, სხვა პრევენციული ზომების გამოყენება, როგორცაა როგორც ტრანზიტული

³¹⁸ იხილეთ შედეგების პასუხი კითხვარზე.

³¹⁹ მეკავშირე მოსამართლეების ქსელის თაობაზე განახლებული ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ მოსამართლეთა საინფორმაციო ბიულეტენი ბავშვთა საერთაშორისო გატაცების შესახებ. *ხედა სქოლიო 293.*

³²⁰ მეტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, ეწვიოთ შემდეგ ბმულს: < www.hcch.net > ^ ბავშვთა გატაცების მთავარი გვერდი^ ბავშვთა საერთაშორისო გატაცების შესახებ სამართლებრივი სემინარები.

³²¹ აღმოსავლეთ ევროპაში, კანადამ პოლონეთში მისი საკონსულოს მეშვეობით დაფინანსა ტრენინგ-კონფერენცია სამართალდამცავი ორგანოებისთვის. გერმანულმა საზოგადოებამ *"Deutsche Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit E.V."* ასევე ხელი შეუწყო ტრენინგ კონფერენციის ჩატარებას ბოსნია ჰერცეგოვინაში, ბულგარეთში, ხორვატიაში, ლატვიასა და რუმინეთში. არგენტინის ცენტრალურმა ორგანომ ასევე ჩაატარა ტრენინგი პერუში, იხილეთ *ხედა სქოლიო 303.*

³²² მაგალითად, სასაზღვრო კონტროლის ოფიცრები, რომლებიც მუშაობენ ამერიკის შეერთებული შტატების/კანადის საზღვარზე.

³²³ აღსანიშნავია მშობლის მიერ ბავშვის გატაცების შესახებ ევროპული ქსელი და დაკარგული და სექსუალურ ექსპლოატაციას დაქვემდებარებული ბავშვების ევროპული ფედერაცია. ამ თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ Reunite-მა - ბავშვთა საერთაშორისო გატაცების ცენტრი, რომელიც დაფუძნებულია გაერთიანებულ სამეფოში, შეიმუშავა პრევენციის ნაკრები, რათა მოეხდინა ესპანეთიდან და საბურძნეთიდან გატაცების პრევენცია. ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: < www.reunite.org >. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ესპანურ და ბერძნულ ენაზე.

³²⁴ აღნიშნული კვლავ უსვამს ხაზს მრავალმხრივი ინსტრუმენტების სარგებლიანობას, ორმხრივ ინსტრუმენტებთან მიმართებით. იხილეთ *supra* 1.1.2 და 1.1.3.

ქვეყნისთვის, ისე დანიშნულების ადგილის ქვეყნისთვის მიმართვა გამტაცებლისა და ბავშვის ქვეყნის ტერიტორიაზე შემვების აკრძალვასთან დაკავშირებით, წარმატებით განხორციელდა.³²⁵

რიგი საკონსულტო ოფისები და საელჩოები თანამშრომლობენ ერთმანეთთან ორმაგი მოქალაქეობის მქონე ბავშვის შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიზნით. გარკვეულ შემთხვევებში ისინი თანხმდებიან, რომ მიაწვდიან სხვა სახელმწიფოში მოქმედ უწყებებს ინფორმაციას, თუ პასპორტი ან ვიზა არის მოთხოვნილი კონკრეტული ბავშვის სახელზე. ასევე, სასარგებლოა თუ სახელმწიფო უწყებები იმუშავებენ საერთაშორისო ან რეგიონალურ ორგანიზაციებთან ერთად, რომლებსაც შეუძლიათ მათი დახმარება, საერთაშორისო, რეგიონალური პერსპექტივიდან გამომდინარე. ასეთ ორგანიზაციებს მოიცავს ინტერპოლი³²⁶ და საერთაშორისო სოციალური სამსახური(ISS).³²⁷

[პრევენციის საკითხებზე პუბლიკაციებისა და ვებ-გვერდებისთვის იხილეთ დანართი 7 - კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო ნაწილი I - ცენტრალური ორგანოების პრაქტიკა. პრევენციის საკითხებზე განახლებული ინფორმაციისთვის, მათ შორის ვებ-გვერდების ბმულებისთვის, გთხოვთ, ეწვიოთ ჰააგის კონვენციის ვებ-გვერდს < www.hcch.net > ^ ბავშვთა გატაცების მთავარი გვერდი ^ პრევენციის ღონისძიებებზე ჰააგის პროექტი.]

³²⁵ იხილეთ „გატაცება პროგრესში! წარმატების ისტორია“, რომელიც გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატების, საკონსულტო სერვისების უცხო ქვეყნის მოქალაქე ბავშვთა საკითხების მომსახურების ბიუროს პუბლიკაციაში „მშობლებისთვის“, 2004 წლის მაისი, ნაწილი პირველი, გამოცემა 2.

³²⁶ ახალ ზელანდიაში ინტერპოლი და პოლიცია თანამშრომლობს ერთმანეთთან, რათა მოახდინოს საბაჟოს კომპიუტერზე ბავშვის რეგისტრაცია. იხილეთ ახალი ზელანდიის პასუხი კითხვარზე.

³²⁷ საერთაშორისო სოციალურმა სამსახურმა აღნიშნა, რომ: „მისი ფილიალების უმეტესობა ამ სფეროში აქტიურად მოქმედებს, შესაბამისად სამსახური საკუთარ თავს მიიჩნევს, როგორც ამ სფეროში მოქმედ ფასეულ რესურსს. სტრატეგიული განვითარების კუთხით, სამსახურის მიზანია, მისი შესაძლებლობების განვითარება საერთაშორისო მორიგების/ მედიაციის კუთხით, ბავშვების საკითხების მარეგულირებელი ჰააგის კონვენციების კვალდაკვალ (1980, 1996) და შესაბამისი დაინტერესებული პირებისთვის, განსაკუთრებით კი ცენტრალური ორგანოებისთვის, ასეთი სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“.

დანართი

პრევენციული სტრატეგიის მომზადება

დანართი - პრევენციული სტრატეგიის მომზადება

რეკომენდირებულია, რომ სახელმწიფოებმა მოახდინონ კოორდინირებული პრევენციული სტრატეგიის ფორმულირება, რათა გაუმჯობესდეს უკვე არსებული პრევენციული ღონისძიებები, მოხდეს სადაც საჭიროა ახალი ზომების იმპლემენტაცია, ასევე ამ სფეროში მოქმედ სხვადასხვა პროფესიონალთა სწავლებისა და თანამშრომლობის წახალისება. პრევენციის სტრატეგია მუდმივად უნდა გადაიხედოს და გაუმჯობესდეს ბავშვთა გატაცების სფეროში მიმდინარე ცვლილებებისა და მიღებული გამოცდილების კვალდაკვალ. ქვემოთ მოკლედ მითითებულია ის საკითხები, რომლებიც გამოადგება სახელმწიფოს, რომელსაც სურს პრევენციის სტრატეგიის შემუშავება და ამოქმედება.

რატომ პრევენციის სტრატეგია?

- პრევენციის სტრატეგია უზრუნველყოფს გატაცებების პრევენციის ყოვლისმომცველი სისტემის არსებობას.
- პრევენციის სტრატეგია ხელს უწყობს ხარვეზების იდენტიფიცირებას და მათი აღმოფხვრისთვის საჭირო ზომების განსაზღვრას.
- პრევენციის ღონისძიებების შესახებ განგრძობითი ხასიათის მქონე სტრატეგია, უზრუნველყოფს, რომ თანამშრომლების სააგენტოდან გადინების შემთხვევაში, ექსპერტიზა და მიღწეული პროგრესი არ იკარგება.
- პრევენციის სტრატეგია ხაზს გაუსვამს, თუ რა სახის სწავლებებია საჭირო, ასევე დაეხმარება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე სააგენტოებსა და უწყებებს თანამშრომლობაში.

ვინ რას აკეთებს?

- აუცილებელია გაანალიზდეს, რომელ უწყებებს, სააგენტოებსა და პირებს აქვთ შესაბამისი როლი გატაცებების პრევენციის საქმეში, მაგალითად, როგორცაა 1980 წლის კონვენციის ფარგლებში მოქმედი ცენტრალური ორგანოები, მოსამართლეები, ადვოკატები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიციის ოფიცრები, სასაზღვრო კონტროლის ოფიცრები, საპასპორტო სააგენტოები, საკონსულო ოფისები, საელჩოები, სოციალური მუშაკები, მშობლები.
- აუცილებელია გაანალიზდეს აღნიშნული უწყებების არსებული ფუნქციები და უზრუნველყოფილ იქნეს მათი როლების სწორი განსაზღვრა.
- აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას, რომ სააგენტოები და უწყებები კარგად აცნობიერებენ მათ უფლებებსა და მოვალეობებს.

პრევენციული ღონისძიებების ადეკვატურობა?

- აუცილებელია გაანალიზდეს რა სახის პრევენციული ღონისძიებები მოქმედებს სახელმწიფოში და არის თუ არა ხარვეზები არსებულ სისტემაში.
- აუცილებელია გაანალიზდეს, რა დამატებითი ღონისძიებების გატარება არის საჭირო სახელმწიფოში და მოითხოვს თუ არა აღნიშნული კანონმდებლობის, რეგულაციების მიღებას, თანამშრომლობის სისტემატიზაციას და სხვ.
- აუცილებელია გაანალიზდეს რომელ სააგენტოსა და უწყებას შეუძლია უკეთ მოახდინონ აღნიშნული ღონისძიებების იმპლემენტაცია და უზრუნველყოფილ იქნეს, რომ მათი თანამშრომლებმა გაიარონ შესაბამისი ტრენინგები და აღჭურვილნი იქნენ სათანადო რესურსით.

საკმარისი თანამშრომლობა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ?

- აუცილებელია გაანალიზდეს, რომ ეროვნულ სააგენტოებსა და უწყებებს აქვთ კარგი კომუნიკაცია და სამუშაო ურთიერთობები ერთმანეთთან.
- აუცილებელია ეროვნული სააგენტოებისა და უწყებების შეხვედრების ხელის შეწყობა, რათა მათ მოახდინონ მათი იდეების განხილვა და კომუნიკაციის განვითარება.
- აუცილებელია შეფასდეს, რამდენად კარგი კომუნიკაცია თუ სამუშაო ურთიერთობები აქვთ სააგენტოებსა და უწყებებს მათ კოლეგებთან სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე.
- აუცილებელია, შესწავლილ იქნეს, რომელი სახელმწიფოები არიან ყველაზე ხშირად ჩართულნი ბავშვთა გატაცების საკითხებში და უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ასეთ სახელმწიფოებთან მიმართებით მოქმედებს საკმარისი პრევენციული ღონისძიებები. აღნიშნული მოიცავს, როგორც ურთიერთობების დამყარებას შესაბამისი სახელმწიფოს უწყებების თანამშრომლებთან, ასევე მშობლებისა და პროფესიული წრეების წარმომადგენლებისთვის შესაბამის ენაზე ინფორმაციის მიწოდებას.
- აუცილებელია, ხელი შეეწყოს შესაბამის საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობას.

სად და როგორ?

- პრევენციის სტრატეგია უნდა იყოს მიმდინარე. აუცილებელია შეფასდეს რა დაუყოვნებლივ ცვლილებებსა და გაუმჯობესებებს საჭიროებს დოკუმენტი, რომელი მათგანი მოითხოვს მოკლე ვადებში დაგეგმვას, და რომელი გრძელ-ვადიან პერსპექტივაში განხორციელებას.
- აუცილებელია მოხდეს იმ ახალი ღონისძიებების პრიორიტიზაცია, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად არის მიჩნეული.
- პრევენციის სტრატეგიის მომზადება და შენარჩუნება მოითხოვს შესაბამის პროფესიონალებთან მუდმივ კონსულტაციას.
- პრევენციის სტრატეგიაში უნდა იყოს ასახული მოთხოვნა იმ პირთა სწავლებების შესახებ, რომლებიც იყენებენ პრევენციულ ღონისძიებებს.
- პრევენციის სტრატეგია ასევე უნდა შეიცავდეს მოთხოვნას მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების თაობაზე.